

ფეხბურთი

**კაჭარავას სურვილი და დინამოს ამბიცია**

გვ. 2



ფეხბურთი

**ქართველები ვოლგით პრემიერლიგაში**

გვ. 3



ფეხბურთი

**უცხოელებმა ცხადაძე საუკეთ[illegible]**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 4


პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2010

№260 (13248) ფასი 60 თეთრი




## ...მხოლოდ ალონსო გაჩემპიონდება

გვ. 16

**ნიკი ლაუდა: ფეტელს შანსი აღარ აქვს**

# ჩელსი, ბაიერნი და რეალიც






გვ. 6



# სრული რევანში

## ლელო დიდ ფინალში

გვ. 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



## კახა კალაძე
# მილანი იმიტომ დავტოვე, რომ...
## კაპიტანმა როსონერიდან წასვლის მიზეზებზე ღიად ისაუბრა

პოპულარულ ვებგვერდ goal.com-ის ყურადღების ცენტრში კახა კალაძე კიდევ ერთხელ მოექცა. ამ ვრცელ მასალაში ჩვენი ნაკრების კაპიტანი „ჯენოაზე", მწვრთნელ **ჯან პიერო გასპერინიზე**, მომავალზე... და „მილანიდან" წასვლის მიზეზებზე ღიად საუბრობს. სტატია ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული და მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

„ჯენოაში" ჩინებულად ვგრძნობ თავს. კარგი შემადგენლობა გვყავს და ამბიციური მიზნებიც გვამოძრავებს. მართალია, ქულები დავკარგეთ, მაგრამ მაინც შეგვიძლია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. მჯერა, მოწინავე ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება", - აღნიშნა ქართველმა მცველმა.

„ჯენოაში" გადასვლის შემდეგ, „ინტერთან" მატჩი კალაძისთვის რიგით მეორე იყო, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა. მისი უთამაშებლობის გამო არაერთი კითხვა გაჩნდა და კახას ამაზეც ჰკითხეს.

„მილანში" უთამაშებელი ვიყავი და „ჯენოაში" კარგად წარმოჩენისთვის მომზადება მჭირდებოდა. ჩვენს გუნდში „მილანისგან" განსხვავებული ვარჯიშებია. ფიზიკურად ჩინებულად მომამზადეს და ეს როგორც კლუბში, ასევე საქართველოს ნაკრებში ჩატარებულ მატჩებშიც ნათლად გამოჩნდა. ახლა კარგ ფორმაში ვარ, „ინტერთან" სასტარტოში ვიყავი და მინდა ასე გავაგრძელო".

კახამ „ჯენოას" მთავარი მწვრთნელი გასპერინი **ვალერი ლობანოვსკის** შეადარა.

„ჯან პიერო გასპერინის „ჯენოაში" გადასვლამდეც ვიცნობდი. მეც ბევრი ვიცოდი მის შესახებ და მანაც კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობები. მართალი გითხრათ, თავიდანვე მომწონდა მისი სამწვრთნელო ხელწერა. გასპერინი უნივერსალიზმის მიმდევარია. ის მცველებს შეტევაში მონაწილეობას სთხოვს, შემტევ ფეხბურთელებს კი დაცვით ოპერაციებში ჩართვას ავალებს. სწორედ ასეთი ფეხბურთი მომწონდა და „ჯენოაზე" არჩევანი რომ შევაჩერე, მწვრთნელის ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო. გასპერინი, კიევის „დინამოში" ჩემს ყოფილ მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის მაგონებს. ის ტოპკლასის მწვრთნელი იყო და უკრაინული ფეხბურთის აღორძინებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა".

მართალია, „ჯენოა" ცხრილის მეორე ნახევარშია, მაგრამ კალაძე მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებს.

„ქულების დაკარგვის გამო პოზიციების დათმობა მოგვიწია, მაგრამ ქულათა სხვაობა მცირეა. ხუთეულს 4-5 ქულით ჩამოვრჩებით, ეს კი ისეთი სხვაობა არ არის, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელი იყოს. მით უმეტეს, ჯერ მხოლოდ 9 ტურია ჩატარებული და წინ თითქმის მთელი სეზონია. 2-3 მოგებით შეგვიძლია საგრძნობლად გავიუმჯობესოთ ცხრილში პოზიცია და იმედი მაქვს, ამას შევძლებთ".

საუბრის ბოლოს, კალაძეს ყოფილ გუნდ, „მილანზე" და იქიდან წასვლის შესახებაც ჰკითხეს.

„მილანში" თითქმის ათი წელი ვითამაშე და ბევრი კარგი მახსოვს. ტიტულების მოპოვებაში ჩემი წვლილიც შევიტანე, მაგრამ ბოლოს ძალზე არასასურველ ვითარებაში აღმოვჩნდი. თვეების განმავლობაში ჩემს შანსს ველოდი, რომელიც არ მომცეს. უთამაშებელი ვიყავი, არადა, გუნდთან ერთად ჩვეულებრივ ვვარჯიშობდი და ყველა ხედავდა, რომ დიდად მონდომებული ვიყავი. ფიზიკური კონდიციების მხრივაც კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ... შესაძლოა ზოგმა ჩათვალა, რომ კალაძემ თამაში დაამთავრა. ზოგმა ხაზიც კი გადამისვა. რა თქმა უნდა ეს მაღიზიანებდა, მაგრამ მოთმინება ბოლომდე არ დავკარგე. ზაფხულში ყველაფერი კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე სხვა გუნდში გადავსულიყავი. კარგად ვგრძნობდი, რომ მაღალ დონეზე კიდევ შემიძლია თამაში და ჩემთვის ხაზის გადასმა ნაადრევია. „ჯენოაში" სწორედ ეს მიზანი მამოძრავებს. ვისაც ჩემზე არასწორი წარმოდგენა ჰქონდა, ყველას უნდა დავანახვო, რომ შეცდნენ და რეალობა სხვაა, კალაძე ფეხბურთიდან ჯერ არ წასულა".

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

# კაჭარავას სურვილი და დინამოს ამბიცია

**„წლები გადის, მაგრამ ვიდრე ქართული ფეხბურთი იარსებებს, თბილისის „დინამოს" მუდამ განსაკუთრებული სტატუსი ექნება; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან მოყოლებული დღემდე, ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ, „დინამოს" ერთი და იგივე სტატუსს („მარადიული ფავორიტის") ვანიჭებდით და გუნდის მიერ მოპოვებული ტიტულებიც ამ სტატუსს ამართლებდა. თუმცა, წინა ჩემპიონატს „დინამოს" აქტივში ნამდვილად ვერ ჩავუთვლით: სეზონი გუნდმა მეორე ადგილზე დაასრულა, თასის ფინალიც წააგო და სუპერთასის მატჩიც...**

**ყოველივე ამას, რაღა თქმა უნდა, უამრავი მიზეზი ჰქონდა (ობიექტურიც და სუბიექტური); მაგრამ „დინამოს" ერთგული ქომაგები ახალი სეზონის დაწყებას „ჩვეული" ოპტიმიზმით ელოდნენ და ეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ზაფხულის სატრანსფერო კამპანიის დროს აშკარად არასაკმარისი აქტიურობა გამოიჩინა. თუმცა, XXII ჩემპიონატის მსვლელობამ დაგვანახა, რომ „დინამო" ნამდვილად არ შეეგუებოდა „მეორეხარისხოვან როლში" ყოფნას და სეზონის დაწყებიდან დღემდე ლიდერთა სამეულში იმყოფება. მოკლედ, „ზესტაფონთან" და „ოლიმპთან" ერთად ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი სწორედ „დინამოა", - წინა თვე წაუგებლად რომ ჩაატარა და ერთგული ქომაგები იმითაც გაახარა, ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი სტუმრად რომ დაამარცხა. ამ წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი, რაღა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელია: კახა კაჭარავა სრულიად დამსახურებულად გახდა კიდეც „ლელოს" ტრადიციული რუბრიკის ნომინანტი და „თვის მწვრთნელად" დავასახელეთ. სხვათა შორის, „დინამოს" თავკაცი კოლეგებს შორის სხვა „ნომინაციაში" საუკეთესოა: ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) მივიჩნიეთ „ტურის მწვრთნელად"!**

**„დინამოს" მთავარ მწვრთნელთან ჩვენი საუბარი კი ნომინანტობის გარდა, გუნდის ბოლოდროინდელ ასპარეზობაზე, ცალკეულ ფეხბურთელებსა და გუნდისა თუ, საერთოდ. ქართული ფეხბურთის პრობლემებზეც წარიმართა...**

- ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მწვრთნელი იქნება თუ ფეხბურთელი, ყველას სიამოვნებს, როცა მისი შრომა დაფასდება. მაგალითად, ჩემთვის ნამდვილად არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, „ლელომ" რომ „თვის მწვრთნელად" დამასახელა. იმასაც ვიტყოდი, რომ ობიექტურობას ყოველთვის მივესალმები - ანუ, აბსოლუტურად ლოგიკურად მიმაჩნია, ჩემთან ერთად „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის დამსახურებაც რომ საგანგებოდ აღნიშნეთ.

**- გასულ თვეში „დინამომ" წაუგებლად კი იასპარეზა, მაგრამ, ჩვენი აზრით, გუნდის ასპარეზობა მაინც არაერთგვაროვნად უნდა შეფასდეს: ხუთი შეხვედრა წაუგებლად კი ჩაატარეთ, მაგრამ, ალბათ, 9 ქულაზე მეტის მოგროვებაც შეგეძლოთ...**

- გეთანხმებით, - 9 ქულა ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი ნამდვილად არ არის; მით უფრო, ამ ხუთი მატჩიდან რამდენიმე შემთხვევაში აშკარად უკეთეს შედეგს ველოდით.

**- ალბათ, „სპარტაკთან" ნათამაშებ ფრეს გულისხმობთ. როგორ ფიქრობთ, მაინც რა იყო თქვენი გუნდის ვერმოგების მთავარი მიზეზი - მეტოქის შეუფასებლობა?**

- ერთ-ერთი და არა - უმთავრესი: ჩემი გუნდის ფეხბურთელებს, ალბათ, ეგონათ, რომ ძალების დაზოგვით შეძლებდნენ გამარჯვებას; სამწუხაროდ, ნებისმიერ მეტოქესთან ორივე ტაიმს სრული კონცენტრაციით თუ არ ჩაატარებ, წარმატებაზე არც უნდა იფიქრო. ამას გარდა, მინდვრის საფარმაც ნეგატიური როლი შეასრულა, ამას მსაჯის შეცდომებიც დაემატა და...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- სამსაჯო თემაზე მერე ვისაუბროთ, მანამდე კი, გვინდა, გასულ თვეში ჩატარებული მატჩები გავიხსენოთ; თუნდაც, გარკვეული პაუზის შემდეგ ქუთაისში „დინამოს" სტუმრობა...**

- აი, ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო; ფაქტობრივად, ევროტურნირებს თუ არ ჩავთვლით, ასეთ ჭეშმარიტად საფეხბურთო ატმოსფეროში ასპარეზობას ჩვენი ფეხბურთელები მიჩვეულნი ხომ არ არიან. 12000 გულშემატკივარი, განათების შუქზე თამაში, ორივე გუნდის ფეხბურთელთა მოტივაცია, - მოკლედ, ყველაფერი იყო, რაც ფეხბურთს უხდება; ჩვენ რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, 3 ქულის მოსაპოვებლად ვიბრძოდით, მაგრამ, მიმაჩნია, რომ იმ შეხვედრაში ფრე ლოგიკური შედეგი იყო.

**- გულახდილად გეტყვით: ბევრს ნამდვილად არ ეგონა, ამ ჩემპიონატში „დინამო" მეორე შეხვედრასაც თუ მოუგებდა „ზესტაფონს"; თანაც, სატურნირო ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი სტუმრად დაამარცხეთ.**

- ბაქი-ბუქი არასდროს მჩვევია, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, იმ თამაშს რომ მოვიგებდით; ამას გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ „დინამოს" ფეხბურთელებიც თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე და მაქსიმალურად კონცენტრირებულნი იყვნენ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ სწორედ იმ მატჩისათვის ჩადგნენ მწყობრში მანამდე ტრავმირებული ფეხბურთელები: ვანაძე, ედნილსონი, რობერტინიო, ფირცხალავა.

» მე-3 გვერდზე

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# კაჭარავას სურვილი და დინამოს ამბიცია

« მე-2 გვერდიდან

ოღონდ, არც იმას დავმალავ, რომ ამ ფეხბურთელების გამოყვანა, გარკვეულწილად, რისკიც იყო - ფეხბურთელს ორი თვე სათამაშო პრაქტიკა რომ არ ექნება, ძნელია მაშინვე ოპტიმალური კონდიციების აღდგენა. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმაც და „დინამოს" დანარჩენმა წევრებმაც გამარჯვებისადმი უდიდესი სურვილი გამოამჟღავნეს და ზესტაფონიდან 3 ქულა წამოვიღეთ.

**- აი, ამის შემდეგ კი ამ სეზონში „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩიც ვიხილეთ, როცა მანამდე საიმედო დაცვით გამორჩეული ფოთის „კოლხეთი" ხუთბურთიანი სხვაობით დაამარცხეთ.**

- რომელ მწვრთნელს არ გაუხარდება თავისი გუნდი ასე დამაჯერებლად რომ მოიგებს; განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში ნაჩვენები თამაშით დავრჩი კმაყოფილი - „დინამოს" თითოეულმა ფეხბურთელმა ყველა ჩემი დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა.

**- და აი, მივადექით გასული თვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას; მით უმეტეს, „ოლიმპთან" მოგების შემთხვევაში „დინამო" ჩემპიონატის ცხრილის სათავეში მოექცეოდა. როგორ ფიქრობთ, ბოლო წუთზე ხელიდან გაშვებული გამარჯვება მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორს უნდა დაბრალდეს?**

- აი, ამ შემთხვევაში კი, ალბათ, მართლაც ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი სწორედ ის ფსიქოლოგიური წნეხი იყო, ჩემი გუნდის ფეხბურთელებს მთელი მატჩის განმავლობაში თან რომ სდევდათ. თანაც, პირველ ტაიმშივე დავწინაურდით და უმეტესობა, ალბათ, იმას ფიქრობდა, ერთ კონკურენტს - 2, მეორეს კი 4 ქულით ჩამოვიტოვებთო. ამას გარდა, მეორე ტაიმში, ალბათ, არასწორი ტაქტიკაც ავირჩიეთ, როცა „დინამომ" უკან დაიხია და მეტოქეს ბურთის ფლობაში საგრძნობი უპირატესობაც შეექმნა. მოკლედ, იმაზე ვფიქრობდით, საკუთარ კარში გოლი არ გაგვეშვა, მაგრამ დავისაჯეთ...

**- მეორე ტაიმში „ოლიმპმა" თამაში მაშინ უფრო გამოასწორა, მოედანზე ახალი ფეხბურთელები რომ გამოჩნდნენ. არ დავმალავთ და, გვეგონა, რომ კოლეგის ტაქტიკურ გადაადგილებებს ადეკვატური ცვლილებებით უპასუხებდით.**

- არ მინდა კონკრეტული გვარები დავასახელო: ამან ვერ გაამართლა, იმან ნაწილობრივ შეასრულა ჩემი დავალება და ასე შემდეგ-თქო; იმ მომენტში როგორც საჭიროდ ჩავთვალე, ისე მოვიქეცი, თანაც ამა თუ იმ ფეხბურთელის შემოყვანა-არშემოყვანაში წინა მატჩებიც გავითვალისწინე; კიდევ ერთ ფაქტორს მინდა ხაზი გავუსვა: ბოლო წამებზე ის გოლი რომ არ გაგვეშვა, ამდენი კითხვაც ხომ არ გაჩნდებოდა? თუმცა, მერწმუნეთ, რომ საკუთარ შეცდომებს მუდამ ვაანალიზებ ხოლმე - მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მატჩი როგორი შედეგით დასრულდება.

**- გასაგებია თქვენი პოზიცია, მაგრამ კონკრეტულ ფეხბურთელზე გვინდა გკითხოთ: რატომღაც გვეგონა, რომ „ოლიმპის" გააქტიურების შემდეგ „დინამოს" შემადგენლობაში მოედანზე დავით მუჯირი გამოჩნდებოდა...**

- კონკრეტიკისგან თავს ვიკავებდი, მაგრამ, ალბათ, შეცდომა მართლაც დავუშვი: მუჯირის შემოყვანით, დიდი შანსი იყო, რომ მეტოქეს ბურთის ფლობაში იმხელა უპირატესობა აღარ ჰქონოდა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფეხბურთია, სადაც ყველა შეიძლება შეცდეს - მოთამაშეც, მწვრთნელიც, მსაჯიც...

**- „დინამო"-"ოლიმპის" ეს მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით ბევრად ჩამოუვარდებოდა ამავე გუნდების პირველი წრის დაპირისპირებას, რუსთაველთა გუნდის გამარჯვებით რომ დამთავრდა. ის შეხვედრა შემთხვევით არ გაგვიხსენებია: მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მსგავსი აღშფოთებული მწვრთნელი-კაჭარავა არასდროს გვინახავს.**

- გეთანხმებით, მართლაც მშვენიერი სანახაობა იყო: სეზონის დასაწყისისთვის ორივე გუნდი ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა, ამინდიც მშვენიერი დაემთხვა, მაგრამ აი, მსაჯობაზე რა მოგახსენოთ... საერთოდაც, არ მსურს ამ საკითხზე კონკრეტულად საუბარი, რადგან ცალკე და მართლაც განსაკუთრებული თემაა. უბრალოდ, ვისურვებდი, რომ საქმე უკეთესობისკენ წასულიყოს, თორემ წელანაც გითხარით: ფეხბურთში უშეცდომო არავინ არის და, აქედან გამომდინარე, გამონაკლისი ვერც ჩვენი მსაჯები იქნებიან. ოღონდ, ეს შეცდომები ყოველთვის... ერთი და იმავე გუნდის საზიანოდ არ უნდა მოსდიოდეთ.

**- სამსაჯო საკითხი განსაკუთრებულად აქტუალური ამ სეზონში გახდა. არადა, ჯერჯერობით ხომ მხოლოდ მეორე წრე მიმდინარეობს...**

- ყოველთვის ვცდილობ, ამ საკითხთან დაკავშირებული პრეტენზიებისგან თავი შევიკავო. თუმცა, როცა უსამართლოდ და ტენდენციურად გექცევიან, როგორ გინდა ყველაფერი აიტანო? თანაც, ახლა უკვე ძალიან ბევრ გუნდს შეეხო მტკივნეულად ეს პრობლემა და ამიტომაც გახდა კიდეც აქტუალური. ოღონდ, ყოველთვის მინდა მჯეროდეს, ნებისმიერი მსაჯის შეცდომა მიზანმიმართული ქმედება რომ არ იყო.



**- რაც „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ხართ, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ამჟამად არის ისეთი სიტუაცია, როცა გუნდში „სათადარიგოთა სკამის" პრობლემა არ არსებობს.**

- ამ შემთხვევაში ვერ დაგეთანხმებით, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში როდესმე დაუკომპლექტებელი შემადგენლობა გვყოლოდა; უბრალოდ, დანავსულები ვიყავით: ყოველ მეორე-მესამე თვეში ტრავმის გამო ძირითადი შემადგენლობის ოთხი-ხუთი ფეხბურთელი გვაკლდებოდა.

**- თუმცა, ვერც იმას იტყვით, კლუბმა ზაფხულის „სატრანსფერო კამპანიის" დროს საგრძნობლად იაქტიურაო...**

- კლუბის ხელმძღვანელების და ჩემი პოზიცია ამ საკითხან დაკავშირებით იდენტურია: ფეხბურთელი გუნდში მხოლოდ იმის გამო არ უნდა მოიყვანო, ადგილი რომ შეავსოს. ანუ, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ გვინდოდა და როგორც დრომ დაგვანახა, სწორი გათვლა გაგვიკეთებია: იმედია, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ უშუალოდ სეზონის მსვლელობაში „დინამომ" სოლიდური შევსება მიიღო.

**- ამას არავინ უარყოფს; მით უფრო, კვარაცხელიასა და მუჯირის დამატებით, ჩვენი აზრით, „დინამოს" თამაში ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდა. თანაც, ამ ორი გამოცდილი მოთამაშის გარდა გუნდში კოშკაძე, ხმალაძე, ედნილსონი თამაშობენ, ანუ „დინამო" „პატარა ბიჭების" გუნდი ნამდვილად აღარ არის.**

- სასიამოვნოა, როცა ამ ტენდენციას „გარედანაც"ამჩნევენ: ნებისმიერ გუნდში 5-6 გამოცდილი ფეხბურთელი უნდა თამაშობდეს, რომელთა გვერდითაც ახალგაზრდები უდიდეს გამოცდილებას შეიძენენ. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი ბედნიერებაა დავით მუჯირის მსგავს პროფესიონალთან მუშაობა; იგივე შემიძლია ვთქვა გივი კვარაცხელიაზეც; კოშკაძისა და ხმალაძის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია.

**- ახალგაზრდებზეც ვთქვათ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფეხბურთელთა გარკვეულმა ჯგუფმა (ლორია, თომაშვილი, კაკუბავა) საგრძნობი პროგრესი განიცადა; ამ ბოლო მატჩებში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა 19 წლის ირაკლი ლეკვთაძემ; ერთადერთი, მათე ვაწაძის გაუთავებელი ტრავმები გვაწუხებს.**

- ამ უკანასკნელით დავიწყებ: მართლაც დაიტანჯა უიღბლობით; ახალგაზრდა ბიჭია და უკვე რამდენჯერმე ჰქონდა სერიოზული ტრავმა. თანაც, ოპტიმალური ფორმის პიკზე რომ იმყოფება, მაინცდამაინც მაშინ უნდა დაშავდეს - აი, როგორც სომხეთში, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში მართლა გამორჩეული მატჩი რომ ჩაატარა. ძალიან მიხარია, რომ ლორიამ, თომაშვილმა და კაკუბავამ ჩვენი ნდობა გაამართლეს და თქვენც აღნიშნეთ ამათი პროგრესი. რაც შეეხება ლეკვთაძეს, მესამე წელია ჩვენთან არის: ჯერ „დინამოს" აკადემიაში იყო, შემდეგ II გუნდში; წინა სეზონის ბოლო მატჩში ძირითადში დავაყენეთ და „დუბლი" შეასრულა! ახლაც, „ზესტაფონთან" პრინციპულ მატჩში ვენდე და შეცვლაზე რომ შევიყვანე, მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. იმის მერე კი, კარგად იცით, ორ თამაშში სამი გოლი გაიტანა - ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ეს პერსპექტიული ბიჭი თავის შანსს ასე იყენებს.

**- თითქმის ყველა მატჩში „დინამო" ერთი და იმავე ტაქტიკით (4-2-3-1) ასპარეზობს. რა თქმა უნდა, მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას არ ვაპირებთ; მაგრამ, ხანდახან „გვეჩვენება", რომ ამა თუ იმ მატჩში ტაქტიკის გარკვეული შეცვლაც არ იქნებოდა ურიგო...**

- ნებისმიერ მწვრთნელს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გააჩნია და გამონაკლისი არც მე ვიქნები; ჩემთვის მთავარია, ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან „დინამომ" მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე ითამაშოს. რა თქმა უნდა, უშუალო შეხვედრის დროს გარკვეულ გადაადგილებებს მივმართავ-ხოლმე, მაგრამ... ტაქტიკის შეცვლას მაინც არ ვაპირებ!

**- დაბოლოს, გვინდა „შეგახსენოთ", რომ წინა სეზონში „დინამო" უტიტულოდ დარჩა...**

- სხვა გუნდებისთვის თასის ფინალში გასვლა ან მეორე ადგილის დაკავება თუ წარმატებაა, ჩვენთვის უდიდესი იმედგაცრუებაა; აქედან გამომდინარე, ახალს არაფერს ვიტყვი: ამ სეზონში „დინამო" მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალური მიზნებისათვის იბრძოლებს. თანაც, გულახდილად ვამბობ: როგორც მწვრთნელს, უდიდესი სურვილი მაქვს ჩემპიონი გავხდე და საერთოდ, „დუბლი" შევასრულო. არ დაგავიწყდეთ, რომ მართლაც საინტერესო და არაპროგნოზირებადი ჩემპიონატი გვაქვს, არავინ იცის, რომელი გუნდი ქულებს სად და როდის დაკარგავს;

**- „სიტყვას შეგაწევთ" და, თუ არ ვცდებით, ამ სეზონში... გამარჯვებული წინასწარ ცნობილი არ უნდა იყოს...**

- ვფიქრობ, ეგ დრო წავიდა, როცა ყველამ ყველაფერი წინასწარ იცოდა; არც ის მინდა გავიხსენო, არცთუ დიდი ხნის წინ თუ რატომ ვერ ხდებოდა ორი წლის განმავლობაში „დინამო" ჩემპიონი...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონი



ომარ თეთრაძე

# ქართველები პრემიერლიგაში

**ომარ თეთრაძემ** ზედიზედ მეორე სეზონში გაიყვანა გუნდი პრემიერლიგაში. ქართველმა სპეციალისტმა შარშან ეს მახაჩყალის „ანჟისთან" ერთად მოახერხა, წლეულს ომარი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ჩაუდგა სათავეში და ახლა „ვოლგა" ალაზევა უმაღლეს დივიზიონში. გუშინ რუსეთის I დივიზიონის ბოლოსწინა ტურში „ვოლგა" 2:2 დაუზავდა უშუალო კონკურენტ „ნიჟნი ნოვგოროდს" და მეორე ადგილი გაინაღდა. დერბიში ფრის წყალობით „ვოლგამ" 71 ქულა დააგროვა, „ნიჟნი ნოვგოროდს" კი - 67 ქულა აქვს. ასე რომ, გაისად რუსულ პრემიერლიგას კრასნოდარის „კუბანი" და „ვოლგა" შეემატებიან.

გუშინდელ მატჩში თავი **ედიკ საჯაიამ** გამოიჩინა, მან მატჩის 42-ე წუთზე გაათანაბრა (1:1). საჯაია, **გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა** და **ოთარ მარცვალაძე** სასტარტოში იყვნენ. ხოჯავა თეთრაძემ 72-ე წუთზე შეცვალა, ხოლო მარცვალაძე - 89-ეზე. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის ბომბარდირმა ამჯერად გოლით თავი ვერ გამოიჩინა, თუმცა 21 გოლით მაინც პირველ ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 17

# ელიტრაუნდი დაკომპლექტდა

**საბოლოოდ** გაირკვა ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის წილისყრის თარილი - საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების ვინაობა უეფას შტაბბინაში 30 ნოემბერს გაირკვევა.

რამდენიმე დღის წინ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის პოტენციური მოწინაალმდეგეების არასრული სია შემოგთავაზეთ, ამჟამად კი უკვე ცნობილია ელიტრაუნდში გასული ყველა გუნდის ვინაობა. ბოლო ორი გუნდი, რომლებმაც ელიტრაუნდში საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით გაალწია, ჩეხეთი და ლატვია არიან.

ამრიგად, ელიტრაუნდში გასული ყველა ნაკრების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: **საბერძნეთი, ხორვატია, გერმანია, ავსტრია, ინგლისი, საქართველო, ნორვეგია, ირლანდია, პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია, რუმინეთი, ბელარუსი, ისლანდია, თურქეთი, ჩეხეთი, დანია, ბელგია, იტალია, საფრანგეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლანდია, უკრაინა, ლატვია, შვეიცარია, შოტლანდია, ესპანეთი, რუსეთი.**

წილისყრა ყოველგვარი განთესვის გარეშე ჩატარდება. ჩვენს ჯგუფში მხოლოდ ინგლისის მოხვედრაა გამორიცხული. შეგახსენებთ, ელიტრაუნდში გასული 28 გუნდი 7 ჯგუფად დაიყოფა და ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ. ელიტრაუნდი მომავალი წლის მარტში ჩატარდება, ფინალურ რაუნდს კი მაისში სერბეთი უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# საქართველოდან ისევ დინამო

**ევროპის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS), რომელიც ყოველთვიურად მსოფლიოს საკლუბო რეიტინგს აქვეყნებს, ხოლმე, ახალი 350-გუნდიანი სია გამოამზეურა, სადაც საქართველოდან კვლავაც სამი წარმომადგენელია შეყვანილი.

ქართული კლუბებიდან საუკეთესო პოზიცია ისევ თბილისის „დინამოს" უკავია, რომელიც რეიტინგში ხუთი საფეხურით დაწინაურდა და 128-ედან 123-ე პოზიციამდე აიწაცვლა; ჩვენი კლუბებიდან მეორეა „ზესტაფონი". ფეროელები წინა თვეში 233-ეები იყვნენ, ახლა კი 246-ეები არიან. ქართულ სამეულს „ვიტ ჯორჯია" ასრულებს, რომელიც 313-ედან 338-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

შეგახსენებთ, წინა წლებში მსოფლიოს საკლუბო რეიტინგში უმეტესად, ოთხი ქართული კლუბი ხვდებოდა, მაგრამ ბოლო თვეებია, ჩამონათვალში ვეღარ ვხვდებით ჩვენი ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს".

რაც შეეხება რეიტინგის საუკეთესო კლუბებს, პირველობას არავის უთმობს ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული „ინტერი". მოწინავე სამეულში პოზიციები შეინარჩუნეს „ბარსელონამ" და „ბაიერნმაც", ყველაზე დიდი ნახტომი კი „რეალმა" გააკეთა, რომელიც გასულ თვეში მე-19 იყო, ახლა კი მე-8-ეა.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: **1. ინტერი (იტალია), 2. ბარსელონა (ესპანეთი), 3. ბაიერნი (გერმანია), 4. ჩელსი (ინგლისი), 5. ლივერპული (ინგლისი), 6. ატლეტიკო (ესპანეთი), 7. ესტუდიანტესი (არგენტინა), 8. რეალი (ესპანეთი), 9-10. ანდერლეხტი (ბელგია), ინტერნასიონალი (ბრაზილია).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

● ქართველები აზერბაიჯანში

# უცხოელებში ცხადაძე საუკეთესოა

ზაქათალის „სიმურგმა" „ინტერიდან" განათხოვრებული ფეხბურთელები (**ბაჩანა ცხადაძე, ტოფიკ მიკაილოვი, პაულიუს პაკნისი**) რომ დაითხოვა, აზერბაიჯანში ამას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რამდენიმე გაზეთმა **ბაჩანა ცხადაძის** კომენტარი გამოაქვეყნა. მისი ინტერვიუ გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ და იმავეს გამეორებით დღეს თავს აღარ შეგაწყენთ.

საინტერესოდ მივიჩნიეთ გაზეთ „აზერიფუტბოლის" სტატიის ნაწყვეტი, რომელშიც ჟურნალისტი წერს, რომ „სიმურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯოკიჩა ხაჯიევსკიმ** დიდი შეცდომა დაუშვა.

*"ზაქათალელთა ამ საქციელის ახსნა შეუძლებელია. მსგავსი შემთხვევა აზერბაიჯანში ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ კლუბებს იჯარით აყვანილი ფეხბურთელები არასდროს გაუგდიათ. ბაჩანა ცხადაძე იყო „სიმურგის" შეტევის უდავო ლიდერი, ახლა ვინ გაიტანს გოლებს? სატრანსფერო სეზონის გახსნამდე ხომ მთელი 9 ტურია დარჩენილი... აღნიშნულ სამეულს ხელფასს „ინტერი" უხდის და მათი უარი ბუნებრივია. როგორ უნდა ეთამაშა ცხადაძეს მამამისის გუნდის წინააღმდეგ? რა მოხდებოდა, რომ ეთამაშა და გოლი არ გაეტანა? უდავოა, 100 პროცენტითაც რომ დახარჯულიყო, „სიმურგში" მას შეგნებულად ცუდ თამაშს დააბრალებდნენ. დანარჩენ ორ ფეხბურთელზეც იგივე ითქმის. ასე რომ, „ინტერის" სამეულის საქციელი სავსებით ლოგიკური და გასაგებია. აუხსნელი პრინციპებით თავად „სიმურგი" და ზარალდა. პაკნისი დაცვას ძალიან ნაადგა, მიკაილოვიც ნელ-ნელა იხსნებოდა, ცხადაძის შედეგიანობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... გვინდა, დავიჯეროთ, რომ ეს გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღეს და სამეულს დააბრუნებენ. მათი არყოფნით ხომ ისევ „სიმურგი" წააგებს, რომელსაც პრემიერლიგაში დარჩენისთვის უმძიმესი ბრძოლა მოუწევს. ეს გუნდი, ინტერელთა გარეშე, მოიკ-თან (ბოლოადგილოსანია - რედ.) ერთად ამ ბრძოლაში უდავო ფავორიტად ჩანს",* - წერს „აზერიფუტბოლი".

„აზერისპორტმა" ცხადაძეებს „მეორე ფრონტი" გაუხსნა - „სიმურგის" მთავარმა მწვრთნელმა ხაჯიევსკიმ ინტერნეტგვერდთან საუბრისას ვარაუდი გამოთქვა, რომ ამ სამეულს ვილაცამ „ინტერის" წინააღმდეგ თამაში აუკრძალა - მოკლედ, ჩვენი „კოლმეურნეობის თავმჯდომარის" სახელი და გვარი არ დაასახელა, თორემ რასაკვირველია, **კახა ცხადაძე** და ბაქოელთა ხელმძღვანელობა იგულისხმა.

*„ალბათ, მათ დაავალეს,"ინტერის" წინააღმდეგ არ ეთამაშათ. „სიმურგის" ხელმძღვანელობა მათ გადაწყვეტილებაზე აღშფოთდა და გაუშვა. ვის შეეძლო კონკრეტულად დავალების მიცემა? სახელების დაკონკრეტებას არასწორად მივიჩნევ".*



კახა ცხადაძე

ბაჩანას მამას კი, „ინტერის" მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს აზერბაიჯანში დასაქმებულ ლეგიონერ სპეციალისტთა შორის საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა - 11 ტურის შემდეგ მას უცხოელთა მიერ გაწვრთნილ არც ერთ გუნდთან არ წაუგია და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი გოლიც არ გაუშვია. „ინტერმა" სამივე შეხვედრა ადგილობრივებთან წააგო.

სასიამოვნოა ისიც, რომ ცხადაძე ბევრად ცნობილ სპეციალისტებს უსწრებს - მაგალითად, „ხაზარის" რუმინელ დამრიგებელ **მირჩა რედნიკს**, რომელიც სამშობლოში არაერთ სახელგანთქმულ კლუბს (ბუქარესტის „რაპიდი" და „დინამო", კრაიოვას „უნივერსიტატია") ავარჯიშებდა.

**ვინფრიდ შეფერი** ბუნდესლიგაში „შტუტგარტსა" და „კარლსრუეს" წვრთნიდა, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი კამერუნის ნაკრებს თავკაცობდა, თუმცა „ბაქის" მთავარ მწვრთნელად დღემდე თავი ვერ გამოიჩინა.

„გაბალას" ინგლისელ მწვრთნელ **ტონი ადამსს** დიდი გამოცდილება არ აქვს, ცნობილი კლუბებიდან მხოლოდ „პორტსმუთში" უმუშავია, მაგრამ აზერბაიჯანში ყველაზე ძვირად ღირებული სპეციალისტია.

„სიმურგის" მაკედონიელმა თავკაცმა ხაჯიევსკიმაც დღემდე ვერ გამოიჩინა თავი - ლეგიონერ სპეციალისტთა გუნდებს ერთხელაც ვერ მოუგო.

სულ 12 აზერბაიჯანული კლუბიდან შვიდში უცხოელი მუშაობს, ყველაზე მეტი (ორი) - საქართველოდან. ცხადაძის მიწვევის შემდეგ **რევაზ ძოძუაშვილი** წაიყვანეს და ახლახან „თურანი" ჩააბარეს. ცხადია, ბატონმა რეზომ ნაკლებ მატჩში ნაკლები ქულებიც დააგროვა. თუმცა გაცილებით მეტი მატჩის ჩამტარებელ ხაჯიევსკის უკვე გადაასწრო. ძოძუაშვილის ამბიციური ხასიათიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აზერბაიჯანში აუტსაიდერობისთვის არ ჩასულა.

**მერაბ მამულაშვილი**

| მწვრთნელი | კლუბი | ქვეყანა | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახა ცხადაძე | ინტერი | საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | 5:0 | 16 |
| მირჩა რედნიკი | ხაზარი | რუმინეთი | 6 | 4 | 3 | 0 | 7:1 | 15 |
| ვინფრიდ შეფერი | ბაქი | გერმანია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ტონი ადამსი | გაბალა | ინგლისი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:4 | 7 |
| ალმირ ხურტიჩი | მუღანი | ბოსნია | 6 | 1 | 2 | 3 | 2:6 | 5 |
| რეზო ძოძუაშვილი | თურანი | საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჯოკიჩა ხაჯიევსკი | სიმურგი | მაკედონია | 6 | 0 | 1 | 5 | 1:8 | 1 |

● კაცი ჩრდილში

# ჯონი ჯანელიძე
# სიღნაღელთან შეხვედრაზე ლეგენდები შემითხზეს

## პრეზიდენტები თავიანთზე ჭკვიან და გამოცდილ მწვრთნელებს ერიდებიან

**ცნობილი სპეციალისტი ჯონი ჯანელიძე „დიდ ავიაციაში" აღარ ჩანს: უმაღლესი, პირველი და რეგიონალლიგის არც ერთ გუნდს არ წვრთნის და არც ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს. მწვრთნელი, რომელიც პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი სენსაციის ავტორი იყო - 1990 წლის 30 მარტს თბილისის „დინამო" მშობლიურ ეროვნულ სტადიონზე ჯანელიძის მიერ გაწვრთნილმა ფოთის „კოლხეთმა" დაამარცხა...**

- გამოჩენა ჩემზე არაა დამოკიდებული. თუ არ მიმიწვიეს... მუშაობა კი მინდა, მაგრამ ძალას ხომ არ ვიხმარ. ეტყობა, არავის ვჭირდები. გემოვნებაზე კი არ დავობენ. ახალგაზრდები უფრო უნდათ, ვიდრე გამოცდილები. სამწუხაროდ, პრეზიდენტები თავიანთზე ჭკვიან და გამოცდილ მწვრთნელებს ერიდებიან. არადა, სადაც ვიმუშავე, შედეგი ყველგან მქონდა.

**- გამოცდილებს რომ აღარ სწყალობენ, ეს ტენდენციად იქცა...**

- არადა, რამდენი გამოცდილი სპეციალისტია უმუშევარი, ვალერიან ჩხარტიშვილი, მურთაზ ხურცილავა, ელგუჯა გუგუშვილი, შოთა ჭეიშვილი, ახლა უკვე თემურ მახარაძე... უმუშევარი რეზო ძოძუაშვილი აქ არავის დასჭირდა და აზერბაიჯანში მიიწვიეს... მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს და ზოგადად ვიტყვი - ჩვენ გამოცდილ და პროფესიონალ მწვრთნელებს ვერ ვიყენებთ. რა დააშავა მახარაძემ, რატომ გაუშვეს? „ოლიმპი" ჩემპიონი გახადა, მაგრამ მუდმივად პირველ ადგილზე ვერ გავიდოდა. მწვრთნელის აღმოჩენაა რთული, თორემ მის მოხსნაზე ადვილი არაფერია.

**- იქნებ, მიზეზი თქვენი თაობის მწვრთნელთა პიროვნული ან საქმიანი თვისებებისადმი უნდობლობაა? ბევრი ასეც ამბობს.**

- იცით რას გეტყვით? დაწურული წვენი პირდაპირ დასალევად არ ვარგა. ასეა დამწყები მწვრთნელიც, „დამაჭრება" მაინც ვაცალოთ და ისე დავნიშნოთ. კარგი ფეხბურთელი ერთია და მწვრთნელობა სულ სხვა პროფესიაა, სწავლა და მუდმივი ძიება სჭირდება.

**- საფეხბურთო აკადემია „ოლიმპში" აღარ მუშაობთ?**

- ბავშვებში 9 წელი ვიმუშავე. „ოლიმპიდან" შარშან წამოვედი. მას შემდეგ თავისუფალი ვარ.

**- თქვენი დაკვირვებით, როგორი თაობა იზრდება?**

- საქართველოში ძლიერი თაობები ყოველთვის იბადებოდნენ. მთავარი - სწორი მიდგომა, პირობები, ყურადღებაა და გაიზრდებიან, მაგრამ საქართველოში ამას ვერ ვახერხებთ. ახლა მოედნებზე რომ წუწუნებენ, ფეშეემ-ში ბავშვებს ასფალტზე ვავარჯიშებდით, მაგრამ უნიჭიერესი ფეხბურთელები იზრდებოდნენ, რადგან იყო ფეხბურთის სიყვარული, იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები და ისინი ბავშვებს ფულს არ თხოვდნენ.

**- ახლანდელ ბავშვებს ძველებური სიყვარული, მწვრთნელებს კი ძველების კვალიფიკაცია არ აქვთ?**

- ყველაზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ადრე უფრო კვალიფიკაციური მწვრთნელები მუშაობდნენ. არა იმიტომ, რომ თანამედროვეებს მონდომება ან საზრიანობა აკლიათ, ბევრი ნიჭიერი სპეციალისტი მოდის, მაგრამ ხელშეწყობა სჭირდებათ. ჩემს ახალგაზრდობაში ყოველ სამ თვეში ერთხელ სემინარები გვიტარდებოდა, სხვადასხვა რესპუბლიკებში დავდიოდით, ცოდნასა და გამოცდილებას ვიზიარებდით, საკუთარ მინუს-პლუსებს ვხედავდით და ასე ვიზრდებოდით. ხუმრობა ხომ არაა? - 15 რესპუბლიკა 15 სტილია და ეს ძალიან დიდი სკოლა იყო.

**- თქვენი და ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას შეხვედრაზე ლეგენდები დადის - თითქოს მან ვერ გიცნოთ და მწარედ უპასუხეთ. თუმცა თბილისური ჭორების არ მჯერა და თავად გვითხარით, რეალურად რა მოხდა.**

- კარგია, რომ მკითხეთ, თორემ ხმებმა ჩემამდეც დამახინჯებით მოაღწია და ძალიან შევწუხდი. რეალურად, არაფერიც არ მომხდარა - შემთხვევით შევხვდით და ვერ მიცნო. თავი წარვუდგინე და შენს საკითხში გავერკვევიო. მერაბ ჟორდანიას დროს მოყვარულთა ნაკრები მებარა და ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ამ გუნდიდან ძალიან ბევრმა ითამაშა საკმაოდ კარგი ფეხბურთი - ლევან გვაზავამ, გიორგი გაბიდაურმა, როინ ონიანმა... ამას გარდა, მის მშობლიურ ზუგდიდშიც მიმუშავია, ზესტაფონში, ფოთში, რა ვიცი, სად აღარ. რაიონში ჩემსავით 16 წელი არც ერთი თბილისელი მწვრთნელი არ საქმიანობდა. მერე ამ ჩვენს საუბარს ვილაცამ ზედმეტები მიამატა, მაგრამ ამაში სალეგენდო არაფერია!

**- საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებს თუ ესწრებით?**

- ძალიან იშვიათად. ძველებურად საინტერესო აღარ არის, დონეც დაბალია. პირველი 3 ჩემპიონატი იდეალურად ჩატარდა, თამაშებიც უფრო სწრაფი და სანახაობრივი იყო. საბჭოთა პირველობაზე მათ დონეზე და ტემპში უნდა გვეთამაშა. ამ მოთხოვნებმა ბევრი მოაზროვნე და კარგი შემსრულებელი წარმოაჩინა. მერე საკუთარ თავში ჩავიკეტეთ და იმ დონეს შევეჩვიეთ, რაც საქართველოში საკმარისია. არადა, შემცირებულმა მოთხოვნებმა უკან დაგვხია. ამას ხელი გუნდების სიმცირემაც შეუწყო. 10-გუნდიანი ჩემპიონატი არაფერს იძლევა. უფროსი ნოდარ ახალკაცი სულელი კი არ იყო, გუნდების რაოდენობა რომ გაზარდა. ვფიქრობ, დღეისათვის ოპტიმალური 16 ან 18 გუნდია. ასეთ გარემოში მეტ ფეხბურთელს და მწვრთნელს ექნება პრაქტიკა და გაზრდის შანსი, საბოლოოდ კი ეს პროცესი ნაკრებზეც აისახებოდა.

**- ათბალიანი სისტემით პირველ და დღევანდელ ჩემპიონატს რამდენ ქულას დაუწერდით?**

- პირველ ჩემპიონატს 9 ქულით შევაფასებდი, დღევანდელს კი ოთხიანით. თუმცა ვითარება უცებ გამოსწორდება, პურს მეპურე თუ გამოაცხობს. ხალხმა ფული იშოვა და ჰგონია, ფეხბურთი იციან. ამ დროს, უამრავ გამოცდილ სპეციალისტს ვერ ვიყენებთ.

**- იმდენად კრიტიკულად ხართ განწყობილი, ალბათ, არც ერთი გუნდი არ მოგწონთ...**

- არა, რატომ? „ოლიმპი" მომწონს, „ვიტ ჯორჯია", რომელმაც ბევრი ფეხბურთელი გაზარდა და „დინამო", მაგრამ ამ უკანასკნელს მეტი მოეთხოვება. მომწონს ზესტაფონის „მარგვეთი" (იგულისხმა „ზესტაფონი" - რედ.), მაგრამ არასტაბილური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და რომ იცოდეთ, ესეც კლასზე მეტყველებს. ადრე გუნდებს სტილი ჰქონდათ, ახლა უმრავლესობა ერთფეროვანია, სტილი, ხასიათი და ინდივიდუალიზმი სადღაც გაქრა. მიმაჩნია, რომ ფოთის „კოლხეთი" დინამოსთან" 0:5 არ უნდა აგებდეს. ისიც გაუგებარია, ფეხბურთელი ვარჯიშს რომ აცდენს. ასე სად გაგონილა? ბევრი პრობლემაა. ანდრო ჟორდანიას მსგავსი მოსიყვარულე მწვრთნელები გვაკლია, სოფელ-სოფელ რომ ივლიან და ახალ ხურცილავებსა და მესხებს რომ მოძებნიან. 1966 წელს ჟორდანიას ტყიბულის „მეშახტე" ჩააბარეს და მეორე ლიგის აუტსაიდერი პირველ ლიგაში გადაიყვანა. სასწაული კაცი იყო, აქედან რომ გააგდებდნენ, ივანოვო-ვოზნესენსკში მიდიოდა. „დინამოს" რომ გაუჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ ეძახდნენ. ნოე ჟორდანიას ძმისშვილი იყო და არ სწყალობდნენ. არავის შეეშალოს - მილიონებიც რომ დაახარჯოს გუნდს, თუ მწვრთნელი უნიჭოა, იმის დარგული ხე ნაყოფს ვერ გამოიღებს. დღეს ბევრი მწვრთნელი არ მეგულება, რომელიც ყოველდღიურად ეცნობა პრესას, თვალს ადევნებს უცხოურ ლიგებში მიმდინარე ტენდენციებს, აანალიზებს ტაქტიკურ და თეორიულ ცვლილებებს იცის ინგლისური და სხვისი გამოცდილების გაზიარებას არ თაკილობს.

**მერაბ მამულაშვილი**

### მეორე ლიგა აღმოსავლეთი IX ტური

| | |
|---|---|
| 35 სკოლა-დუშეთი | 1:1 |
| გოლიადორი-აბული | 2:0 |
| ერთობა-თიანეთი | 1:5 |
| გაგრა 2-იმედი | 4:2 |
| სამცხე-ზოოვეტი | 0:6 |
| მერანი-ივერია | 4:1 |
| ავაზა-სასკო | 0:2 |

*ალგეთი ისვენებს.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სასკო | 9 | 6 | 2 | 1 | 27-12 | 20 |
| 2. ზოოვეტი | 9 | 6 | 2 | 1 | 20-6 | 20 |
| 3. ავაზა | 8 | 6 | 0 | 2 | 27-11 | 18 |
| 4. გაგრა-2 | 8 | 6 | 0 | 2 | 19-5 | 18 |
| 5. გოლიადორი | 9 | 5 | 1 | 3 | 15-11 | 16 |
| 6. ივერია | 9 | 5 | 1 | 3 | 9-8 | 16 |
| 7. აბული | 8 | 4 | 1 | 3 | 8-9 | 13 |
| 8. დუშეთი | 8 | 2 | 5 | 1 | 9-8 | 11 |
| 9. თიანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 10. მერანი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 10 |
| 11. იმედი | 9 | 2 | 2 | 5 | 20-19 | 8 |
| 12. 35 სკოლა | 9 | 1 | 5 | 3 | 10-13 | 8 |
| 13. ალგეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-11 | 7 |
| 14. სამცხე | 9 | 2 | 0 | 7 | 6-39 | 6 |
| 15. ერთობა | 9 | 0 | 0 | 9 | 6-35 | 0 |

### დასავლეთი. I ზონა. V ტური

| | |
|---|---|
| სულორი-ფაზისი | 3:2 |
| დინამო 2-მერცხალი 2 | 7:2 |
| ჩიხურა 2-ბახმარო | 7:0 |
| მერანი 2-საირმე | 2:0 |
| მარგვეთი-გურია 2 | 4:2 |
| მართვე-ბეთლემი | 0:1 |

*ქუთაისი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა 2 | 8 | 7 | 1 | 0 | 36-6 | 22 |
| 2. სულორი | 9 | 6 | 1 | 2 | 16-12 | 19 |
| 3. დინამო 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 21-12 | 18 |
| 4. ბახმარო | 8 | 4 | 3 | 1 | 11-13 | 15 |
| 5. ბეთლემი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| 6. ფაზისი | 8 | 4 | 1 | 3 | 19-10 | 13 |
| 7. მერანი 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 10-7 | 11 |
| 8. მარგვეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-16 | 10 |
| 9. ქუთაისი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-17 | 10 |
| 10. გურია 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 12-24 | 5 |
| 11. მერცხალი 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 11-24 | 5 |
| 12. მართვე | 8 | 1 | 1 | 6 | 8-23 | 4 |
| 13. საირმე | 8 | 0 | 4 | 4 | 4-12 | 4 |

● საქმიანი შეხვედრა

# დღეს, 12 საათზე...
## ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს ხვდება

**დღეს 12 საათზე მიხეილ მესხის სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველ ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდებიან. ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასთან ერთად, 27 კლუბის წარმომადგენელს ფედერაციის განყოფილებების ხელმძღვანელებიც შეხვდებიან და დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას მიაწვდიან.**

**ორგანიზაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია შეტანილი:**

### მემორანდუმი ფედერაციის სპორტული არბიტრაჟის დაფუძნების შესახებ

ამიერიდან, სფფ-ს სივრცეში არსებულ დავებს ამ ორგანიზაციის ეგიდით დაფუძნებული სპორტული არბიტრაჟი განიხილავს - მაგალითად, სფფ-ს და მის წევრ ასოციაციებს, ფედერაციებს, კლუბებს, მოთამაშეებს ან ოფიციალურ პირებს, ან რომელიმე ორ მათგანს შორის წარმოქმნილ უთანხმოებას არბიტრაჟი განიხილავს.

### კლუბების საკომპენსაციო დავალიანებების საკითხი

ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეისთვის რამდენიმე ტრანსფერზე კომპენსაცია არ არის გადახდილი, რასაც ასევე ამ შეკრებაზე განიხილავენ.

| გადამხდელი | თანხა | მიმღები |
|---|---|---|
| ზესტ. (გ. კაჭარავა) | 3.000 $ | დინამო თბ |
| ტორპ. (ნ. კვასხვაძე) | 30.000 $ | ზესტაფონი |
| ბათ. (გ. კაჭკაჭიშვილი) | 1.500 $ | ზესტაფონი |
| ზესტ. (გ. კაჭარავა) | ხელმ. შეუსრ. | სამგურალი |

### ფეხბურთელთა ტრანსფერების საკითხი

გენერალური სამდივნოს უფროსი **რევაზ შენგელია** გუნდებს იმ აუცილებელ პროცედურებს გააცნობს, რომელიც სავალდებულოა ფეხბურთელის აღზრდისთვის განსაზღვრული კომპენსაციის მისაღებად.

### მსაჯთა კორპუსთან დაკავშირებული პრობლემები

ამის თაობაზე სფფ-ს მსაჯთა განყოფილების წარმომადგენელი ილაპარაკებს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას მატჩის ფირების საკითხი იქცევს - ხშირად გუნდები სადავო ეპიზოდს ან არ აჩვენებენ, ან მოუხერხებელი რაკურსით წარადგენენ. ამიერიდან მატჩის გადაღება მასპინძელ და სტუმარ გუნდებს დაევალებათ, თანაც, ორი განსხვავებული რაკურსითა და სტატიკური კამერით.

სავალდებულო წესით, მატჩის გამართვიდან ორ სამუშაო დღეში გუნდებს ჩანაწერის სამსაჯო განყოფილებისთვის წარდგენა ევალებათ.

### მატჩამდე საორგანიზაციო შეხვედრა

თამაშამდე 1,5 საათით ადრე სავალდებულოა შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება ტექნიკური, საორგანიზაციო და უსაფრთხოების საკითხები. მას უნდა ესწრებოდნენ: უსაფრთხოების ოფიცერი, სტუმარი და მასპინძელი გუნდების წარმომადგენლები, დელეგატი, დამკვირვებელი, მთავარი მსაჯი, ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი.

ყველა კლუბმა უზრუნველყოს უსაფრთხოების ოფიცრის საკითხი. მასპინძელმა კლუბმა კი მატჩზე უსაფრთხოების საკმარისი რაოდენობით ადგილობრივი პოლიციის დასწრება უნდა უზრუნველყოს.

### მეკავშირე ოფიცრების საკითხი

მასპინძელი კლუბი ვალდებულია მატჩზე წარგზავნილ მსაჯთა ბრიგადას მეკავშირე ოფიცერი მიამაგროს, რომელიც მატჩამდე და მის შემდგომ მსაჯებს სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში დაეხმარება.

### 2011 წელს მსაჯთა დაფინანსების პროექტი

სფფ-ს სამსაჯო განყოფილების წარმომადგენელი **ლევან ფანიაშვილი** ისაუბრებს 2011 წლიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების საწევრო გადასახადში შესატან ცვლილებაზე - შედეგად, მსაჯთა სახელფასო ანაზღაურება გაიზრდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ოლიმპი

# ბარაბაძე ზესტაფონთან ითამაშებს?

**რევაზ ბარაბაძე** რუსთავის „ოლიმპში" ათიოდე დღის წინ ჩაირიცხა. მას შემდეგ საქართველოს ჩემპიონმა ორი მატჩი გამართა, თუმცა 22 წლის თავდამსხმელი არათუ მოედანზე, 18-კაციან განაცხადშიც არ გამოჩენილა.

„ლელო" შეეცადა, გაერკვია, თუ რატომ არ თამაშობს ბარაბაძე. ფეხბურთელი ამას თავად ხსნის:



*„როცა გუნდში ჩავირიცხე, მეგონა, ტრავმა საბოლოოდ მოვირჩინე, მაგრამ ვარჯიშის განახლება და ფეხის აქტივიზება ერთი იყო. ხელოვნურსაფრიანი მოედანი ჩემთვის რეკომენდებული არ იყო და გუნდში მისვლიდან მეორე დღეს მცირე ტკივილი ვიგრძენი. დამტანჯა ამ მუხლებმა და კიდევ ერთი კვირა გამაჩერა. მაგრამ საშიში არაფერია. საბედნიეროდ, ახლა თავს კარგად ვგრძნობ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. არაა გამორიცხული, 6 ნოემბერს „ზესტაფონთან" განაცხადშიც შემიყვანონ. ბუნებრივია, ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ თამაშამდე დრო არის და იმედია, სათამაშოდ მზად ვიქნები. მთავარია, ჯანზე მოვიდე. კლუბთან კონტრაქტი ტყუილად ხომ არ გამიფორმებია?! თამაში და გუნდის დახმარება მინდა", - გვითხრა ბარაბაძემ.*

მომხდარის მიუხედავად, რევაზს ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიში არ აშინებს და ამბობს, რომ საფარი მოეწონა და არც ისე საშიში ყოფილა, როგორც ეგონა. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, 17 წლის შემდეგ რუსეთსა და გერმანიაში ნათამაშებ თავდამსხმელს ხალიჩაზე არ უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ამბები

### ლეხში ბაკერო დაინიშნა

პოლონური „ლეხის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ხოსე მარია ბაკერო**ა. ალბათ, გახსოვთ, გასული საუკუნის 90-იან წლებში იგი „ბარსელონას" ნახევარმცველი იყო და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაც გახლდათ. ბაკერომ „ლეხის" დამრიგებლის პოსტზე **იაცეკ ზელინსკი** შეცვალა და კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის ბოლომდე გააფორმა, თანამშრომლობის შესაძლო გახანგრძლივების პერსპექტივით.

*„დიდი მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის. შევეცდები, „ლეხს" მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო"*, - განაცხადა ბაკერომ.

შეგახსენებთ, „ლეხი" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობს.

### განელები ქუთვინილს ითხოვენ

როგორც ირკვევა, განის ეროვნული ნაკრების წევრებს ჯერაც არ მიუღიათ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლისთვის დამსახურებული პრემია. ქვეყნის მთავრობა თითოეულ ფეხბურთელს 50 ათას აშშ დოლარს შეჰპირდა, მაგრამ სიტყვა დღემდე არ შეუსრულებია. განის ერთ-ერთი ბანკი, რომელსაც ეს შეფერხება ჰბრალდება, აცხადებს, რომ პრემიების გაცემას ხელს კანონი უშლის, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ პირს პრემიის სახით 10 ათას დოლარზე მეტის მიღება არ შეუძლია.

### ინგლისში რუნის დაწვავენ

ინგლისის პატარა ქალაქ იდენბრიჯის მცხოვრებნი ხვალ ტრადიციული ადგილობრივი სახალხო დღესასწაულისას **უეინ რუნის** ფიტულს დაწვავენ. თუმცა რუნის შეუძლია,



უეინ რუნი

მშვიდად იყოს - ეს რიტუალი სულაც არ უკავშირდება სახელგანთქმული ინგლისელი ფორვარდისადმი ზიზღს, პირიქით, იდენბრიჯში 1605 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ ცნობილი და პატივსაცემი ფიგურების ფიტულებს წვავენ.

### რიკელმე ნახევარი წლის შემდეგ

„ბოკა ხუნიორსის" პრესსამსახურის განცხადებით, კლუბის ლიდერი **ხუან რომან რიკელმე** მოედანს მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დაუბრუნდება. ვეტერანი არგენტინელი ფლეიმეიქერი მარცხენა მუხლმა შეაწუხა და იძულებული გახდა, ოპერაცია გაეკეთებინა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# კლინსმანი კონსულტანტია

მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ **იურგენ კლინსმანი** უმუშევარი იყო. იგი ამიერიდან საფეხბურთო საქმიანობას განაახლებს, მაგრამ არა მწვრთნელის, არამედ კონსულტანტის რანგში. ამ თანამდებობაზე კლინსმანი ამერიკული საფეხბურთო ლიგის კანადელმა ბინადარმა „ტორონტომ" მიიწვია.

შეგახსენებთ, სამხრეთაფრიკული მუნდიალის დასრულების შემდეგ მას აშშ-ის ეროვნული ნაკრების თავკაცობას სთავაზობდნენ, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და გარიგება არ შედგა.

# დე ლა რედი დანებდა

ბევრი იბრძოლა **რუბენ დე ლა რედმა** საფეხბურთო მოედანზე დასაბრუნებლად, მაგრამ ხანგრძლივმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და „რეალის" 25 წლის ნახევარმცველი იძულებული გახდა, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შესახებ გაეკეთებინა განცხადება.

შეგახსენებთ, დე ლა რედმა 2008 წლის შემოდგომაზე ესპანეთის თასზე გამართული მატჩისას გონება დაკარგა და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. ექიმებმა მას გულის დაავადება დაუდგინეს და ფეხბურთის თამაში აუკრძალეს. ევროპის 2008 წლის ჩემპიონ რუბენს კარიერის განახლების იმედი არ დაუკარგავს და ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ...

სამეფო კლუბის პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესის** გადაწყვეტილებით, დე ლა რედი ამიერიდან კლუბის სისტემაში მწვრთნელად იმუშავებს და „რეალის" ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს ჩაიბარებს.

# ჯორდანის აღიარება

ალბათ, გახსოვთ სამხრეთაფრიკელი **დენი ჯორდანი**, რომელიც განვლილი მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ამ პიროვნებამ ერთი საინტერესო რამ აღიარა – თურმე მაშინ, როცა გერმანია, ინგლისი და სამხრეთ აფრიკა ერთმანეთს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის უფლებისთვის ებრძოდნენ, ჯორდანმა ინგლისელებს კანდიდატურის მათ სანაცვლოდ მოხსნა შესთავაზა და მომავალი მუნდიალის მიღების საქმეში თანადგომას დაჰპირდა. კერძოდ, ჯორდანმა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებს სიტყვა მისცა, რომ მათი კანდიდატურის მხარდასაჭერად ლონდონში თვით **ნელსონ მანდელა** ჩავიდოდა. მაშინ ინგლისელებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს, საარჩევნო კამპანია კი შეგახსენებთ, გერმანელებმა მოიგეს და 2006 წლის მუნდიალსაც მათ უმასპინძლეს.

ჯორდანის მონათხრობი მით უფრო იმიტომა არის საინტერესო, რომ იგი დღესდღეობით ფიფას იმ სპეციალური კომისიის წევრია, რომელმაც 2018 და 2022 წლების ჩემპიონატების ფინალური ეტაპების მასპინძლები უნდა გამოავლინოს. შეგახსენებთ, ამ კომისიის ორი ინკოგნიტო წევრი ერთ-ერთი კანდიდატის, სავარაუდოდ, რუსეთის მხარდასაჭერად ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი.

# ფიფა ბოსნიას დაემუქრა

ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თავისი რიგებიდან გარიცხავს ბოსნიას, თუ ამ ქვეყანამ მომავალი წლის 31 მარტამდე შიდა პრობლემები არ მოაგვარა. საქმე ისაა, რომ ბოსნიური ფეხბურთი ეთნიკური პრინციპით ორ ბანაკად და შესაბამისად, ორ ასოციაციადაა გაყოფილი – ერთს ბოსნიელი სერბები ხელმძღვანელობენ, მეორეს კი ბოსნიელები და ხორვატები. ასოციაცია ორია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ეთნიკური ჯგუფებს საკუთარი პრეზიდენტი ჰყავთ, ასე რომ, ბოსნიურ ფეხბურთს დღეს ერთდროულად სამი ადამიანი მართავს, რაც ცხადია, ფიფას კანონმდებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

# პალერმომ მოჯი უარყო

„პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს სპორტული დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე „იუვენტუსის" ყოფილი ბოსის, სკანდალურად ცნობილი **ლუჩანო მოჯის** მიწვევას აპირებდეს.

*„მოჯი თავისი საქმის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია, მაგრამ მასთან თანამშრომლობა აზრადაც არ გაგვივლია. კლუბიდან წასული ვალტერ საბატინის ნაცვლად სპორტული დირექტორის პოსტზე ჯორჯო პარინეტის დავნიშნავთ"*, - აცხადებს ძამპარინი.


ლუჩანო მოჯი

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# ჩელსი, ბაიერნი და რეალიც

## ბეწვის ხიდი და ბეჭდაუდებელი მოურინიო


პედრო ლეონის გოლმა რეალს ქულა და მერვედფინალის საგზური მოუტანა

„რეალის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** კვლავ ბეჭდაუდებელი დარჩა ამ სეზონში, თუმცა წუხელ მას გვარიანი ნერვიულობა შეხვდა. ის, რაც ვერ შეძლეს მეტოქეთა თავდამსხმელებმა წინა სამ მატჩში და ერთ ტაიმში, რამდენიმე წუთში ორჯერ მოახერხა უბერებელმა **ფილიპო ინძაგიმ** - მან **იკერ კასილიასის** კარში დუბლი შეასრულა და თავიდან დაწინაურებულ „რეალს" გადასარჩენად გაუხადა საქმე. „სან სიროზე", სადაც შარშან მოურინიო მასპინძელი გახლდათ, პორტუგალიელს ცვლილებამ გაუმართლა - მე-80 წუთზე შემოსულმა **პედრო ლეონმა** მატჩის უკანასკნელ წუთზე **ბენზემას** პასის შემდეგ ფეხებს შორის გაუტანა **აბიატის** - 2:2.

ბუნებრივია, ეს მატჩი ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევდა, მაგრამ სლოვაკეთში მართლაც ენით აუწერელი ფაქტი მოხდა - „ჟილინამ" საკუთარ მოედანზე ფრანგული „მარსელისგან" 7 უპასუხო გოლი გაუშვა! ჰეთ თრიკი შეასრულა **პიერ ანდრე ჟინიაკმა**, დუბლი - **ლუჩო გონსალესმა.** ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში სტუმარ გუნდს ასეთი დიდი სხვაობით არ მოუგია.

ქართველ გულშემატკივრებს ბოლო დროს ასეთი დამოკიდებულება გაუჩნდათ მოსკოვის „სპარტაკისადმი" - მას ქომაგობენ... სანამ მოედანზე **ჯანო ანანიძეა**, როგორც კი მას გაიყვანენ ან სანამ შემოიყვანენ, ქართველთა დამოკიდებულება რუსული კლუბის მიმართ ძველებურია. **კარპინმა** კი წუხელ ანანიძეს „სტემფორდ ბრიჯზე" თავის გამოჩენის შანსი არ მისცა. იქნებ სწორედ ამიტომაც განადგურდა 1:4.

ამ საღამოს კიდევ ერთი ჰეთ თრიკი ვიხილეთ, **მარიო გომესმა** რუმინეთში „კლუჟი" აიკლო.

„ჩელსი" და „ბაიერნი" პირველი კლუბები არიან, რომელთაც შემდეგი ეტაპის საგზურები მოიპოვეს, „რეალიც" იქ არის... ჯგუფში ჩარჩნენ „ჟილინა" და ბელგრადის „პარტიზანი".

### E ჯგუფი

**კლუჟი-ბაიერნი 0:4**

**კლუჟი (4-4-2):** სტანჩუ - პიკოლო, კადუ (78. ტონი), პანინი, რადა - რაფაელი (46. ორა), დიკა (46. ედიმარი), ტ. კოშტა, კულიო - ტრაორე, დე ზერბი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, პრანიჩი - ოტლი, ტიმოშჩუკი - ჰამით ალთინტოპი, შვაინშტაიგერი (75. მიულერი), კროოსი - გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (12), 0:2 გომესი (24), 0:3 გომესი (71), 0:4 მიულერი (90)

**მაყურებელი:** 9 000

**არბიტრი:** ს. გუმიენი (ბელგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: კლუჟი
პირველი კუთხური: კლუჟი
პირველი ჯარიმა: ბაიერნი
პირველი გაფრთხილება: ბაიერნი

| | | |
|---|---|---|
| 16 (10) | დარტყმა | 21 (13) |
| 15 | ჯარიმა | 17 |
| 4 | კუთხური | 9 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

**ბაზელი-რომა 2:3**

**ბაზელი (4-4-2):** კოსტანცო - ინკოომი, აბრაამი, ფერატი (88. ჩიპერფილდი), საფარი - შაქირი, ჰუგელი, იაპი, შტოკერი - ფრაი, შტრელერი.

**რომა (4-4-2):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ჟუანი, ნ. ბურდისო (81. გ. ბურდისო), რიისე - მენეზი (75. გრეკო), სიმპლისიო, დე როსი, პეროტა - ტოტი, ვუჩინიჩი (70. ბორიელო).

**გოლები:** 0:1 მენეზი (16), 0:2 ტოტი (25-პენ), 1:2 ფრაი (69), 1:3 გრეკო (76), 2:3 შაქირი (83)

**გაძევება:** შტოკერი (91)

**მაყურებელი:** 37 500

**არბიტრი:** ბ. კუიპერსი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა
პირველი კუთხური: ბაზელი
პირველი ჯარიმა: ბაზელი
პირველი გაფრთხილება: ბაზელი

| | | |
|---|---|---|
| 28 (7) | დარტყმა | 7 (3) |
| 15 | ჯარიმა | 15 |
| 7 | კუთხური | 9 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 67% | ბურთის ფლობა | 33% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-3 | 12 |
| 2. რომა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-8 | 6 |
| 3. ბაზელი | 4 | 1 | 0 | 2 | 7-9 | 3 |
| 4. კლუჟი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-10 | 3 |

### F ჯგუფი

**ჩელსი-სპარტაკი 4:1**

**ჩელსი (4-3-3):** პ. ჩეხი - პაულო ფერეირა, ივანოვიჩი, ალექსი, ე. კოული - რამირესი, ობი მიკელი (69. მაკიჩრენი), ესიენი - კალუ, ანელკა (76. კაკუტა), დროგბა (76. სტარიჯი).

**სპარტაკი (4-2-3-1):** დიკანი - ივანოვი, სუხი, პარეხა, მაკეევი - შეშუკოვი (67. დრინჩიჩი), იბსონი - მაკგიდი (80. ბაჟენოვი), დ. კომბაროვი, ალექსი (60. კოზლოვი) - ველიტონი.

**გოლები:** 1:0 ანელკა (49), 2:0 დროგბა (62-პენ), 3:0 ივანოვიჩი (66), 3:1 ბაჟენოვი (86), 4:1 ივანოვიჩი (92)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** ჩ. ჩაქირი (თურქეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სპარტაკი
პირველი კუთხური: ჩელსი
პირველი ჯარიმა: სპარტაკი
პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 23 (9) | დარტყმა | 13 (4) |
| 13 | ჯარიმა | 16 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

**ჟილინა-მარსელი 0:7**

**ჟილინა (4-4-2):** დუბრავკა - ანგელოვიჩი, პეჩალკა, შურეკი, ლაიტნერი - იეჟი, ვიტორი (34. ზოშაკი), ბელო, ვლადავიჩი (60. გერგელი) - ორავეცი, სესე (78. მაიტანი).

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ასპილიკუეტა, დიავარა, მბია, ჰაინცე (62. ტაივო) - ლუჩო გონსალესი, კაბორე, შეირუ - ვალბუენა (62. ა. აიუ), ჟინიაკი (72. ბრანდაო), რემი.

**გოლები:** 0:1 ჟინიაკი (12), 0:2 ჟინიაკი (21), 0:3 ჰაინცე (24), 0:4 რემი (36), 0:5 ლ. გონსალესი (52), 0:6 ჟინიაკი (54), 0:7 ლ. გონსალესი (63)

**მაყურებელი:** 5 000

**არბიტრი:** შ. იოჰანსენი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მარსელი
პირველი კუთხური: მარსელი
პირველი ჯარიმა: ჟილინა
პირველი გაფრთხილება: ჟილინა

| | | |
|---|---|---|
| 11 (0) | დარტყმა | 23 (12) |
| 13 | ჯარიმა | 5 |
| 7 | კუთხური | 10 |
| 1 | გაფრთხილება | 0 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| 2. მარსელი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-3 | 6 |
| 3. სპარტაკი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 4. ჟილინა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-15 | 0 |

### G ჯგუფი

**მილანი-რეალი 2:2**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ძამბროტა, ტიაგო სილვა, ნესტა, აბატე - გატუზო (84. ზეედორფი), პირლო, ბოატენგი - რონალდინიო (60. ინძაგი), იბრაჰიმოვიჩი, პატო (72. ამბროზინი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, რიკარდო კარვალიო, პეპე (80. პედრო ლეონი), მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - რონალდო, ოზილი (93. ალბიოლი), დი მარია - იგუაინი (74. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 იგუაინი (45), 1:1 ინძაგი (68), 2:1 ინძაგი (78), 2:2 პედრო ლეონი (93)

**მაყურებელი:** 80 100

**არბიტრი:** ჰ. ვები (ინგლისი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მილანი
პირველი კუთხური: რეალი
პირველი ჯარიმა: მილანი
პირველი გაფრთხილება: მილანი

| | | |
|---|---|---|
| 7 (5) | დარტყმა | 22 (11) |
| 17 | ჯარიმა | 14 |
| 1 | კუთხური | 7 |
| 4 | გაფრთხილება | 1 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

**ოსერი-აიაქსი 2:1**

**ოსერი (4-4-2):** სორინი - ენგბარი, კულიბალი, გრიხტინგი, დუდკა - პედრეტი, ნდინგა, ბირსა, კონტუტი (80. შაფნი) - სამარიტანო (86. ბერტო), კუერსია (63. ლანჟილი).

**აიაქსი (4-3-3):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა (58. სულეიმანი) - ლინდგრენი, დე ზეუვი (83. ერიქსენი), ენო (46. დე იონგი) - სუარესი, ელ ჰამდაუი, ემანუელსონი.

**გოლები:** 1:0 სამარიტანო (9), 1:1 ალდერვეირელდი (79), 2:1 ლანჟილი (84)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** მ. კლატენბურგი (ინგლისი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ოსერი
პირველი კუთხური: აიაქსი
პირველი ჯარიმა: ოსერი
პირველი გაფრთხილება: აიაქსი

| | | |
|---|---|---|
| 17 (6) | დარტყმა | 19 (7) |
| 9 | ჯარიმა | 14 |
| 5 | კუთხური | 8 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 3. აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 4. ოსერი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |

### H ჯგუფი

**შახტარი-არსენალი 2:1**

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - გაი (62. ტეიშეირა), ჰიუბშმანი - ჟადსონი (73. დუგლასი), ედუარდო, ვილიანი - ლუის ადრიანო (88. მორენო).

**არსენალი (4-2-3-1):** ფაბიანსკი - ებუე, სკილაჩი, ჯურუ, კლიში - ისტმონდი (59. ველა), უილშერი - როსიცკი, უოლკოტი (82. ემანუელ-ტომასი), ნასრი - ბენდტნერი (73. შამახი).

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (10), 1:1 ისტმონდი (28 ს.კ.), 2:1 ედუარდო (45)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** მ. ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: შახტარი
პირველი კუთხური: არსენალი
პირველი ჯარიმა: არსენალი
პირველი გაფრთხილება: არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 18 (11) | დარტყმა | 12 (8) |
| 11 | ჯარიმა | 16 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

**პარტიზანი-ბრაგა 0:1**

**პარტიზანი (4-4-2):** სტოიკოვიჩი - მილიკოვიჩი, იოვანოვიჩი, კრსტაიჩი, ლაზევსკი - პეტროვიჩი, მორეირა, ილიევი (78. შჩეპოვიჩი), ილიჩი - ბოია (59. ბაბოვიჩი), კლეო.

**ბრაგა (4-2-3-1):** ფელიპე - სილვიო, მოიზესი, როდრიგესი, ელდერსონი - ვანდინიო, აგიარი - ალანი (68. მადრიდი), პაულო სეზარი, მოსორო (51. სალინო) - მატეუში (88. ლიმა).

**გოლი:** 0:1 მოიზესი (35)

**მაყურებელი:** 29 300

**არბიტრი:** მ. ჰანსონი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: პარტიზანი
პირველი კუთხური: ბრაგა
პირველი ჯარიმა: პარტიზანი
პირველი გაფრთხილება: პარტიზანი

| | | |
|---|---|---|
| 16 (5) | დარტყმა | 14 (6) |
| 14 | ჯარიმა | 21 |
| 8 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 59% | ბურთის ფლობა | 41% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 15-4 | 9 |
| 2. შახტარი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 9 |
| 3. ბრაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 3-9 | 6 |
| 4. პარტიზანი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

ელ კლასიკო

# კლასიკოს სული გადაურჩინეს

## 28 ნოემბერს ბარსელონა-რეალია






ესპანურმა სატელევიზიო კომპანიებმა დაბლოკეს ლა ლიგის იდეა, რომლის თანახმადაც „ელ კლასიკო" ორშაბათს საღამოს უნდა გამართულიყო. ტელევიზიები ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პოპულარული მატჩის გამართვას კვირას, გვიან საღამოს ითხოვენ. ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ინიციატივა ასეთი იყო: „ბარსელონა"-"რეალი" 29 ნოემბერს უნდა გამართულიყო. როგორც ჩანს, ესპანურ დერბის (რომელსაც ბოლო ათწლეულებში დაუმკვიდრდა სახელად „ელ კლასიკო" სამხრეთამერიკულის გავლენით) კვირას, 28 ნოემბერს ვიხილავთ.

ეს კი მატჩის უსაფრთხოებას გარკვეულ პრობლემას შეუქმნის - კვირას კატალონიაში რეგიონული არჩევნებია (სწორედ ამის გამო იგეგმებოდა მატჩი ორშაბათს). ახლა ბარსელონის პოლიციას ორივე ღონისძიების მშვიდობიანად გამართვისთვის ექსტრაზომების მიღება მოუწევს, თუკი 28 ნოემბერი „ელ კლასიკოს" დღედ ოფიციალურად დამტკიცდება.

სატელევიზიო კომპანიებმა სწორედ ადგილობრივი არჩევნების ფაქტორი გაითვალისწინეს და ჩემპიონატის მთავარი მატჩის დაწყება ადგილობრივი დროით 21 საათზე დათქვეს. ამ დროს საარჩევნო უბნები უკვე დახურული იქნება და პოლიციის დიდი ნაწილიც „კლასიკოსთვის" მოიცლის. „ბარსელონასა" და „რეალის" დაპირისპირების პირდაპირ ეთერში ჩვენების უფლება Cenal + და Gol TV აქვთ.

ორივე კლუბი მიესალმება მატჩის კვირას გადმოტანას. ორშაბათს თამაში ბევრს არ სურდა. ესპანურ მედიაში ამის გამო უკმაყოფილება საჯაროდ **ჩავიმ** და **ვიქტორ ვალდესმა** გამოხატეს. ერთ-ერთი გამოცემა უფრო შორს წავიდა და ორშაბათის „კლასიკოს" „უსულო" უწოდა.

„ბარსელონას" მთელი ევროპის მასშტაბით დაახლოებით 57,8 მილიონი გულშემატკივარი ჰყავს, ხოლო „რეალს" - 31,3 მილიონი. ამიტომაც ამ ორი გუნდის დაპირისპირება დიდძალ ტელემაყურებელს იზიდავს. ყოფილა შემთხვევა, როცა „რეალისა" და „ბარსელონას" შეხვედრას დაახლოებით 500-მა მილიონმა ადამიანმა უყურა ცისფერი ეკრანით (2002 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. ესპანურმა მედიამ ის დაპირისპირება, რომელიც „რეალმა" 2:0 მოიგო, საუკუნის მატჩად მონათლა).

ლა ლიგაში 160 „კლასიკო" გაიმართა. 68-ჯერ გამარჯვებული „რეალი" დარჩა, 62-ჯერ - „ბარსელონა" (30 ფრე). ყველაზე მეტი ამ გუნდების დაპირისპირებაში ლეგენდარულმა **ალფრედო დი სტეფანომ** გაიტანა - 14 (ყველა სახის პირველობაზე - 18). ამ გუნდების მოქმედ ფეხბურთელთაგან „კლასიკოზე" თავი ყველაზე მეტჯერ **ლიონელ მესიმ** გამოიჩინა - 7-ჯერ.

შარშანდელ სეზონში **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა ორჯერვე დაჩაგრა **მანუელ პელეგრინისა.** პირველ წრეში „კამპ ნოუზე" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გოლის წყალობით „ბარსელონამ" 1:0 მოიგო, მადრიდში კი მესიმ და **პედრომ** ორჯერ დაამწუხრეს **იკერ კასილიასი** - 2:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ბეილის კონცერტი და პეპის მუქი მხარე

## რატომ იჩხუბეს გვარდიოლამ და სოლბაკენმა?



**გარეთ ბეილმა** ისევ გალა-კონცერტი ჩაატარა; ბარსელონელებმა „კოპენჰაგენთან“ ფრე ვერ აიტანეს და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პეპ გვარდიოლამ და სტალე სოლბაკენმა ერთმანეთისკენ მუშტებით გაიწიეს; „ვერდერი“ „ტვენტესთან“ შერცხვა; „ბენფიკა“ „ლიონთან“ მოგებით დაბრუნდა, „შალკე“ კი თელ ავივში დაიკარგა...

განცდები და რეაქციები სამშაბათის მატჩების კომპაქტურ მიმოხილვაში:

### A ჯგუფი

### ტოტენჰემი–ინტერი 3:1

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (18), 2:0 კრაუჩი (61), 2:1 ეტო'ო (80), 3:1 პავლიუჩენკო (89)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

დაგვეთანხმებით, რომ **მაიკონი** მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო (თუ საუკეთესო არა) მარჯვენა მცველია და მილანის „ინტერის“ ქომაგები და ხელმძღვანელები ბედნიერები არიან, რომ ბრაზილიელი „რეალში“ არ გადავიდა და ისევ „ნერაძურიში“ თამაშობს, მაგრამ სამშაბათს, „ტოტენჰემის“ მარცხენა მცველმა **გარეთ ბეილმა** მაიკონი კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე მეორედ გააუბედურა და თანაც ისე, რომ ბრაზილიელს ცოტა დააკლდა თავი რომ არ მოიკლა...

მოკლედ, უნდა ვაღიაროთ, უფრო სწორად, პირველ რიგში მაიკონმა უნდა აღიაროს, რომ ბეილის სისწრაფე, რომელსაც ეს ფეხბურთელი საყვარელ მარცხენა ფლანგზე ავითარებს, ამ ეტაპზე მიუწვდომელია. სისწრაფეს ემატება დინამიკა, იდეალური ტექნიკა და საფეხბურთო აზროვნება - გარეთმა ამჯერად ჰეთთრიკი ველარ შეასრულა, მაგრამ ორი გენიალური საგოლე პასი გააკეთა. ბურთი ლანგრით ჯერ **პიტერ კრაუჩს** მიართვა, მერე კი - **რომან პავლიუჩენკოს**. ორივე შემთხვევაში, მისმა გამჭოლმა, ჩახვეულმა პასმა ფლანგიდან ადრესატამდე დაბრკოლების გარეშე მიაღწია, რადგან ბეილმა ბურთი ყველა მცველს აარიდა, კრაუჩსა და პავლიუჩენკოს კი მხოლოდ ცარიელი კარის დალაშქვრალა მართებდათ. მოკლედ, უელსელი სუპერმცველის დამსახურებაა ის, რომ „ტოტენჰემი“ ოთხი ტურის შემდეგ გალიდერდა და მერვედფინალში გასვლის ბრწყინვალე შანსი აქვს.

ბეილთან ერთად, არც **სამუელ ეტო'ო** უნდა დავივიწყოთ, რომლის მიღწევაც ასევე ფენომენურია. ოთხი ტურის შემდეგ კამერუნელს შვიდი გოლი აქვს გატანილი და ასეთი რამ აქამდე არავის გაუკეთებია. ბოლო ორ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი **ლეო მესი** ხდებოდა - 8-9 გოლით. ეტოოს ანგარიშზე, ოთხი ტურის შემდეგ უკვე 7 გოლია...

*„ფანტასტიკურად ვითამაშეთ, პირველიდან ბოლო წუთამდე მონოდების სიმაღლეზე ვიყავით. გარეთ ბეილი კი გენიალური ფეხბურთელია. ეს არის უნიკალური პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია, მთელი დღე ირბინოს და არ დაიღალოს,“* - ბედნიერი იყო **რედნაპი**.

„ინტერის“ თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** კი, თავისი გუნდის ნაგებას ლოგიკური უწოდა, *მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა, ფრესაც კი არ ვიმსახურებდით. „მერვედფინალის საგზურის განაღდება დღესვე შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. არა უშავს, მომდევნო ტურში ვეცდებით,“* - თქვა ბენიტესმა.

### ვერდერი–ტვენტე 0:2

**გოლები:** 0:1 ჩადლი (81), 0:2 დე იონგი (84)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბრაიან რუისი (ტვენტე)

„ვეზერშტადიონზე“ შეკრებილმა ქომაგებმა ისეთი მატჩი იხილეს, როგორსაც „ვერდერისგან“ მიჩვეულები არიან - ბრემენული კლუბი უდიდესი მონდომებითა და ვნებით უტევდა, უამრავი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ ტაბლოზე სასურველი ანგარიში ვერა და ვერ დააფიქსირა, ბოლოს კი, ჰოლანდიელებმა ორი გოლის გატანა როგორღაც მოახერხეს და თამაში მოიგეს, „მუსიკოსები“ და მათი ფანები კი პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.

მაღალი ჩაწოდებები, გამჭოლი პასები, ტექნიკური გარღვევები - **თომას შაფის** შეგირდებმა ყველაფერი გააკეთეს და არაფერი გამოუვიდათ. მაგრამ როცა გუნდი რეალურ საგოლე მომენტებს ვერ გამოიყენებს და მატჩის მინურულს დაცვაში ბავშვურ შეცდომებსაც დაუშვებს, იმ გუნდის შეფებმა თუ ფეხბურთელებმა მარცხის გამო აღარც უნდა ინუწუნონ.

„ტვენტეს“ რიგებში საუკეთესო იყო და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებაც დაიმსახურა კოსტა, რიკელმა **ბრაიან რუისმა**, რომელმაც მართლაც ძალიან კარგად, დასამახსოვრებლად ითამაშა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 12-8 | 7 |
| 2. ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-8 | 7 |
| 3. ტვენტე | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 4. ვერდერი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-9 | 2 |

### B ჯგუფი

### ბენფიკა–ლიონი 4:3

**გოლები:** 1:0 კარდეცი (20), 2:0 კოენტრაუ (32), 3:0 ხავი გარსია (42), 4:0 კოენტრაო (67), 4:1 გურკუფი (74), 4:2 გომისი (85), 4:3 ლოვრენი (95)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფაბიო კოენტრაუ (ბენფიკა)

ეს იყო რიმეიქი ორი კვირის წინ გამართული მატჩისა „ინტერი“-“ტოტენჰემი“: მას მერე, რაც ფრანგებს პირველ ათ წუთში ორი გოლი თამაშგარე მდგომარეობების გამო არ ჩაუთვალეს, „ლიონმა“ გადაწყვიტა, რომ დასვენების დრო იყო და 22-ედან 42-ე წუთამდე სამი გოლი გაუშვა. ლისაბონის „ბენფიკა“ ჯოჯოხეთურად მონდომებული კი იყო, მაგრამ უფრო მიზანმიმართული და ცივსისხლიანი რომ ყოფილიყო (ცივსისხლიანობა „ბენფიკას“ ნაღდად არ სჩვევია), „ლიონს“ პირველ ტაიმში სამზე ორჯერ მეტ გოლს გაუტანდა. აქვე ისიც უნდა გაგახსენოთ, რომ ჯგუფური ეტაპის პირველ სამ მატჩში „ლიონს“ მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გაშვებული.

შესვენების შემდეგ ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა **ფაბიო კოენტრაუმ** სხვაობა ოთხამდე გაზარდა, რის შემდეგაც „ბენფიკა“ საბოლოოდ დამშვიდდა, „ლიონმა“ კი ბოლო 15 წუთში სამი გოლის გატანა შეძლო, ოლონდ, ზუსტად ისე, როგორც „ინტერი“-“ტოტენჰემის“ ორი კვირის წინანდელ მატჩში, არც ამჯერად გაგვჩენია ისეთი გრძნობა, რომ „ლიონს“ თამაშის გადარჩენა შეეძლო.

ამ მოგებით „ბენფიკამ“ მერვედფინალში გასვლის სერიოზული განაცხადი გააკეთა. მომდევნო ტურში ლისაბონელები თელ-ავივში ჩადიან, ბოლო ტურში კი გადამწყვეტი მატჩი ელით, საკუთარ „ესტადიო და ლუჟზე“ „შალკეს“ უმასპინძლებენ.

### ჰაპოელი–შალკე 0:0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მანუელ ნოიერი (შალკე)

„შალკემ“ თელ-ავივში ამაზრზენი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და ქულა, რომელიც გელზენკირხენელებმა ისრაელიდან წაიღეს, მაქსიმალური მიღწევაა იმ ყველაფრის ფონზე, რასაც „შალკეს“ ფეხბურთელები „ჰაპოელთან“ მატჩში პირველიდან ბოლო წუთამდე აკეთებდნენ. ერთი სიტყვით, „ლევერკუზენთან“ ნაგებული (0:1) მატჩის შემდეგ, **ფელიქს მაგათის** შეგირდებმა კიდევ ერთი თამაში ჩააგდეს და მიუხედავად ამისა, მაინც მეორე ადგილზე არიან და მერვედფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებენ, თუმცა დარჩენილ ორ ტურში ჯერ „ლიონს“ უნდა უმასპინძლონ, მერე კი ლისაბონში ჩავიდნენ და ასეთი თამაშით ჯგუფიდან ნამდვილად ვერ გავლენ.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც შალკელთაგან მონოდების სიმაღლეზე იდგა, მეკარე **მანუელ ნოიერი** გახლდათ, რომელსაც ვასახელებთ კიდეც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად. ყველაფერთან ერთად, „შალკეს“ ძალიან სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემაც აქვს და რაც ყველაზე შემაძრწუნებელია, მაგათს სახეზე აწერია, რომ არ იცის, როგორ მოაგვაროს ეს პრობლემა.

აი, რა თქვა მატჩის შემდეგ სასოწარკვეთილმა ფელიქსმა: *„ცხადია, მოგება გვინდოდა, მაგრამ მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა, „ჰაპოელმა“ გვაჯობა! მიუხედავად ამისა, ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს და თანაც, არცთუ ცუდი. დარჩენილ ორ თამაშში მინიმუმ სამი ქულა გვჭირდება.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 2. შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 3. ბენფიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 4. ჰაპოელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

### C ჯგუფი

### ბურსა–მანჩესტერი 0:3

**გოლები:** 0:1 ფლეტჩერი (48), 0:2 ობერტანი (73), 0:3 ბებე (77)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** გაბრიელ ობერტანი (მანჩესტერი)

თუკი საფეხბურთო ევროპა ამ მატჩამდე ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რატომ იყო თურქეთის მოქმედი ჩემპიონი „ბურსა“ ჯგუფში ბოლო ადგილზე და რატომ არ ჰქონდა გატანილი თუნდაც ერთი გოლი, მინიმუმ „მანჩესტერთან“ მატჩის შემდეგ, მიზეზს ყველა დააფიქსირებდა. 22-ე წუთზე თურქებს გოლის გატანის ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ **თურგაი ბაჰადირი** ისე მოიქცა, თითქოს ფეხბურთის ცხოვრებაში პირველად თამაშობდა.

„მანჩესტერს“ კი გოლის გატანის პირველი შანსი მეორე ტაიმის დასაწყისშილა მიეცა და ეს შანსი **ფლეტჩერმა** იდეალურად გამოიყენა. ფლეტჩერის გოლის შემდეგ კი იყო გულისამრევი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ფეხბურთი და „იუნაიტედის“ კიდევ ორი, აბსოლუტურად დამსახურებული გოლი. პირდაპირ ვთქვათ: „მანჩესტერის“ გამარჯვება ერთი წამითაც არ ყოფილა ეჭვქვეშ, „ბურსამ“ კი ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი მოღვაწეობა ოთხი ტურის შემდეგ, უქულოდ და უგოლოდ დაასრულა. ლოგიკურად, თურქეთის ჩემპიონმა ვერც დარჩენილ ორ ტურში უნდა შეძლოს სიცოცხლის ნიშანწყლის გამოვლენა...

### ვალენსია–რეინჯერსი 3:0

**გოლები:** 1:0 სოლდადო (33), 2:0 სოლდადო (71), 3:0 კოსტა (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რობერტო სოლდადო (ვალენსია)

„ვალენსიამ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უჩვენა, თუ როგორ უნდა გაუტანოს გოლი (გოლები) გლაზგოს „რეინჯერსს“. თუ არ ჩავთვლით **სტივენ ნეისმიტის** იდეალურ დარტყმას, „მესტალიაზე“ მალევე გაირკვა, რომ „ვალენსია“ შოტლანდიურ კლუბს ბევრად სჯობია. უპირატესობა ბურთის ფლობის მხრივ და გოლები საჭირო დროს - ეს ორი კრიტერიუმი ვალენსიელთა სიჭკვიანეზე მეტყველებს. „რეინჯერსი“ კი წინა ხაზში იმდენად არ ვარგოდა, რეალურად ერთხელაც არ გვიფიქრია, რომ „ვალენსიას“ პრობლემები შეექმნებოდა. გლაზგოელთა ფორვარდმა **კენი მილერმა** კბილები მხოლოდ ერთხელ, „ლამურების“ კიპერ **სესარ სანჩესთან** შეხლა-შემოხლისას გამოაჩინა.

ერთი სიტყვით, ამ ჯგუფში მიმდინარე მოვლენები ლოგიკას ექვემდებარება: „რეინჯერსის“ მაქსიმუმი მესამე ადგილზე გასვლა და ევროპის ლიგაში გადასვლა უნდა იყოს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა (მაგალითად, მომდევნო ტურში „რეინჯერსმა“ „აიბროქსზე“ „მანჩესტერი“ არ დაამარცხა), ალბათ ასეც იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-0 | 10 |
| 2. ვალენსია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-2 | 7 |
| 3. რეინჯერსი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4. ბურსა | 4 | 0 | 0 | 4 | 0-9 | 0 |

### D ჯგუფი

### რუბინი–პანათინაიკოსი 0:0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალან კასაევი (რუბინი)

არ უქნია ღმერთს ყაზანის „რუბინი“! მარტო „ბარსელონასთან“ მიღწეული ფრე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვერ გაგიყვანს, აუტსაიდერ „პანათინაიკოსს“ კი ყაზანელებმა ვერაფრით მოუგეს. ახლა კი, იმის გამო, რომ ყაზანელებმა „პანათინაიკოსთან“ ვერაფერი გააწყვეს, ჯგუფიდან „ბარსელონასთან“ ერთად „კოპენჰაგენი“ გადის. „რუბინი“ უტევდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, მაგრამ რუსებს წინა ხაზში ძალიან ბევრი რამ აკლდათ იმისათვის, რომ გოლი გაეტანათ. მოთამაშეები ბურთს ერთმანეთს აწვდიდნენ, რაიმე ნორმალურის მოფიქრება კი ვერაფრით მოახერხეს. საუკეთესო შანსი **ნავასს** ჰქონდა, მაგრამ „პანათინაიკოსი“ მეკარე **ცორვასმა** იხსნა.

მომდევნო ტურში „რუბინი“ „კოპენჰაგენს“ მასპინძლობს და თუ მოიგო, შანსი ექნება, ოლონდ, ბოლო ტურში, ყაზანელები ბარსელონაში ჩადიან, თუმცა, ვინ იცის, იქნებ კატალონიურ გრანდს ბოლოს ქულები აღარც დასჭირდეს და „რუბინმაც“ შარშანდელი გაიმეოროს...

### კოპენჰაგენი–ბარსელონა 1:1

**გოლები:** 0:1 მესი (31), 1:1 კლაუდემირი (32)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კლაუდემირ დომინგეს დე სოუზა (კოპენჰაგენი)

...ზემოთ გამოთქმული მოსაზრება საკმაოდ რეალურია, მაგრამ ამ ეტაპზე, „ბარსასთან“ ერთად ჯგუფიდან გასვლას „კოპენჰაგენი“ იმსახურებს. დანიელებმა საკუთარ მოედანზე კატალონიურ გრანდთან სამართლიან ფრეს მიაღწიეს. „ბარსელონა“ საგოლე მომენტებს გულგრილად მოუდგა, სხვა დანარჩენი კი ცუდი საყურებელი იყო. მაგალითად, „ბარსას“ კიპერმა **ვიქტორ ვალდესმა** „კოპენჰაგენის“ თავდამსხმელ **დეიმ ნ'დოიეს** ორთაბრძოლისას სახეში წიხლი უთავაზა, მაგრამ ვალდესი არ გააძევეს. მატჩის შემდეგ კი მწვრთნელებმა ერთმანეთს დასცხეს: **პეპ გვარდიოლა** და **სტალე სოლბაკენი** ერთმანეთს კინაღამ ხელით შეეხნენ. **სერხიო ბუსკეტსსა** და მსაჯებს რომ არ ეყოჩაღათ, მწვრთნელები ნამდვილად იჩხუბებდნენ.

*„ვამაყობ ჩემი გუნდით, ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და მსოფლიოში საუკეთესო გუნდთან მედგრად იბრძოლეს. მოპოვებული ქულა დამსახურებულია. წინ კი ურთულესი მატჩი გველის „რუბინთან“. ფაქტი ერთია: ყველანი მერვედფინალზე ვოცნებობთ,“* - თქვა მატჩის შემდეგ ემოციურმა სოლბაკენმა.

*„ორი წელია, „ბარსელონას“ მწვრთნელი ვარ და თამამად ვიტყვი, ფიზიკურად ასე კარგად მომზადებულ გუნდთან პირველად ვითამაშეთ“*, - ეს კი გვარდიოლას სიტყვებია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 8 |
| 2. კოპენჰაგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 3. რუბინი | 4 | 0 | 3 | 1 | 1-2 | 3 |
| 4. პანათინაიკოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მანჩესტერ სიტი**



გარეთ ბერი

# ისტლენდელები გოლფს თამაშობენ და... იფიცებიან

„მანჩესტერ სიტის" „ლევერკუზენის" შემტევი ნახევარმცველი **რენატო აუგუსტო** აინტერესებს. 22 წლის ვარსკვლავს სამშობლოში, ბრაზილიაში **კაკას** ადარებენ და მისი ფასი 24 მილიონი დოლარია. საინტერესოა, რომ „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორის **რუდი ფიოლერის** თქმით, თუ ისტლენდელები საინტერესო და თან ოფიციალური წინადადებით მიმართავენ, აუგუსტოს გაყიდვას წინ არაფერი დაუდგება.

*„მანჩესტერელთა ინტერესი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩვენ პრემიერლიგის წამყვან კლუბებს ფინანსურად ვერ შევეწინააღმდეგებით".*

მაგრამ ღირს კი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის დღევანდელ „სიტიში" გადასვლა? კარიერის თვალსაზრისით ვამბობთ, თორემ ხელფასს იცოცხლე, დაუნიშნავენ... აი, **გარეთ ბერის** მაგალითი ავილოთ. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს „სიტის" მწვრთნელის **რობერტო მანჩინისთვის** ბოდიშის მოხდამ მოუწია. მიზეზი: მან თავი დაადო და შოტლანდიის ქალაქ სენტ ენდრიუსისკენ გასწია, სადაც ცნობილი გოლფკლუბია. მოკლედ, გაერთო. მაგრამ ბოდიშის მიუხედავად ბერი ფანების რისხვას მაინც ვერ გადაურჩა, რადგან გაზეთებში დაიბეჭდა მისი, **ჯო ჰარტის, ადამ ჯონსონის** და **შეი გივენის** ფოტოები, სადაც მათი ლაღობა და გოლფის თამაში გახლდათ აღბეჭდილი.

ერთი შეხედვით, რა უნდა დაშავებულიყო იმით, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გოლფის სათამაშოდ წავიდა? რა და, რობერტო მანჩინის აზრით, იმ გუნდის მოთამაშეებს, რომელთაც პრემიერლიგაში ამბიცია აქვთ, „ვულვერჰემპტონთან" წაგების შემდეგ შოტლანდიაში გასართობად წასვლის ხალისი არ უნდა ჰქონოდათ. მეორე მხრივ კი, ბოლო დღეების ცნობათა თანახმად თავად მანჩინის პოზიციაა შერყეული, თუმცა „სიტის" შეფები ამას უარყოფენ.

შეგახსენებთ, რომ „ვულვზთან", იმავე შეხვედრისას, მოედანზე „სიტის" მოთამაშეებს შორისაც მოხდა შეხლა-შემოხლა: **ემანუელ ადებაიორი ვენსან კომპანის** წაეკიდა, ხოლო წინა ტურში, „არსენალთან" თამაშის დროს **ჯეიმს მილნერმა** და **იაია ტურემ** იდავეს. თუმცა ბერი ამტკიცებს, რომ ამაზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მათ კლუბს ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავს.

*„კარგად თუ დავუკვირდებით, სწორედ ასე გამოდის,* - უპასუხა ფეხბურთელმა კითხვაზე, ხომ არ რჩება შთაბეჭდილება, რომ „მანჩესტერ სიტის" კლუბსგარე ძალები ერჩიან, - *და ეს გულსატკენია. ყველა წვრილმანს დაკვირვება და შეფასება უნდა. დააკვირდით პრემიერლიგის ბოლო ტურის შეხვედრებს. თუ გნებავთ, ბოლო ტურს თავი დავანებოთ და საერთოდ, ფეხბურთის მატჩებს გადავხედოთ. არ არსებობს თამაში, რომელშიც ფეხბურთელები ერთმანეთს არ ეკამათებიან. კამათი განსაკუთრებით მაშინ მწვავდება, როდესაც გუნდს რადაც უნდა დაუჯდეს გამარჯვებისკენ ისწრაფვის. ის, რომ ჩვენ ვკამათობთ, ჩემთვის კარგის ნიშანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოგება გვინდა და დარწმუნებული ვარ, ამას მწვრთნელიც ძალიან კარგად ხედავს და ხვდება".*

ახლა, „მანჩესტერ სიტის" ევროლიგაში პოზნანის „ლეხთან" აქვს სათამაშო, მაგრამ ვინაიდან გუნდს პლეი-ოფის ეტაპზე გასვლა ფაქტობრივად გარანტირებული აქვს, ისტლენდელები ძირითადად პრემიერლიგაში „ვესტ ბრომვიჩთან" შემდეგ თამაშზე ფიქრობენ. აი, „ვესტ ბრომვიჩის" შემდეგ კი „სიტის" უკიდურესი მნიშვნელობის მატჩი აქვს - „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება. გარდა იმისა, რომ ამ თამაშს, როგორც დერბის აქვს მნიშვნელობა და მასში გამარჯვება ცხრილისთვისაც მეტისმეტად საჭიროა, მას დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაც ემატება. 10 ნოემბერს „იუნაიტედთან" გამარჯვებამ ისტლენდელებს შეიძლება ყველაფერი სასიკეთოდ შემოუტრიალოს.

*„ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, ყველანი ერთ მუშტად შევიკრათ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ,* - დასძენს ბერი. - *ჩვენს გუნდში ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი მწვრთნელთან ერთად ყველა ღონეს ხმარობს, რათა საქმეები სასურველ კალაპოტში ჩადგეს. რასაკვირველია, გაზეთებში ბევრი რამ იწერება და ბევრი ეჭვი გამოითქმება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კარგი შედეგებით ყველა კითხვას პასუხს გავცემთ".*

**ლივერპული**

# ჰენრი დიდი ხნით, კოული ორი კვირით

„ლივერპულის" ახალ მეპატრონე **ჯონ ჰენრის** ყმაწვილთა აღზრდის სისტემის გამოცვლა სურს. ის ამბობს, რომ მერსისაიდელები „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალს" მხოლოდ ასე თუ გაუტოლდებიან. მართლაც, მას მერე, რაც 1990-იანი წლების ბოლოს „წითლების" შემადგენლობაში ფეხი ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა **სტივენ ჯერარდმა** მოიკიდა, ლივერპულელი გუნდში აღარ გაჭაჭანებულა და ფანებთან შეხვედრის დროს სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება. მან თქვა, რომ ხსენებული „იუნაიტედი" და „არსენალი" ამ მხრივ ძალიან წინ არიან. მათ ისეთი ფეხბურთელები აღზარდეს როგორებიც **დევიდ ბექჰემი, რაიან გიგზი, ჯეკ უილშერი, კირან გიბზი** და სხვები არიან. რასაკვირველია, ბექჰემსა და უილშერს შორის დროში დიდი განსხვავებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ იმას ვიმეორებთ, რაც ჰენრიმ ბრძანა.

*„მოედანზე გაცილებით უფრო სხარტად უნდა ვმოქმედებდეთ,* - თქვა ამერიკელმა, რომელმაც „ლივერპული" ოქტომბერში გადაიფორმა. - *„არსენალსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" ეს თვისება საკუთარი ახალგაზრდების წყალობით აქვს მიმადლებული, ჩვენ კი ამ უპირატესობას მოკლებულნი ვართ. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ, ახალი მეპატრონეები, „ლივერპულში" დიდი ხნით მოვედით და ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ხანგრძლივი ვადით გვაქვს ჩაფიქრებული. ყველაფერზე მთავარია კლუბში საჭირო ხალხი მოვიყვანოთ. აქ, როგორც ფეხბურთელებს, ასევე პასუხისმგებელი თანამდებობის მქონე ადამიანებს ვგულისხმობ".*

შეხვედრაზე ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ფანებს ჰენრის ნალაპარაკები მოეწონათ. არადა, ისინი ბოლო წლების განმავლობაში უცხოელ ინვესტორთა კრიტიკას უფრო დაეჩვივნენ ვიდრე ქებას. წინა მეპატრონეები, რომლებიც ჰენრის მსგავსად ამერიკელები იყვნენ, ფულს ადგილობრივი კადრების აღზრდის ნაცვლად საზღვარგარეთიდან ვარსკვლავების მოზიდვაში ხარჯავდნენ. „წითლების" ქომაგთა გასალიზიანებლად მერსისაიდელი ახალგაზრდების ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაში „ევერტონმა" გაცილებით უფრო შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა.

და მაინც, იყო საკითხები, რომლებიც ფანებს არ მოეწონათ. რასაკვირველია, ეს ფულთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ჰენრიმ თქვა, რომ მას არავისთვის არანაირი წერილობითი გარანტია არ მიუცია იმასთან დაკავშირებით, რომ ფული, რომლითაც მან „ლივერპული" შეიძინა მომავალში ისევ კლუბს არ დააწვება ვალად.

*„რამდენადაც მახსოვს ამაზე ლაპარაკი არც გვქონია. ჩვენ ყველანი შევთანხმდით, რომ ყველა აღებული კრედიტი სტადიონის ასაშენებელი ფულის გარდა უნდა დაიფაროს",* - თქვა ახალმა მეპატრონემ, რომელიც ამ კვირაში კლუბთან დაკავშირებული ყველა მთავარი საკითხის მოსაგვარებლად ინგლისშია. მთავარ საკითხებში შედის **როი ჰოჯსონთან** საიანვრო სატრანსფერო პოლიტიკაზე ლაპარაკიც. ერთი რამ ამთავითვე ცხადია, ჰოჯსონი ფეხბურთელებს თავის გემოზე ველარ იყიდის. ჰენრიმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უეფას ახალი კანონების თანახმად კლუბების მეპატრონეებს ბიუჯეტის გაუთვალისწინებლად ჯიბეზე ხელის გაკვრის საშუალება აღარ ექნებათ.

ბოლოს კი ჰენრიმ ფანებთან შეხვედრა მაინც ოპტიმისტურად დაასრულა. *„მართალია, ამ წუთას ბევრ კლუბს მთელ რიგ საკითხებში ჩამოვრჩებით, მაგრამ მაინც გამოვნახავთ გზებს, რომლებიც ჩემპიონობამდე მიგვიყვანს".*

**ჯო კოული** კი კვირას, „ბოლტონთან" ნატკენი ორთავა კუნთის გამო ორ კვირას გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ „წითლებმა" ბოლტონელებს 1:0 მოუგეს. ის, რომ გარემარბის ტრავმა მთლად სახუმარო არ იყო, იმთავითვე ჩანდა, მაგრამ ახლა, თამაშიდან რამდენიმე დღის შემდეგ გადაღებულმა სურათმა უკვე საბოლოოდ გამოკვეთა შექმნილი მდგომარეობა.

ექიმმა **პიტერ ბრუკნერმა** თქვა: *„ახალმა სურათმა დაადასტურა, რომ ჯოს ორთავა კუნთი აქვს გაჭიმული. ეს, რასაკვირველია, სერიოზული ტრავმა არ არის, მაგრამ ორკვირიან მკურნალობას მაინც მოითხოვს".*

ასე და ამგვარად, კოულს მომავალ კვირას, „ენფილდზე" „ჩელსისთან" თამაშის გამოტოვება მოუწევს და ეს რომ მერსისაიდელთათვის დიდი დანაკლისია, ჰოჯსონის ამ ნათქვამიდანაც ჩანს:

*„ბოლო შეხვედრაში ჯომ ცალკეულ ეპიზოდში უბრალოდ დიდებული ფეხბურთი გვაჩვენა. განსაკუთრებით ფერნანდო ტორესთანააწყო შესანიშნავი პარტნიორობა. ის ძალიან თავდადებული და დაუზარელი ფეხბურთელია, მაგრამ საუკეთესო თამაში ჯერ კიდევ წინ აქვს და ამის შესახებ თავადაც კარგად მოეხსენება".*



ჯო კოული

**სატრანსფერო ჭორები**

# ტორესი ბრწყინვალეა, მაგრამ...

„ჩელსის" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** არ დამალა, რომ **ფერნანდო ტორესის** დიდი თაყვანისმცემელია, მაგრამ ისიც დააყოლა, რომ იანვარში, სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ „ლივერპულს" მისი მიყიდვის თხოვნით არ მიადგება. „ლურჯების" იტალიელმა თავკაცმა თქვა, რომ თავისი გუნდის ახლანდელი შემადგენლობა სავსებით აკმაყოფილებს და ამ სეზონში არავის დამატებას არ ფიქრობს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ის კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** მიიყვანოს და საფულის გახსნა ათხოვნინოს, ვინმეს ტრავმა იქნება.

საქმე ის გახლავთ, რომ დროდადრო პრესაში გამოჩნდება ხოლმე ინფორმაცია, თითქოს „ჩელსი" ამა თუ იმ დიდ ვარსკვლავს ყიდულობს, მაგრამ ანჩელოტიმ ეს ხმები უარყო - მათ შორის იყო ჭორი ფერნანდო ტორესის შესახებაც.

*„ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ ტორესის ყიდვას ჩვენ არ ვაპირებთ, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს და მათი აღზრდა გვირჩევნია. შემიძლია დენიელ სტარიჯი და გაელ კაკუტა გამოვყო კიდეც. ახალგაზრდების გარდა ჩვენ გვყავს ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც არიან დიდიე დროგბა, ნიკოლა ანელკა და სალომონ კალუ. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება თუნდაც ისეთი ფანტასტიკური ფეხბურთელი, როგორიც ფერნანდო ტორესი გახლავთ. შემადგენლობით, რომელიც დღეს გვყავს, ჩვენ შეგვიძლია ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც ვმონაწილეობთ, წარმატებისთვის ვიბრძოლოთ. ერთადერთი, რაც მინდა ისაა, რომ რამენაირად ტრავმებს გადავურჩეთ. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ, ფეხბურთელების ჯანმრთელობას მუდმივად ვაკონტროლებთ და მათი ძალების აღდგენაზე ვზრუნავთ. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ყოველი შეხვედრის წინ დარწმუნებული უნდა ვიყო: ფეხბურთელები, რომელთაც ვენდობი და მოედანზე ვუშვებ, აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თუკი ყველა სალ-სალამათი გვეყოლება, ახალი არავინ დაგვჭირდება. მერწმუნეთ, ჩვენ ფანტასტიკური გუნდი გვყავს".*

**სადისციპლინო საკითხი**

# რედნაპს არაფერი დაუშავებია

„ტოტენჰემის" მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სანქციებს გადაურჩა. მოგახსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრაში მანჩესტერელი **ნანის** მიერ ლონდონელთა კარში გატანილმა კურიოზულმა გოლმა რედნაპი აღაშფოთა და მან მატჩის შემდგომ სატელევიზიო კომენტარში მსაჯი **მარკ კლეტენბერგი** და მისი ასისტენტები გააკრიტიკა. უფრო სწორად, „სფურზის" თავკაცმა თქვა, რომ სადისციპლინო კომისიის წინაშე წარდგომის წინ არბიტრი და თანამსაჯები პირს შეკრავენ და თავის გასამართლებლად საერთო ვერსიას მოიფიქრებენო.

აი, ამ კომენტარის გამო ფეხბურთის ასოციაციამ რედნაპზე ფიქრში მთელი 48 საათი დახარჯა. შეგახსენებთ, რომ თავად მწვრთნელი იმუქრებოდა, თუ ასოციაცია დამსჯის, თავად მის წინააღმდეგ საქმეს აღვძრავო. ვერ გეტყვით, ამ მუქარამ ითამაშა თუ არა რაიმე როლი, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა ასეთი განცხადება გააკეთა:

*„არანაირ სანქციებს არ მივმართავთ. საქმე საერთოდ არ განიხილება. ერთადერთი ზომა ის არის, რომ ჰარი რედნაპი გავაფრთხილეთ, რომ მომავალში თავის კომენტარებს დააკვირდეს. მას სიტყვების მეტად აწონა მოუწევს".*

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის ასოციაციამ საერთოდ ნაუყრუა რედნაპის მუქარას, რომ მომავალში ბოიკოტს გამოაცხადებს და მატჩის შემდგომ სატელევიზიო ინტერვიუებს აღარ მისცემს. როგორც მოგახსენეთ, თემა ერთი იყო: რედნაპმა მსაჯებს სათქმელის შეთანხმებაში დასდო ბრალი, რაც, თავის მხრივ, კლეტენბერგის უპატიოსნებას ნიშნავდა.

*„არ მგონია, რომ ეს საკითხი საერთოდ ღირდეს ამდენ ლაპარაკად და განხილვად,* - თქვა რედნაპმა ჩემპიონთა ლიგაში „ინტერის" 3:1 დამარცხების შემდეგ. - *მიხარია, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დაპირისპირება



ანტონიო კასანო

# თუ საჭიროა, ბენზინსაც დალევს...

## კასანო: გუნდიდან მართლაც მომკვეთეს

„სამპდორიას" მთავარი გუნდიდან მოკვეთილი **ანტონიო კასანო** დროს უქმად არ კარგავს და მედიის სხვადასხვა საშუალებასთან საკმაოდ აქტიურად ურთიერთობს. ორიოდე დღის წინ, ერთ-ერთ გასართობ ტელეშოუში მიიღო მონაწილეობა, სადაც ბუნებრივია, პრეზიდენტ **რიკარდო გარონესთან** არსებულ კონფლიქტზეც მოუხდა საუბარი. გამომდინარე გადაცემის გასართობი ხასიათიდან, კასანოს კომენტარი მხოლოდ ნაწილობრივ უნდა მივიღოთ სერიოზულად:

*„დიახ, მართლაც მოკვეთილი ვარ გუნდიდან, რაც ძალიან მწყინს, მაგრამ რას ვიზამ - ეს ჩემი გადაწყვეტილება არ იყო. სამწუხაროა, რომ კლუბის მესვეურები არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ, თითქოსდა, ტრავმა მაქვს და ამის გამო ვერ ვხვდები სამატჩო განაცხადში. რეალობა კი სწორედ ისეთია, როგორც პრესაში იწერება. გარონემ წვეულებაზე მისვლა მთხოვა, რაზეც დელიკატური უარი ვუთხარი. ახსნა-განმარტება მთხოვა და მეც ვუპასუხე, რომ ჩემი მოვალეობა წვეულებებზე სიარული არ იყო. ამაზე ძალიან გაცხარდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, არც მე დავაკელი და რა დასამალია, ბევრი ზედმეტი ვუთხარით ერთმანეთს. სიმართლე ისაა, რომ არანაირად არ მსურდა გარონესთან კონფლიქტი და მით უმეტეს, არ მსურს „სამპდორიიდან" წასვლა. ძალიან მინდა შერიგება და გუნდში დაბრუნება, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ - თუ საჭიროა, გარონეს ნავთობკომპანიის ბენზინს დავლევ, ოღონდ ეს საქმე მოგვარდეს".*

ჟურნალისტის კითხვაზე, ითამაშებს თუ არა კასანო სერია A-ს მომდევნო ტურში, ფეხბურთელმა შემდეგი პასუხი გასცა:

*„როგორც უკვე აღვნიშნე, მე ნამდვილად მინდა მოედანზე დაბრუნება და თუ ამის საშუალებას მომცემენ, ძალიან გამიხარდება. ჩემი თანაგუნდელების იმედი მაქვს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ ვარ დარწმუნებული, რომ „სამპას" მაისურის მორგების საშუალება კიდევ მექნება. გარონე ჯიუტი ადამიანია, ამით მხოლოდ ვნებს გუნდს და საკუთარ თავსაც".*

**ლაშა წიკლაური**

● ფიორენტინა

# ტრავმების ეპიდემია ვიოლაში

„ფიორენტინას" კიდევ ერთი პრობლემა დაემატა - ვარჯიშისას გუნდის ძირითადი კიპერი **სებასტიან ფრეი** დაშავდა და შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარც დაუბრუნდეს მოედანს. დიახ, არ არის გამორიცხული, ექიმებმა ჯვარედინი მყესების განყვეტის დიაგნოზი დასვან, ეს კი მინიმუმ ექვსთვიან მკურნალობას მოითხოვს. არის უფრო ოპტიმისტური ვარიანტიც, ანუ თუ კუნთის გაჭიმვაზეა საუბარი და არა მყესების განყვეტაზე, მაშინ სარეაბილიტაციო პერიოდი მხოლოდ ერთ თვეს გასტანს. ნებისმიერ შემთხვევაში, „ფიორენტინასთვის" ეს პრობლემაა - **არტურ ბორუცისთვის** კი შანსი.

დიახ, პოლონელი მეკარე ფლორენციაში ჩასვლის დღიდან წუწუნებდა, თუ არ გჭირდებოდით, რას მიყიდეთო... დღევანდელი გადასახედიდან კი მისი ტრანსფერი ძალიან ჭკვიანურ გადაწყვეტილებად მოჩანს. თითქოს, „ვიოლას" მესვეურები გრძნობდნენ, რომ ფრეის რაღაც დაემართებოდა და მისი ღირსეული შემცვლელის მოძებნა იყო საჭირო. თუმცა, იქნება თუ არა ბორუცი ღირსეული შემცვლელი, ამას დრო გვიჩვენებს. პოლონელი კიპერი ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„ფრეის ტრავმა ძალიან მეწყინა და იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება. მესმის, რომ გულშემატკივრებსაც ძალიან ეწყინათ ეს ინფორმაცია, მაგრამ ვპირდები მათ, რომ ბოლომდე დავიხარჯები და თავს არ დავზოგავ, რათა გუნდმა წარმატებით იასპარეზოს. საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და მჯერა, რომ „ვიოლას" ქომაგებს მალე შევაყვარებ თავს".*

„ფიორენტინას" პრობლემები ამით არ მთავრდება - თავად განსაჯეთ, მომდევნო ტურში „კიევოსთან" გასამართავი პაექრობისთვის **სინიშა მიხაილოვიჩი** სასტარტო შემადგენლობის კიდევ ხუთ ფეხბურთელს მოისაკლისებს: **ხუან მანუელ ვარგასს, კრისტიანო ძანეტის, გაეტანო დაგოსტინოს, ჯანლუკა კომოტოს** და **რიკარდო მონტოლივოს**. სერბმა სპეციალისტმა მედიასთან საუბარში ბედს შესჩივლა, თუმცა იქვე ოპტიმისტური განცხადება გააკეთა:

*„ფატალური უიღბლობაა, რომელიც სეზონის დაწყებიდან თან გვდევს, თუმცა რას ვიზამთ - ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ და შედეგი აუცილებლად მოვა. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელია დაშავებული, მათი შეცვლა ასე იოლი ნამდვილად არ არის, მაგრამ გამოუვალ სიტუაციაშიც არ ვართ. ვინც მოედანზე იქნება, თავი უნდა დადოს, რათა „კიევოს" საკუთარი თამაში მოვახვიოთ თავს და გავიმარჯვოთ. აუცილებლად სამი ქულისთვის ვითამაშებთ, რაც შეიძლება მალე უნდა დავაღწიოთ თავი სატურნირო ცხრილის ფსკერს".*

**ლაშა წიკლაური**



სებასტიან ფრეიც დაშავდა

● ლაციო-რომა

# დერბი მუსლერას გარეშე?

სერია A-ს მომდევნო ტურის ცენტრალური მატჩი რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, სადაც დედაქალაქის ორი გუნდი შეებმება ერთმანეთს. რომაული დერბი თავისთავად დიდი მოვლენაა და თუ ამას ამჟამინდელ სატურნირო მდგომარეობას დავუმატებთ, ნათელი გახდება თუ რამდენ მნიშვნელოვანია ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევა. „რომამ" ძალიან ცუდად დაიწყო სეზონი და პრაქტიკულად ყველა ფრონტზე წარუმატებლად ასპარეზობს - „ლაციოსთან" მარცხი კი შესაძლოა ბოლო წვეთი აღმოჩნდეს და **კლაუდიო რანიერის** პოსტის დატოვება მოუხდეს. თუმცა, რანიერის ვინ ჩივის - არ არის გამორიცხული, „ჯალოროსის" ულტრასებს მოთმინების ფიალა აევსოთ და რა მოჰყვება ამ ყველაფერს, ძალიან რთული სათქმელია. მოტივაცია „ლაციოსაც" დიდი აქვს - როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ედუარდო რეიამ** განაცხადა, დერბიში მარცხი გააუფერულებს ყველა იმ გამარჯვებას, რომელიც გუნდმა სეზონის სტარტიდან მოყოლებული მოიპოვა. მოკლედ, დიდი სამზადისია და თითოეული ინფორმაცია, რომელიც დერბის ეხება, მედიის ყურადღების ცენტრში ხვდება.

გუშინ, იტალიელმა ჟურნალისტებმა „ლაციალეს" გულშემატკივართათვის შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელეს - ვარჯიშისას გუნდის ძირითადი კიპერი **ფერნანდო მუსლერა** დაშავდა და დიდია შანსი, „რომასთან" ჯახის გამოტოვებამ მოუწიოს. დღეს, ურუგვაელს გამოკვლევა ჩაუტარდება და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, შეძლებს თუ არა დერბიში მონაწილეობას. თავად მუსლერა ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„ტკივილს ფეხის არეში ვგრძნობ და როგორც ჩანს, წვრთნისას არასწორი მოძრაობა გავაკეთე. იმდენად მინდა დერბიში თამაში, რომ მჯერა, აუცილებლად გავალ მინდორზე. ჩვენი მიზანია გავიმარჯვოთ და საამისოდ ძალებს არ დავზოგავთ. სატურნირო ცხრილმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს - მართალია, თანაქალაქელებს პრობლემები აქვთ, მაგრამ ერთი კონკრეტული მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება რომ შეუძლიათ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. დერბი კი ისეთი თამაშია, სადაც პროგნოზის გაკეთება უმადური საქმეა. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი".*

**ლაშა წიკლაური**

● ბაიერნი



ული ჰიონესმა და ლუის ვან გაალმა ყველაფერი გაარკვიეს

# მშვიდობა კლუჟამდე: ული და ლუისი შერიგდნენ

## ...მაგრამ ვან გაალმა ჰიონესს მაინც უკბინა!

„ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** პრეზიდენტ **ული ჰიონესს** კრიტიკაზე (ორშაბათის ნომერში დაწვრილებით ვწერდით) პასუხი „კლუჟთან" მატჩის წინ გასცა. ჰოლანდიელმა თქვა, რომ ჰიონესის კომენტარების გამო *„გაკვირვებული და იმედგაცრუებულია"* და რომ *„გუნდის პრეზიდენტი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს"*. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვან გაალის განცხადების შემდეგ რუმინეთში რეკორდმაისტერის მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა შედგა, რომელიც მიზნად ვან გაალისა და ჰიონესის შერიგებას ისახავდა.

„კიკერის" ინფორმაციით, ლუისმა და ულიმ შეხვედრის დროს ერთმანეთში გულახდილად ილაპარაკეს, ხოლო საუბრის ბოლოს კი ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. შეხვედრის შემდეგ, „ბაიერნის" ვებგვერდმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ჰიონესსა და ვან გაალს შორის გაუგებრობა ამოწურულია და რომ პრეზიდენტიცა და მწვრთნელიც ძველებურად აგრძელებენ მუშაობას. შეხვედრაზე, რომელიც უშუალოდ „კლუჟთან" მატჩის წინ შედგა, ჰიონესისა და ვან გაალის გარდა, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, ფინანსური მენეჯერი **კარლ ჰოპფნერი** და სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელის თქმით, ყველანაირი გაუგებრობა დასრულებულია და ისიც გადაწყდა, რომ „ბაიერნის" შეფები მომავალში უფრო ხშირად შეიკრიბებიან და ყველაფერს დეტალურად განიხილავენ ხოლმე.

ახლა კი, რაც შეეხება ვან გაალის პასუხს, რომელიც, ვფიქრობთ, მკითხველს ძალიან აინტერესებს. რუმინეთში ჩაფრენის შემდეგ, ბოსებთან შეხვედრამდე ლუისმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე ჰიონესის კრიტიკის შესახებ შემდეგი განაცხადა: *„ახლა ნამდვილად არ მაქვს იმის სურვილი და დრო, რომ ისეთ პიროვნებას გავუმართო ფსიქოლოგიური ომი, როგორიც „ბაიერნის" პრეზიდენტი ული ჰიონესია, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ ჩემი აზრით, გუნდისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პერსონა ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს და ისიც უნდა იცოდეს, რომ პრეზიდენტის მკვახე კრიტიკას ყოველთვის კარგი შედეგი არ მოაქვს. ძალიან გაკვირვებული ვარ იმით, რომ „ბაიერნის" პრეზიდენტმა ჩემზე ასე ილაპარაკა, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა სხვანაირი უნდა იყოს. მიკვირს ისიც, რომ ჰიონესმა ასეთი განცხადებების გაკეთება გუნდისთვის საკმაოდ რთულ პერიოდში გადაწყვიტა. სხვა თუ არაფერი, „ბაიერნს" ერთბაშად ცხრა ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული. მხოლოდ ერთს დავამატებ: ძალიან მიხარია, რომ ჯერ კიდევ „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ვარ".*

ვან გაალი ჰიონესის კრიტიკას უფრო კონკრეტულადაც გამოეხმაურა. მაგალითად, ულის ბრალდებაზე იმის შესახებ, რომ ლუისი მეორეხარისხოვან ფეხბურთელებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მათი მოტივირებისთვის არაფერს აკეთებს, ჰოლანდიელმა უპასუხა: *„მეორეხარისხოვანი ფეხბურთელები? ეს ჩემი კი არა, ჰიონესის სიტყვებია. მე ჩემს განკარგულებაში მყოფ არც ერთ ფეხბურთელს მეორეხარისხოვანს არ ვუწოდებ. მთავარი ის არის, რომ მეც და ჰიონესმაც ერთმანეთზე კი არა, ერთმანეთთან ვისაუბროთ".*

საუბარი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უკვე შედგა და ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური განცხადებით, პოზიტიური შედეგით დასრულდა.

**გოტფრიდ ლენცი**

● ჰამბურგი

# რუუდიც და მლადენიც

გუშინ საღამოს, გერმანულმა საინფორმაციო სააგენტოებმა „ჰამბურგის" ქომაგებისთვის შოკისმომგვრელი ინფორმაციები გაავრცელეს. ჩრდილოგერმანულ კლუბს ერთდროულად ორი ნამყვანი თავდამსხმელი, ორი ლიდერი დაუშავდა - **რუუდ ვან ნისტელროი** და **მლადენ პეტრიჩი**.

არადა, დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც ჰოლანდიელმა და ხორვატმა ფორვარდებმა ტრავმები მოიშუშეს და მინდორზე დაბრუნდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვან ნისტელროი ლაზარეთში მინიმუმ ექვს კვირას დაყოფს. რაც შეეხება პეტრიჩს, მისი ტრავმა შედარებით მსუბუქია, საბოლოო დიაგნოზი კი ხვალ-ზეგ დაისმება. მანამდე, ხორვატის თამაში მხოლოდ მომდევნო ტურში, „ჰოფენჰაიმთანაა" საეჭვო. აქვე, იმ ფეხბურთელებს ჩამოგითვლით, რომლებიც „ჰამბურგს" ასევე ტრავმების გამო ვერ ეხმარებიან: **ფრანკ როსტი, კოლინ ბენჯამინი, დენის აოგო, რომეო კასტელენი, ელიერო ელია, დენის დიკმაიერი** და **დავიდ იაროლიმი**.

**გოტფრიდ ლენცი**



რუუდ ვან ნისტელროიმ ტრავმა მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიუდო

# გადაწყდა: საქართველოს სპორტის სასახლეში

მგონი, თარიღი აღარ შეიცვლება, ანუ საბოლოოდ გაირკვა ძიუდოისტ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის გამართვის თარიღიც და ადგილიც. ამ ტურნირთან დაკავშირებით აქამდე გადაწყვეტილი მხოლოდ ის იყო, რომ თბილისში ჩატარდებოდა და რეგიონში არ გაიტანდნენ, მასპინძელი დარბაზი და ზუსტი ვადები კი რამდენჯერმე შეიცვალა - ჯერ ოქტომბერში სურდათ ჩატარება ძიუდოს აკადემიაში, მაგრამ ნოემბერში გადმოიტანეს და თანაც მშობლიურ არენაზე თავადვე თქვეს უარი - იქაურობა ამხელა შეჯიბრების ჩასატარებლად მართლაც პატარაა. ამის შემდეგ სხვადასხვა დარბაზის პარალელურად ყველაზე აქტიურად ვერის ბაღის საკითხი განიხილებოდა, თუმცა იქ გარკვეული პრობლემები ყოფილა კომუნალური დავალიანებების გამო და საბოლოოდ ისევ გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეზე შეჩერდნენ. ცხადია, ქვეყნის მთავარი სპორტული არენა ჩამონათვალში იმთავითვე შევიდა, მაგრამ მეტისმეტად დიდი იჯარის გამო მასზე არ ლაპარაკობდნენ, თუმცა მოგვიანებით საქმეში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჩაერია, რომელიც ფედერაციას დაფინანსებაში შეეხიდა და საქართველოს ჩემპიონატიც იქ ჩატარდება, ოღონდ ადრე გამოცხადებულზე ცოტა ადრე. თავდაპირველი გეგმით, შაბათ-კვირას - 20-21 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ დღეებში იქაურობა დაკავებული ყოფილა და ისევ სამუშაო დღეებში, ხუთშაბათ-პარასკევს - 18-19 ნოემბერს გადმოიტანეს. სასურველი კი იყო, უქმე დღეებში, თუნდაც ერთი კვირით ადრე გამართულიყო - სამსახურის გამო ახლა ბევრს შეექმნება პრობლემა. თუმცა ფინალური შეხვედრები, ანუ ყველაზე საინტერესო ნაწილი საღამოს გაიმართება, რაც შანსს მომუშავე ქომაგებსაც აძლევს. აქვე გეტყვით, რომ ჩემპიონატზე დასწრება თავისუფალია, ანუ ბილეთები არ გაიყიდება.



სოსო ლიპარტელიანი

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ლიპარტელიანმა** კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ ჩემპიონატში ყველა იასპარეზებს, ვისაც კი გაისად ნაკრებში მოხვედრის სურვილი და პერსპექტივა გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქვეყნის მომავალ პირველობამდე მოუწევთ მოცდაო, გვითხრა ლიპარტელიანმა. შეღავათს მხოლოდ იმათ მისცემენ, ვინც მართლა ავად იქნება და ექიმის ცნობა ექნება, ოღონდ სამედიცინო შტაბიც გააფრთხილეს, რომ ყალბი ცნობის გამოვლენის შემთხვევაში პასუხს აგებენ. ლიპარტელიანთან აპირებს, პირადად გადაამოწმოს ყველა ასეთი შემთხვევა. არადა, დასამალიც რაღაა, კულუარებში უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ მავანთ უკვე დაიწყეს ჩივილი, ტრავმები გვაქვს, ვერ ვიჭიდავებთო, ზოგნი კი ძველ მეთოდებს ვერ ივიწყებენ და შიდა გარჩევებით, ანუ კონკურენტებზე ზემოქმედებით ებღაუჭებიან ხავსს და ასე ცდილობენ ნაკრებისკენ გზის გაკვლევას. თუმცა გვაიმედებს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის, მწვრთნელთა ახალი შტაბის პრინციპულობა.

ფედერაციას ერთსაც ვურჩევთ - მკაცრად გააფრთხილოს სპორტსმენები, რომ ჩხუბის შემთხვევაში აუცილებლად გაატარებს სადამსჯელო ღონისძიებებს დისკვალიფიკაციის ჩათვლით და ეს მუქარა რეალურადაც აასრულოს, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა. სამწუხაროდ, ჩხუბი და აყალ-მაყალი საქართველოში სპორტულ შეჯიბრებებზე უცხო არ არის, მაგრამ ძიუდოში ყოველგვარ საზღვრებს სცილდება და კრიმინალამდე მიდის. საბედნიეროდ, აქამდე ფატალური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მეტოქის დაჭრა, ცემა, ტატამზე შევარდნა და ცხვირ-პირის მტვრევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არაერთხელ მომხდარა. ქომაგის საკითხი ცალკე პრობლემაა, მაგრამ ხშირად ამ აურზაურის ინსპირატორები მოჭიდავეები არიან, რომლებსაც მეტი თავშეკავება მართებთ. თან ჩხუბისთავებად ძირითადად ერთი და იგივე პიროვნებები გამოდიან. ამასთან, ძიუდოა, სამბო თუ ქართული ჭიდაობა, ყოველთვის ეს ხალხი ჩხუბობს, ყოველთვის მათ შეხვედრებს ახლავს აყალ-მაყალი, რადგან სულ ძიძგილაობაზე უჭირავთ თვალი. ვფიქრობთ, ასეთებს დისკვალიფიკაცია დაამშომინებს. მით უფრო, რომ არც სპორტული თვალსაზრისით წარმოადგენენ ისეთ დონეს, მათთან შელევა სანანებელი გახდეს. მათი დასჯა კარგი მაგალითი იქნება ახალგაზრდებისთვის.

ცხადია, აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მსაჯობის პრობლემაც, რაც საქართველოში მართლაც დიდი თავსატეხია და ხშირად სპორტსმენთა პრეტენზიებიც სამართლიანია, თუმცა ეს ჩხუბს მაინც არ ამართლებს. საბედნიეროდ, ახლა საქართველოს ჩემპიონატის ყველა შეხვედრას ვიდეოფირზე იწერენ და მათი ნახვა ყოველთვის შეიძლება. თუ ვინმე მსაჯთა შეცდომით დაზარალდება, ანუ ვერ მოხვდება სამეულში, მას მწვრთნელები აუცილებლად მისცემენ შანსს. სამსაჯო პრობლემების მოსაგვარებლად შარშან ევროპულ ფედერაციასთან შეთანხმებით სლოვაკი **მარიან ჰეპკა** ჩამოიყვანეს, თუმცა მასაც კი აგინეს და თან სრულიად დაუმსახურებლად! კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მისი მაგინებელი რიგითი ქომაგი არ იყო. ასეთი ფაქტები უნდა გამოირიცხოს. დასამალი არც ისაა, რომ ხშირად მსაჯები შეგნებულადაც სცოდავდნენ, მაგრამ იმედია, ასე აღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, პირადად შევესწარი, სოსო ლიპარტელიანი ობიექტური მსაჯობის აუცილებლობაზე რომ ესაუბრებოდა ფედერაციის ხელმძღვანელობას და ობიექტურობის დაცვას სთხოვდა. კარგი იქნება, ხელმძღვანელობაც მაქსიმალურად თუ დაეხმარება ამ საქმეში. ლიპარტელიანმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ეს ძალზე მკაცრი ჩემპიონატი იქნება, სადაც შეღავათი არავის ექნება და ყველას მიეცემა საშუალება, საკუთარი შესაძლებლობა სრულად წარმოაჩინოს. აქვე დავძენთ, რომ საქართველოს ჩემპიონატმა მოჭიდავეთა ის ბირთვი უნდა გამოავლინოს, რომელიც გაისად საერთაშორისო ტურნირებსა თუ ევროპა-მსოფლიოს პირველობებზე ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ იმ სეზონის პირველი საერთაშორისო რანგის შეჯიბრება 15-16 იანვარს ბაქოში გასამართი მასტერსის ტურნირია, სადაც მხოლოდ მსოფლიოს რეიტინგის 16-16 მოწინავე ძიუდოისტი და 2-2 სათადარიგოა მიწვეული, მეორე კი 29-30 იანვარს გასამართი თბილისის მსოფლიოს თასია.

ბოლოს, 23-წლიანთა ევროპის პირველობაზეც ვთქვათ, რომელში მონაწილეობაც საქართველოს ჩემპიონატმა შეიწირა. ის ტურნირი ამ შეჯიბრების პარალელურად - 19-21 ნოემბერს ტარდება ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში და ჩვენი გუნდის გაგზავნაზეც ამიტომ ითქვა უარი - იმ გუნდის უკლებლივ ყველა კანდიდატი საქართველოს ჩემპიონატში იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

ქართველი NBA-ში



# ატლასიანი

ბოლო ორ სეზონში „კლივლენდ კავალიერსი“ „ატლანტა ჰოქსისთვის“ გადაულახავი ბარიერი იყო. ამას უმთავრესად **ლებრონ ჯეიმსი** განაპირობებდა. ამ სეზონის წინ „კლივლენდმა“ ლე“ბრონი„ მოიხსნა („მაიამიში“ გადავიდა) და თამაშს თამაშზე აგებს. საპირისპიროდ, ახალი მწვრთნელის **ლარი დრიუს** ხელმძღვანელობით „ატლანტაში“ სასტარტოებთან ერთად სათადარიგოებიც თავისუფლად ათამაშდნენ და ჯორჯიელები ჯერაც უძლეველები არიან. „ატლანტას“ ვერც ადგილობრივი გულშემატკივრებით შეგულიანებულმა „კლივლენდმა“ აჯობა.

მატჩის სცენარი დრამატული გამოდგა. პირველ მეოთხედში სტუმრებმა მასპინძლებს 40 ქულა ჩაუგდეს, საპასუხოდ მხოლოდ 27 მიიღეს. მეორე მეოთხედის დასაწყისში თანაგუნდელებს ორი ქულა **ზაზა ფაჩულიამაც** შეანია - 44:29. ასეთი უპირატესობის მოპოვების შემდეგ „ქორებს“ სხვაობის შანარჩუნება, როგორც წესი, არ უჭირთ, თუმცა კლივლენდში ასე არ მოხდა - **მო უილიამსის** წინამძღოლობით მასპინძლებმა „დეფიციტიც“ მალე აღმოფხვრეს და მეოთხე პერიოდის პირველივე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც - 75:74.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: როცა ატლანტელებს დაცვაში ძალიან გაუჭირდათ, მწვრთნელმა **ელ ჰორფორდის** ნაცვლად მოედანზე ზაზა შეიყვანა (მესამე პერიოდის მეათე წუთზე, ანგარიშზე 72:69). მეოთხე რაუნდის დასაწყისში „კლივლენდის“ დაწინაურება წამიერი იყო - მომდევნო სამ წუთში მასპინძლებმა „ჰოქსის“ კალათს გასაღები ვეღარ მოარგეს, სტუმრები კი 8:0 გაიქცნენ. ჯონსონისა და კროუფორდის ჯამურ 7 ქულას ფაჩულიამ ერთი საჯარიმო ნაუმატა და - 82:75. ამის შემდეგ „ქორების“ ლიდერობა **მერვინ უილიამსმა** ითავა და „ატლანტამ“ 100:88 გაიმარჯვა.

ჯორჯიელებს წლევანდელ სეზონში ასპროცენტიანი შედეგი აქვთ - 4 შეხვედრიდან ამდენივე მოგება. ორქულიანის გრაფაში ზაზასაც ასპროცენტიანი შედეგი ეწერა, თუმცა მხოლოდ ერთხელ სტყორცნა...

დღეს, გამთენიისას „ჰოქსს“ „დეტროიტ პისტონსისთვის“ უნდა ემასპინძლა.

**კლივლენდი-ატლანტა 88:100**

ზაზა ფაჩულია: 15:34 წუთი, 3 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 04:26 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:58 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:05 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| 00:02 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 10:45 | ორქულიანი: 2ძ (44:29) |
| 10:45 | საჯარიმო: 1/0 |
| 09:33 | ფოლი: 1 |
| 09:18 | ფოლი: 2 |
| 09:18 | შეცდომა: 1 |
| 08:53 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:23 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 08:52 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 82:75) |
| 06:19 | ფოლი: 3 |
| 06:19 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი

# ცინცაძემ საკუთარ თავზე აიღო

## როკმა კალევი დაამარცხა

ესტონეთის ჩემპიონატში „ტარტუ როკმა“ უშუალო კონკურენტ „კალევს“ უმასპინძლა. მატჩის დასრულებამდე 2 წამით ადრე ტაბლოზე ანგარიში თანაბარი იყო - 70:70. გადამწყვეტი შეტევა საკუთარ თავზე „როკის“ ქართველმა გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** აიღო და მეტოქეებს წესების დარღვევა აიძულა. „ბუმ“ ჯარიმების ტყორცნის უფლება მიიღო, ერთი ჩააგდო და თანაგუნდელები 71:70 დააწინაურა...

გავიდა რამდენიმე წამი და ინტერნეტში დაიწერა: 72:71 - „კალევის“ სასარგებლოდ. ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უნდა მოეხერხებინათ ტალინელებს 2 წამში ორქულიანის ჩაგდება... საბედნიეროდ, „ინტერნეტ-ქრონომეტრმა“ აურია და „კალევს“ ორი ქულა არასწორად მიათვალა.

ასე რომ, „ტარტუმ“ ესტონეთის ჩემპიონატის უპირველესი კონკურენტი 71:70 დაამარცხა. საინტერესო იყო შეხვედრის მსვლელობა. „როკს“ ბოლო წლებში ერთი თავისებურება გამოარჩევს - თამაშების უმეტესობას მაღალ ტემპში იწყებს და პირველ პერიოდსაც დიდი სხვაობით იგებს. ტრადიცია არც „კალევთან“ მატჩში დარღვეულა - საწყის 10 წუთში მასპინძლებმა 23:13 მოიგეს. ცინცაძის თანაგუნდელები 10-ქულიან უპირატესობას მეოთხე პერიოდამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა ერთ მომენტში „ჩასთვლიმათ“ და „კალევმა“ სხვაობა სამამდე შეამცირა - 60:63. სწორედ ამ ეპიზოდში თანაგუნდელთა გამოფხიზლება გიორგიმ გადაწყვიტა, შორი მანძილიდან სამქულიანი ზუსტად სტყორცნა და 66:60. ცინცაძე ამაზე არ შეჩერებულა - სირენამდე 47 წამით ადრე ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ ერთი საჯარიმო გამოიყენა და „როკს“ ხუთქულიანი ჰანდიკაპი შეუნარჩუნა (69:64). ბოლო წამებზე კალეველებმა შეუძლებელი შეძლეს - ანგარიში გაათანაბრეს, თუმცა სირენამდე 2 წამით ადრე გადამწყვეტი საჯარიმო ვინ ჩააგდო, უკვე გითხარით.

გიორგი ცინცაძემ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 22 წუთი ითამაშა და 10 ქულას (3-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 8-დან 5 საჯარიმო) 6 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიამატა. ტარტუელთაგან მასზე მეტი მხოლოდ **ეზიუკვუმ** (16) და **აალინგუმ** (12) ჩააგდეს.

„როკი“ ესტონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა, 5 მოგება და 1 წაგება აქვს. „კალევმა“ ორით მეტი მატჩის ჩატარება მოასწრო - 7 მოგება, 1 მარცხი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*P.S. გუშინ ღამით „როკმა“ ესტონეთის პირველობაზე მეშვიდე მატჩი ჩაატარა და მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.* **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებმა სტუმრად „ვორუ“ გაანადგურეს - 111:54.

საინტერესოა, რომ „როკერებს“ 57-ქულიანი გამარჯვებისთვის ლიდერები არ დასჭირვებიათ. მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ** „კალევთან“ მატჩში გადაღლილი ცინცაძე, **კალისტას ეზიუკვუ** და **იანარ ტალტსი** დაასვენა.



გასწორება

სამშაბათს „ქუთაისმა“ რუსთავის „ენერჯის“ უმასპინძლა. ამ მატჩის რეპორტაჟი ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ. მიმოხილვაში ერთ-ერთი ეპიზოდის აღწერისას აღნიშნული იყო, რომ ბექა ნივნივაძე და ბუბა კვიმსაძე შეკამათდნენ, მათ თანაგუნდელები აწყნარებდნენ, მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა და კალათბურთელები მსაჯმა ტექნიკური შენიშვნებით დასაჯა.

კამათი მართლაც იყო, მატჩიც მცირე ხნით შეწყდა, ორმა მოთამაშემ ტექნიკური ჯარიმაც მიიღო, თუმცა უნდა შევასწოროთ: მსაჯმა დავით ბერეკაშვილმა არა ნივნივაძე და კვიმსაძე, არამედ „ქუთაისის“ ნევრი ბუბა ბერიშვილი და „ენერჯის“ ახალწვეული სამუელ ლამუ დასაჯა. ზემონახსენებ ეპიზოდში სწორედ ისინი შეებრძოლენ ერთმანეთს ბურთისთვის, არბიტრებმა სადავო დააფიქსირეს, თუმცა მოთამაშეები ამის შემდეგაც ნაკამათდნენ და თანაგუნდელებმაც სწორედ მათ დასამშვიდებლად მიირბინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# სალომე მელიას საჭადრაკო გამოძახილი

**წლეულს მოჭადრაკეთა საშინაო თუ საერთაშორისო ტურნირებს წარმატებით გაართვა თავი ბათუმელმა დიდოსტატმა სალომე მელიამ, რომელიც ახალგაზრდებში საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია. წლის დასაწყისში მან ქუთაისში ქალთა ეროვნული ჩემპიონატი მოიგო და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აჭარელ მანდილოსანთაგან პირველმა დაიმსახურა ქვეყნის ჩემპიონატზე ოქროს მედალი. ამ კუთხის წარმომადგენელთაგან ასევე პირველი გახლდათ, რომელმაც მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე იასპარეზა, საიდანაც ორი ჯილდოთი დაბრუნდა. ამას წინათ კი „სამაიას" შემადგენლობაში ევროპის საკლუბო ჩემპიონატშიც მოსინჯა ძალები და მესამე დაფაზე „ბრინჯაო" დაიმსახურა.**

**ბათუმელ დიდოსტატთან საუბარი ეროვნული ჩემპიონატით დავიწყეთ.**

— მართალი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, ტაროსს დილიდანვე შეეტყობაო. წლევანდელი სეზონი კარგად დავიწყე და არც ურიგო ფინიში მქონია. ქუთაისში საქართველოს პირველობაზე უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 8 პარტია მოვიგე, ოთხი ყაიმით დავამთავრე და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდი, ნინო ხურციძესთან. საბოლოოდ 13 შესაძლებლიდან 10 ქულით ჩემპიონობა მოვიპოვე, რამაც საკუთარი ძალების რწმენა განმიმტკიცა. ალბათ, ამანაც განაპირობა, მომდევნო ორ ტურნირშიც წარმატებით რომ ვითამაშე: ჯერ მოსკოვში „აეროფლოტის" ღია პირველობაზე ნაზი პაიკიძესთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გავიყავი, ბუქარესტში კი რუმინეთის პრეზიდენტის თასის წრიულ გათამაშებაში ყველას ვაჯობე. ამის შემდეგ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის დავიწყე მზადება. შინ დამუშავებული დებიუტები საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირებზე მოვსინჯე. მერე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ორი სანვრთნელი შეკრება მოგვიწყო ბაზალეთზე, რაც ერთობ ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა.

— **საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველად იასპარეზე. როგორი განწყობით ჩახვედი ხანტი-მანსიისკში?**

— დებიუტანტობის მიუხედავად, მართალი გითხრათ, განსაკუთრებული დაძაბულობა არ მიგრძნია. ეს იყო მხოლოდ, რომ შინაგანად მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი გუნდის წინაშე. რატომღაც, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ უმედლოდ არ დავბრუნდებოდით. შეჯიბრების პირველსავე დღეს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ვუთხარი, რომ ფავორიტებად რუსები და უკრაინელები მიმაჩნია-მეთქი. ჩინელებთან მატჩის მოგების შემდეგ გაოცებულმა ჟაო სიუმ მკითხა, ჩვენი გუნდი მედლების კანდიდატებში რატომ არ დაასახელეო? გამელიმა. ორ ფავორიტზე ვთქვი, მესამე საქართველო ვიგულისხმე, ოლიმპიადაზე კი მეტი საპრიზო ადგილი არ არის-მეთქი, ვუპასუხე. არადა, ჩინელებმა ჩვენთან ნაგების შემდეგ საგრძნობლად გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა და მეორე ადგილი დაიკავეს. რომ არა სერბებთან გაუთვალისწინებელი მარცხი, ვერცხლი ჩვენ დაგვრჩებოდა.

— **მაინც, რა მოხდა სერბებთან შეხვედრისას?**

— განსაკუთრებული არაფერი. ეტყობა, ფიზიკურად ვერ გავუძელით ოლიმპიადის მარათონს, თორემ არც გუნდური და არც პიროვნული თვალსაზრისით მოტივაცია არ გვაკლდა. მაგალითად, მე მესამე დაფაზე ოქროს მედლის კანდიდატი ვიყავი. იმდღევანდელი ნაგებით კი ვერცხლს დავჯერდი. ყოველივეს მიუხედავად, კმაყოფილი ვარ. დებიუტისთვის ორი მედალი სულაც არ არის ურიგო. მით უმეტეს, რომ მე-3 დაფაზე მსოფლიოს ჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა მეექვსე ადგილი დაიკავა. გულდასაწყვეტი ის არის, რომ საქართველოს ქალთა გუნდს, რომლის მოსამზადებლადაც ჭადრაკის ფედერაციამ ყველაფერი გაილო, ხანტი-მანსიისკში მეტის გაკეთება შეეძლო, უბრალოდ, პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ.

— **რუსეთის პირველი ნაკრების დამარცხება თუ შეგეძლოთ?**

— მოგეხსენებათ, ამქვეყნად უძლეველი არავინაა, მით უმეტეს — რუსეთის ქალთა ნაკრები, იმის მიუხედავად, რომ უძლიერესი მოჭადრაკეებითაა დაკომპლექტებული. შარშან ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ხომ დავამარცხეთ ჩრდილოელი მეზობლები. ხანტ-მანსიისკში უალრესად მობილიზებული იყვნენ. ფატალურადაც გაუმართლათ — სამი ნაგებული მატჩი 180 გრადუსით შემოაბრუნეს. ალბათ, მართალია, ძლიერებს უმართლებთო, რომ ამბობენ. ალალად უნდა ვაღიაროთ, ღირსეულად დაიკავეს პირველი ადგილი.

— **პლოვდივში „სამაიას" ჩემპიონობას ველოდით...**

— ფორტუნამ გვაქცია ზურგი — ბოლოსწინა მატჩი საშუალო დონის გუნდთან რომ არ ნაგვეგო, პირველ ადგილს დავიკავებდით. არადა, მეორე ტურში მომავალ ჩემპიონებს, მონაკოს უძლიერეს კლუბს ვძლიეთ. დამატებითი მაჩვენებლები ბულგარეთშიც ოლიმპიადის მსგავსად რომ დაეთვალათ, იქაც მესამე ადგილს დავიკავებდით. ხელცარიელი არც ამ შეჯიბრებიდან დავბრუნდებულვარ — მესამე დაფაზე ბრინჯაო მხვდა.



სალომე მელია

- **ბათუმში როგორ შეხვდნენ შენს წარმატებებს?**

— საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ ოთხი დღე დავყავი ბათუმში, ახლობლები მოვინახულე, რომლებმაც წარმატება მომილოცეს, აჭარის სპორტის მესვეურთაგან კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავის გავხსენებივარ, არავინ შემხმიანებია...

— **სამომავლოდ რას აპირებ?**

— რეიტინგით ქართველ ქალებში მესამე ადგილზე გადავინაცვლე. ვეცდები, ტემპი შევინარჩუნო. ვაჟებში საერთაშორისო ოსტატობა მაქვს, ახლა დიდოსტატობა უნდა შევასრულო. დეკემბრის საერთაშორისო ტურნირებიდან რამდენიმე მოწვევა მივიღე, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, სად გავემგზავრები. მას შემდეგ, რაც 2011 წლის კალენდარი დამტკიცდება, ახალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებ. გაისად ხომ ორი ფრიად მნიშვნელოვანი შეჯიბრება — მსოფლიოს და ევროპის გუნდური ჩემპიონატები მოგველის.

ვაჟა დანელია

ვაჟა სიმონიშვილის კვირიკატურა




# სარკეში

განვლილ 7 დღეში ამ რუბრიკისთვის ამბის ამორჩევა რთული არ ყოფილა - ქართველი მოკრივის, **ავთანდილ ხურციძის** კამერუნელმა მეტოქე **ჰასან ნდამ ნჯიკამმა** თავი გაიშარჟა: ბრძოლის წინ ხურციძეს ურჩია, სარკეში ჩაიხედე, სახე დაიმახსოვრე, თორემ ბრძოლის შემდეგ საკუთარ თავს ველარ იცნობო.

ორთაბრძოლისას ნდამ ნჯიკამს სახეზე სისხლს ვერ უშრობდნენ, გვარიანად დასივდა. შეხვედრის დასრულებისთანავე ავთო აფრიკელთან მივიდა, მის დასისხლიანებულ სახეზე მიანიშნა და რაღაც უთხრა. ალბათ, სარკეში ჩახედვა ურჩია. კამერუნელი ისე იყო ნაცემი, ნამდვილად ვერ გაარჩევდა, ჩვეულებრივ სარკეში იხედებოდა თუ სიცილის ოთახში იყო...

არბიტრებსაც არ აწყენდათ სარკეში ჩახედვა, იქნებ საკუთარი შეცდომები დაენახათ.

სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ორ ჯგუფად ტაშკენტში

ხვალ უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები სრული გუნდით იასპარეზებს: **უშანგი კუზანაშვილი** (52), **ავთანდილ ცინცაძე** (57), **დავით სიმონიშვილი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ლევან ნიკლაური** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100), **ალექსი დავითაშვილი** (+100).

ჩვენები ორ ეტაპად გაემგზავრნენ უზბეკეთში - 31 ოქტომბერს **ემილ რაშის** ხელმძღვანელობით კუზანაშვილი, სიმონიშვილი, მამულაშვილი, ბოდაველი და დავითაშვილი წავიდნენ, რადგან ესენი ხვალ ჭიდაობენ, დანარჩენები კი ნაკრების თავკაც **ოლეგ იაძესთან** ერთად წუხელ წავიდნენ ბაქოში, იქიდან კი დღეს გადაფრინდებიან ტაშკენტში. ასე ორ ნაწილად გამგზავრების მიზეზი უფულობა და უზბეკეთთან გართულებული სატრანსპორტო მიმოსვლაა. მოგეხსენებათ, მოსკოვის გავლით წასვლა ლამის შეუძლებელია, ახლომახლო კი იმ მიმართულებით ყველაზე მოსახერხებელი ბაქოდან გადაფრენა იყო, ოღონდ იქიდანაც ოთხ დღეში ერთხელაა რეისები. ხვალ გამოსასვლელი ხუთეული ბაქოდან დღეს გადაფრენის შემთხვევაში აწონას ვერ უსწრებდა და ისინი ადრე გააგზავნეს, მაშინვე ყველას ერთად წასვლა კი ხარჯებს ზრდიდა და მეორე ჯგუფი ამიტომ გაემგზავრა ასე გვიან.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატი 5-7 ნოემბერს ტარდება, შარშან კი ჩვენებმა ანალოგიურ პირველობაზე 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები **ნიკოლოზ კუცია** (82) და მინდია ბოდაველი გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილებზე კი კუზანაშვილი და პავლიაშვილი გავიდნენ.

ირაკლი თავაძე

ფრენბურთი

# ქალთა ჩემპიონატი დაიწყო

თბილისის აგრარული უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში სტარტი აიღო საქართველოს ჩემპიონატმა ფრენბურთში ქალთა შორის.

7 ნოემბრამდე პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება, მომავალი წლის გაზაფხულზე კი მეორე ტური ჩატარდება, საიდანაც საუკეთესო გუნდები ნახევარფინალში გააგრძელებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას.

**I ტური**

**ბათუმი - ქუთაისი 3:0**
(25:10, 25:18, 25:7)

**ბოლნისი - თსუ 1:3**
(28:26, 23:25, 26:28, 12:15)

**თბილისი - რუსთავი 3:0**
(25:7, 25:9, 25:7)

**II ტური**

**თსუ - ბათუმი 1:3**
(25:12, 15:25, 20:25, 15:25)

**ჯიკო - რუსთავი 3:0**
(25:9, 25:2, 25:4)

**თბილისი - ქუთაისი 3:0**
(25:9, 25:8. 25:5)





# ქართული სპორტული ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ნუ დავკარგავთ საუნჯეს

„ჭიდაობა ჩვენთვის მარტო სპორტი არ იყო. იგი ერთ-ერთი კომპონენტია ერის სულიერი ყოფის ჩამოყალიბებისათვის. იგი ყალიბდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ბოროტებაა მისი უყურადღებოდ დატოვება".

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი

ქართული ჭიდაობა ქართველი კაცის ნიჭის, აზრის და გონების ნაყოფია, ისე, როგორც ქართული ენა, ქართული დამწერლობა, ქართული სიმღერები და სხვა, რომელნიც არავისგან არც ნასესხები გვაქვს და არც მითვისებული, იგი საკუთარი ფესვებითაა ნასაზრდოები.

ქართული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალის წყალობით, რომელიც 450-ზე მეტი ილეთს მოითვლის, ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებმა მსოფლიოსა და ოლიმპიური მწვერვალები დალაშქრეს.

ქართველმა მოჭიდავეებმა გაამდიდრეს, გააკეთილშობილეს ჭიდაობის საერთაშორისო სახეობები, გაუთავებელი ჩოქბჯენის ნაცვლად, ტანგამართულ დგომზე დააყენეს და პაექრობა უფრო ვაჟკაცური, რაინდული და დინამიკური გახადეს.

ქართული ჭიდაობის ჩოხა უსახელოა, წინ ჩაჭრილი, დაკერებული აქვს პეტლები ქამრის გასაყრელად, წელზე მჭიდროდ შემოჭერილია, ბოლოები გაწეულია ზურგისაკენ, რადგან ქამარს ქვეით ხელის ჩავლება იკრძალება.

წარსულში ტანსაცმლით ჭიდაობდნენ იმიტომაც, რომ შარვალს შიგნით საცვლები ეცვათ და არა ტრუსები, თანაც მწვანე მოლზე, როგორც გიორგი ლეონიძე ამბობს, „მწვანე მოლზე ჭიდაობას ნეტა რა სჯობს". არ იყო ნახერხმოყრილი არენები და ტანსაცმელი გარკვეულწილად ტრავმისგანაც იცავდა მორკინალებს.

ავტორიტეტულმა კომისიამ შეიმუშავა ისეთი ფორმა, რომელიც ქართული ჭიდაობისთვის უფრო მოხერხებული იყო ხელის ჩასავლებად და ილეთების ელვისებურად ჩასატარებლად.

ქართული ჭიდაობის ჩოხას არ სჭირდება გრძელი სახელოები და გრძელი შარვალი. ესენი სამბოსა და ძიუდოს ესჭიროება მტკივნეული ილეთების ჩასატარებლად.

ქართული ჭიდაობა ისე კარგადაა აღწერილი ქართველი სპეციალისტების: **ვ. ნამალაშვილის, მ. ხერხეულიძის, ი. თომაშვილის, ა. ადეიშვილის, ქ. ნინიაშვილის ვ. კუხიანიძის,** მრავალრიცხოვანი სახელოვანი ფალავნის: **ს. კანდელაკის, ა. მეკოკიშვილის, ზ. ბაკურაძის ა. ქიბროწაშვილის, ა. კიკნაძის** ძველი და ახალი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრისა და თაყვანისმცემლის მიერ, რომ უკეთესს ვერ წარმოიდგენ.



ანზორ კიკნაძე მოკლემკლავიანი ქართული საჭიდაო ჩოხით

თავისუფალი ჭიდაობა, მიუხედავად მრავალფეროვანი ფანდისა, სპორტული თვალსაზრისით მაინც ჩამორჩება ისეთ შესანიშნავ ეროვნულ სახეობას, როგორიც „ჩოხიანი" ქართული ჭიდაობაა.

ქართული ჭიდაობა ყველას მოსწონს და მათ შორის იაპონელებსაც, რომელთაც ძიუდოში აკრძალეს ქამარს ქვემოთ ხელის მოკიდება და დროც ჩვენსავით ხუთ წუთზე ჩამოიყვანეს თორმეტი წუთიდან.

ქართული ჭიდაობა თავისი მდიდარი ტექნიკური არსენალით ამდიდრებს ძიუდოს, სამბოს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებს.

**სიმონ მაისურაძე**
ვეტერანი მოჭიდავე, საქართველოს ფალავანი (1952 წ)

გაგრძელება იქნება

## თარიღი — 4–10 ნოემბერი

**04.XI. 1904 წ.** დაიბადა **ანდრო ჟორდანია** — ფეხბურთი (გარდაიცვალა 1974 წ.)

**05.XI.1975 წ.** დაიბადა **გიორგი გახოკიძე** — ფეხბურთი

**05.XI.1978 წ.** ფეხბურთში სსრკ ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩში თბილისის „დინამომ" მოსკოვში 0:0 ითამაშა „ლოკომოტივთან" და მეორედ და უკანასკნელად გახდა ჩემპიონი.

**06.XI.1921 წ.** დაიბადა **მიხეილ პირაევი** — ფეხბურთი (გარდაიცვალა 2008 წ.)

**07.XI.1960 წ.** ინგლისში ტურნეს დროს თბილისის „დინამო" 0:5 (0:3) დამარცხდა „შეფილდ უენსდეისთან".

**09.XI.1932 წ.** დაიბადა **გიორგი სხირტლაძე** — თავისუფალი ჭიდაობა.

**09.XI.1947 წ.** დაიბადა **თამაზ გიორგაძე** — ჭადრაკი.

**10.XI.1960 წ.** ინგლისში ტურნეს დროს თბილისის „დინამოსა" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" შეხვედრა 5:5 (1:3) დამთავრდა. გოლები: **მესხი** (2), **ლოლობერიძე** (2), **კალოევი.**

## ვაზუსტებთ!

**„ქართული ქრონიკების" წინა გამოშვებაში მკითხველმა შენიშნა უზუსტობა, რაც სათავეს იმ წყაროდან იღებს, რითაც ვისარგებლეთ. უნდა იყოს: 1976 წ. 3.XI. მტკ (ბუდაპეშტი)-„დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0); 1977 წ. 2.XI.თბილისის „დინამო"-„კოპენჰაგენი" 2:1 (0:0).**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ევროპელი კალათბურთელი, რომელსაც ნბა-მ კონტრაქტი შესთავაზა, თბილისის დინამოელი **გურამ მინაშვილი** იყო.

**პირველმა** ცნობილი ქართველი მწვრთნელებიდან **ნოდარ ახალკაცმა** გადაწყვიტა ძირითად პროფესიასთან ერთად უმაღლესი სპორტული განათლების მიღება — დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**პირველად** 15 წლის ასაკში მოიპოვა თვალსაჩინო წარმატება **ნონა გაფრინდაშვილმა** — 1956 წელს თბილისის ჩემპიონი გახდა ქალ მოჭადრაკეთა შორის.

## ფალავნური ეპიზოდები

მთაწმინდის საჭიდაოზე ნოსტელი დათა ხიზამბარელი ათოლა გლდანელის (აბუაშვილის) მომხრეებმა ხელკეტებით დაუეუეს (ათოლა იყო კულა გლდანელის ბიძა დედის მხრიდან).

დათამ მთავარმმართებლის მოვალეობის შემსრულებელს, პოეტსა და გენერალს გრიგოლ ორბელიანს („კურკას") სთხოვა, ათოლასთან მეორედ დამაჭიდეთო. განმეორებით ჭიდაობას დიდძალი ხალხი მიაწყდა.

აქ უკვე ათოლას აღარაფერი გამოუვიდა ლეგენდარული ხიზამბარელის წინააღმდეგ.

■ ■ ■

ბათუმის როტშილდის ნავთობის ქარხნიდან ნესტორ ესებუას ნაბადში ამოჩრილი ორი ყუთი კალა გამოუტანია და მევალე მედუქნისთვის მიუცია. დიდხანს ეჯაჯგურა თურმე სათითაოდ ამ ყუთებს მედუქნე, მაგრამ ძვრაც ვერ უყო...

ხერხიანი მოჭიდავე იყო კავთისხეველი პოხრო (ნიკოლოზ) პაპიაშვილი. ის იმ დროს გამოვიდა საჭიდაო სარბიელზე, მოჭიდავეთა წონით კატეგორიებად დაყოფა რომ დაიწყეს. ხერხიანობის გარდა, პოხრო ენამოსწრებულიც იყო. მას „აფთარს", „ვეფხვს" და ზოგი „მგელსაც" ეძახდა. — რას მინონით, კაცო, ამ ბიჭებს, კოოპერატივი ხომ არ არის? მოიყვათ, ვინც გინდოდეთ! თუ „მგელი" ვარ, მგელს სტანდარტული ფუნთუშებით როდის კვებავენო — ამბობდა პოხრო.

■ ■ ■

როდესაც ვანო აბულაძემ, იმავე „კამბეჩუა" - ქიზიყელმა ჭიდაობას თავი დაანება, მელვინედ დაიწყო მუშაობა და ღვინის სარდაფი გახსნა. გამოჩენილი ქართულ-ფრანგული ჭიდაობის ძველი ოსტატის სავაჭრო ყოველთვის სავსე იყო მუშტრებით. განა ყველას ღვინო აინტერესებდა, მათ უნდოდათ ვანოს ნახვა და მასთან საუბარი (ვანოს ნამდვილი გვარი იყო აბულაშვილი).

## თქვენთვის, ერუდიტებო! — ვიქტორინა

1 რომელ წელს დაწესდა რაგბიში ანთიმოზ ივერიელის თასის გათამაშება?
ა – 1999 წელს
ბ – 2002 წელს
გ – 2006 წელს

2. რომელი ქართველი გახდა 1996 წელს საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელი?
ა – ლევან ძიგაძე
ბ – გიორგი ჭაჭიაშვილი
გ – თემურ ქეცბაია

3. შედიოდა თუ არა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭადრაკი და რომელ წელს?
ა – არასდროს
ბ – შედიოდა 1924 წელს
გ – შედიოდა 1928 წელს, მაგრამ არ ჩატარებულა.

4. სადაურია საჭადრაკო ტერმინი „გამბიტი" და რას ნიშნავს იგი?
ა – ფრანგულია და ნიშნავს „გადაგდას"
ბ – გერმანულია და ნიშნავს „ცდუნებას"
გ – იტალიურია, ნიშნავს „ფეხის დადებას"

5. ვინ არის საქართველოში ბიათლონის დანერგვის თაოსანი?
ა – ალექსანდრე ქუმარიტაშვილი
ბ – ნიკოლოზ ბუძიშვილი
გ – ალექსანდრე ბუძიშვილი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ა

## იყო ასეთი შემთხვევა...

# არ წააქციო, ლევან!



გამოჩენილი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი იხსენებს: „1972 წელს იაპონიის პროფკავშირთა სპორტულმა ასოციაციამ ქართველ ძიუდოისტებთან ერთად ამხანაგური გამოსვლებისთვის მიგვიწვია. ჩვენს ცნობილ ძიუდოისტ შოთა ჩოჩიშვილს ერთ-ერთ შერკინებაში მხარი დაუზიანდა და ველარ შეძლებდა ტატამზე გამოსვლას, ეს კი ჩვენ ნაგებას გვიქადდა. მწვრთნელებმა მთხოვეს, რომ ძიუდოშიც დამეცვა ჩვენი გუნდის ღირსება. ბედზე ძიუდოისტთა და ჩვენი დარბაზები მეზობლად იყო. ასე რომ, როგორც კი ხალიჩაზე თავისუფალ ჭიდაობას დავამთავრებდი, ტატამზე გავდიოდი. ერთ დღეს ათი შეხვედრა მოვიგე".

ლევან თედიაშვილის ყოველი გამოსვლა თბილისში ნამდვილი დღესასწაული იყო ქართველი გულშემატკივრებისთვის. ეს იყო მხოლოდ, რომ ზოგჯერ ისე სწრაფად იგებდა ორთაბრძოლას, მაყურებელი ჭიდაობის ეშხში შესვლას ვერ ასწრებდა.

ერთხელ გაუგონარი რამ მოხდა: როცა ლევანმა ქვეშ მოიგდო მოწინააღმდეგე და წმინდა გამარჯვებას აღარაფერი აკლდა, ხალხი შეევედრა თავის ფალავანს:

- გაუშვი, ლევან, ცოდოა!
- არ წააქციო, ლევან!

გულშემატკივართა ხათრით ლევან თედიაშვილმა ის შეხვედრა რამდენჯერმე მოიგო.

■ ■ ■

ევროპის ერთ-ერთ ჩემპიონატზე **ლევან თედიაშვილის** მოსყიდვა განიზრახეს, მას დიდძალი თანხა აღუთქვეს, თუ ასპარეზობის ფინალურ ბრძოლას მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელთან წააგებდა.

ლევანმა ის შეხვედრა წმინდად მოიგო.

„მამაჩემი თავისი ორლულიანით მომკლავდა, თუნდაც მხოლოდ ფიქრში რომ დავთანხმებოდი ამ გარიგებას!"

## სპორტსმენები საკუთარ თავზე

**ანდრო ზაზროევი:** მერვე კლასიდან წავედი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში იმიტომ, რომ იქ ფეხბურთელთა ნამდვილი გუნდი ჰყავდათ.

## ფოტო მატიანისთვის



განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის, სპორტისა და ახალგაზრობის საქმეთა სამინისტროების სპეციალისტთა, საქართველოს პარლამენტის სპორტის ექსპერტთა ამ ჯგუფმა მოამზადა „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ქართული მოდელის (ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები) პროექტი", რომლის პრეზენტაცია დღეს გაიმართება სასტუმრო „თბილისი მერიოტში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

3 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ლელო | 22 |
| ლოკომოტივი | 10 |

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია (ანდღულაძე 78), ლომინაძე, გუგავა, მჭედლიშვილი, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (პატარაია 72), ჭყონია, სუჯაშვილი, აზალაძე, ჯალალონია (ხორბალაძე 28), ი.მაისურაძე (ჭყოიძე 48), დ.დაუშვილი, კოლელიშვილი.

*ლ: ყიასაშვილი. 4ს,ა,გ: მჭედლიშვილი*

ლოკომოტივი (15-9) კობერიძე, ჭურღულია, ქავთარაძე (ს.ტუჩაშვილი 67), ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი (ელოშვილი 27), გენებაშვილი, პეტრიაშვილი, ოზგებაშვილი (ნიშნიანიძე 49), გუჯარაიძე, ბერიშვილი, ჩიტიძე, ზ.მაისურაძე.

*ლ: ჩიტიძე. ს,გ: კვინიხიძე.*

მსაჯი: პიერ ესკოლტე (საფრანგეთი)

# ლელო–ლოკომოტივი 9:0

საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ" შესარჩევ ფინალში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი" 22:10 დაამარცხა და დიდ ფინალში თამაშის უფლება დაიბევა.

ლელოელთა და რკინიგზელთა ბოლოდროინდელი დაპირისპირებები მუდმივად პრინციპულ, თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. თასის გათამაშებასა თუ ჩემპიონატში უმთავრესი ფავორიტები სწორედ ეს გუნდები არიან.

პლეი ოფების მატჩებს გუნდები ასე შეხვდნენ: მეორე წრეში რკინიგზელები საფრანგეთიდან დაბრუნებულმა შერკინების ბურჯმა **დავით გასვიანმა** გააძლიერა. თუმცა გუნდს დანაკარგიც ჰქონდა - საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონის „სენ ჟუნიენში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება ასევე შერკინების ბურჯმა **გიორგი ნაცარაშვილმა.**

წლეულს რკინიგზელებს განსაკუთრებით უკანა ხაზში უჭირდათ, რაც „ლელოსთან" მატჩშიც გამოჩნდა. ამ და სხვა სერიოზული პრობლემების მიუხედავად, „ლოკომოტივმა" მაინც შეძლო რეგულარულ გათამაშებაში მეორე ადგილის დაკავება და შესარჩევ ფინალში თამაშის უფლების მოპოვება.

შარშანდელთან შედარებით „ლელომ" წლეულს არასტაბილურად ითამაშა. დიდი ხნის დაუმარცხებელი გუნდი წლევანდელ ჩემპიონატში ოთხჯერ დამარცხდა. ამას, ცხადია, ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. პირველი წრის შემდეგ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, რომლებმაც ფრანგულ კლუბებს მიაშურეს. მეორე წრეში ტრავმირებულებიც მომრავლდნენ. თუმცა პლეი ოფისთვის გამოჯანმრთელება მოასწრეს და „ლოკომოტივთან" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს მესამეხაზელმა **ვიქტორ კოლელიშვილმა,** მეორეხაზელმა **დავით დაუშვილმა,** გარემარბმა **ლექსო გუგავამ** და ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა.**

„ლოკომოტივი", წესით, მეტოქეზე უფრო მოტივირებული უნდა ყოფილიყო. აქამდე „ლელომ" რკინიგზელებს ზედიზედ რვაჯერ მოუგო და, სავარაუდოდ, „ლოკომოტივი" ყველა ღონეს იხმარდა, უსიამოვნო ტრადიციის დასარღვევად. რკინიგზელთა ქომაგების სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

პირველ ტაიმში „ლელომ" მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა. რკინიგზელებმა ქვეყნის ჩემპიონების 22-მეტრიან ზონაში პირველად მე-20 წუთზე შეაღწიეს. იქ რაკში თამაშისას მეტოქეს წესის დარღვევა აიძულეს და მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** ახლო მანძილიდან საჯარიმო ზუსტად დაარტყა. ამ დროისთვის „ლოკომოტივი" - 13:0-ს აგებდა.

ფაქტობრივად, სხვა რამ სახეირო პირველ ნახევარში „ლოკომოტივს" არაფერი უქნია. მათი მდგომარეობა იმითაც დამძიმდა, რომ ტაიმის შუაწელში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, შერკინების ბურჯი დავით გასვიანი დაშავდა და მოედანი დატოვა.

ანგარიში კი მატჩის მე-4 წუთზე „ლელოს" მგეზავმა, ევროპის ჩემპიონატის მომგები 19-წლამდელთა ნაკრების წევრმა **უჩა მჭედლიშვილმა** საჯარიმოთი გახსნა - 3:0.

ორ წუთში ლელოელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. რკინიგზელები ცენტრალურ ხაზთან უტევდნენ. კვინიხიძემ მარჯვენა ფრთაზე მეტოქისგან დაუცველი ზონა დაინახა და ბურთი ფეხით გადაკიდა. „ლელოს" ფულბეკმა ირაკლი ყიასაშვილმა მოწინააღმდეგის მანევრი დროულად შენიშნა. ზონა გადაკეტა და დაკიდებულ ბურთზე სამ ლოკომოტიველს დაასწრო, მერე მათ ცრუმოძრაობით ხელიდან დაუსხლტა და ლელომდე 60 მეტრი ისე ირბინა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მჭედლიშვილმა გარდასახა - 10:0.

ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა, მათ შორის არც ლოკომოტიველები, რომლებიც ოდნავ დაბნეულები ჩანდნენ. „ლელოს" მორკინალები მათ ჩვეული მანევრით, შერკინების მიძალებით თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ. მე-18 წუთზე რკინიგზელები დაცვაში თამაშისას ისევ დაჯარიმდნენ და მჭედლიშვილმა ანგარიში გაზარდა - 13:0.

ორ წუთში ამას კვინიხიძემ იმ საჯარიმოთი უპასუხა, რომლის შესახებაც უკვე ვთქვით. ტაიმის მიწურულამდე „ლელოს" უპირატესობა არ დაუთმია, 35-ე და 38-ე წუთებზე მჭედლიშვილმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და ლელოელები შესვენებაზე 16-ქულიანი ჰანდიკაპით წავიდნენ - 19:3.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი", რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა, საგრძნობლად გააქტიურდა. გუნდის ლიდერს, მესამეხაზელ **ზვიად მაისურაძეს** სხვა მორკინალებმაც აუბეს მხარი და „ლელო" საწყის ათ წუთში საკუთარ 22-მეტრიან ზონაში გამოკეტეს. 50-ე წუთზე კი რკინიგზელებმა ლელოს გატანაც მოახერხეს.

თავისი აქტიურობით ლოკომოტიველებმა მოწინააღმდეგეს მისსავე 22-მეტრიან ზონაში რამდენიმე შეცდომა დააშვებინეს და მორკინალების მძალვერი, მოკლე დარტყმებით ჩათვლის მოედანს მიუახლოვდნენ. რაკიდან ბოლოს ბურთი **დავით ჩიტიძემ** აიტაცა და ლელოში გადადო. კვინიხიძემ გარდასახა - 10:19.

თამაშის დასრულებამდე 30 წუთი იყო დარჩენილი, რაც მატჩის გადარჩენისთვის სავსებით საკმარისი დროა. წესით, ლოკომოტიველებს ზეწოლა უნდა გაეგრძელებინათ, რათა მეტოქე საბოლოოდ გაეტეხათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ზედიზედ სამი საკუთარი დერეფანი წააგეს და „ლელოს" ინიციატივის აღების საშუალება მისცეს.

დასკვნითი ათი წუთი ლელოელებმა თითქმის მთლიანად მეტოქის ნახევარზე გაატარეს. 76-ე წუთზე თავი ისევ მათმა მგეზავმა მჭედლიშვილმა გამოიჩინა, რომელმაც 20 მეტრიდან არეკნი დაკრა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 22:10.

„ლელო" ფინალშია, „ლოკომოტივს" კი ნინასნარ ფინალში „ვისოლი\ყოჩებთან" მოუწევს ბრძოლა.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

3 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ვისოლი / ყოჩები | 23 |
| აია | 13 |

ვისოლი/ყოჩები (15-9) სოხაძე, მახარაშვილი, პ.მაისურაძე, ადანაია, ნიჟარაძე, გაბუნია, ბეგაძე. (1-8) გოგიშვილი (მამუკაშვილი 65), ბრეგვაძე, ხოსიტაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ცხვედიანი (ტყეშელიაძე 52), კალმახელიძე, ნიკოლაიშვილი (დგებუაძე 50)

*ლ: არჩუაშვილი. 5ს: მახარაშვილი (3), სოხაძე (2). ა: ნიჟარაძე.*

აია (15-9) ხამაშურიძე, აბრამიძე, ი.ჩხიკვაძე, სინაურიძე (აშვეთია 54), გოშაძე, შერვაშიძე (ძნელაძე 66), როხვაძე (გოგია 54). (1-8) ლომიძე, სხულუხია (მატკავა 46), გურეშიძე (ტ.ჩხიკვაძე 75), იობიძე, მეტრეველი, რევიშვილი, შალამბერიძე, თხელიძე (ძაგნიძე 54)

*ლ: აბრამიძე. გ: აშვეთია. 2ს: სინაურიძე*

სინბინი: გოშაძე, რევიშვილი.

მსაჯი: ლეონ ვალენი (საფრანგეთი)

# სრული რევანში გასავარდნ ფინალში

საქართველოს ჩემპიონატის გასავარდნ ფინალში თბილისის „ვისოლი/ყოჩებმა" ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ქუთაისის „აია" 23:13 დაამარცხა და ნინასნარ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ გამარჯვებით თბილისურმა გუნდმა რეგულარულ გათამაშებაში მეტოქესთან განცდილი ორი მარცხის გამო რევანში აიღო.

მოთამაშე მწვრთნელის **ბესიკ ხმაშურიძის** დამოძლვრილი საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და სიმპათიური გუნდი, რომელიც რეგულარულ გათამაშებას დიდხანს ლიდერობდა, მხოლოდ მე-4 ადგილს დასჯერდა.

„აიას" წლევანდელი აქილევსის ქუსლი ცუდი სათამაშო დსიციპლინა იყო. ქუთაისურები ხშირად არღვევდნენ თამაშის წესს, რაც თითქმის ყოველთვის მარცხის ფასად უჯდებოდათ. ასე იყო ამჯერადაც. „ვისოლი/ყოჩებმა" მათ კარში ექვსი საჯარიმო დაარტყეს და აქედან ხუთი გაიტანეს. თანაც ფრანგმა არბიტრმა **ლეონ ვალენმა** ათ-ათი წუთით მოედანი მესამეხაზელ **ირაკლი რევიშვილს** და გარემარბ **გაგა გოშაძეს** დაატოვებინა. რიცხობრივ უმცირესობაში ოცი წუთი ისეთ მებრძოლ გუნდთან თამაში „ვისოლი/ყოჩები" რომაა ურთულესი საქმეა.

და კიდევ, „ვისოლი/ყოჩების" მწვრთნელმა მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადა. მგეზავი **თემურ სოხაძე** ფულბეკად დააყენა. **შალვა მახარაშვილი** კი გარემარბად გაამწესა, ხოლო სოხაძის პოზიცია სათადარიგო მგეზავ **გიგა გაბუნიას** ანდო. ამან, ცხადია, „აია" აიძულა თამაშში გარკვეული კორექტივები შეეტანა, რაც, როგორც გამოჩნდა, ბოლომდე ვერც განახორციელა.

ანგარიში მე-6 წუთზე ქუთათურებმა გახსნეს. შუამარბმა **გაგა სინაურიძემ** საჯარიმო გაიტანა - 3:0. ორ წუთში მახარაშვილმა საჯარიმოთივე გაათანაბრა 3:3. პირველი ტაიმის დარჩენილი დრო თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა თბილისელმა მორაგბეებმა მაინც შეძლეს მეტოქის ორი შეცდომის გამოყენება და ჯერ სოხაძემ, მერე ისევ მახარაშვილმა, თითო საჯარიმო გაიტანეს. 9:3 - ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „აიამ" უფრო აქტიურად დაიწყო თამაში და უკვე სამ წუთში საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა, სინაურიძემ შანსი ხელიდან არ გაუშვა - 6:9. ამაზე მახარაშვილმა რვა წუთში ისევ საჯარიმოთი უპასუხა და ექვსქულიანი უპირატესობა აღადგინა - 12:6. ორ წუთში კი, სრულიად კომიკურ სიტუაციაში „ვისოლი/ყოჩებმა", ფაქტობრივად, გამარჯვების ლელო გაიტანეს. თბილისელმა მორაგბეებმა ლელოს მისადგომებთან მეტოქე ბურთიანად აუტში გადაიყვანეს. იქედან ბურთი სწრაფად დააბრუნეს თამაშში, ისე, რომ ქუთათურებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს და მეორეხაზელი **მიხეილ არჩუაშვილი** ლელოში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრა. სოხაძემ ვერ გარდასახა - 17:6.

სამაგიეროდ, ხუთ წუთში იმავე სოხაძემ სხვაობა საჯარიმოთი 14 ქულამდე გაზარდა - 20:6. ასეთი ტოლსწორი გუნდების თამაშში, ეს საკმაოდ სოლიდური ჰანდიკაპია. თუმცა, „აია" ფარხმლის დაყრას არ აპირებდა და 63-ე წუთზე ლელოს გატანაც მოახერხა.

„აია" მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან უტევდა, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში მგეზავმა **ლევან შარვაშიძემ** ბურთი მეტოქის ზურგს უკან ფეხით გადაკიდა. ყველას „აიას" გარემარბმა, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრმა **გიორგი აბრამიძემ** დაასწრო და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. შეცვლაზე შესულმა **თორნიკე აშვეთიამ** გარდასახა - 13:20.

„აიას" მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა. რამდენჯერმე მეტოქის ლელოს სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ თავდადებით მებრძოლი „ვისოლი/ყოჩების" დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. ვნებათაღელვა კი თბილისელთა გარემარბმა **სანდრო ნიჟარაძემ** ჩააცხრო. მან ორმოცი მეტრიდან არეკნით ბურთი „აიას" კარის ძელებს შორის გაატარა, რითაც მეტოქის ყველანაირ ძალისხმევას ხაზი გადაუსვა - 23:13



მიხეილ არჩუაშვილის ლელო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ნინასნარი ფინალი. 8 ნოემბერი**

**ლოკომოტივი-ვისოლი/ყოჩები.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ჟო ვილფრიდ ცონგა

# ფინალი ცონგას გარეშე

საფრანგეთის პირველმა ნომერმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** ნაადრევად დაასრულა 2010 წლის სეზონი, რაც იმას ნიშნავს, რომ 2008 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი ვერ დაეხმარება თავის გუნდს დევისის თასის ფინალში, რომელიც 3-5 დეკემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართება.

25 წლის ცონგას თქმით, ამის მიზეზია მარცხენა მუხლის ტრავმა, რომელიც ჩოგბურთელმა წინა კვირას მონპელიეს ტურნირზე მიიღო. სწორედ ამ დაზიანების გამო გამოიტანა განაცხადი ფრანგმა ამ კვირას ვალენსიის ტურნირიდან.

*„მყესი ჯერ კიდევ მონპელიეს ტურნირის დროს დავიზიანე,* - განაცხადა ცონგამ სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე. - *ამის გამო გამოვტოვებ პარიზის მასტერსსა და დევისის თასის ფინალს“.*

წელს ფრანგმა აშკარად ჩააგდო სეზონი. წლის მეორე ნახევარში ცონგა ძირითადად მუხლის ტრავმის მკურნალობით იყო დაკავებული და ამის გამო „დიდი სლემის“ ბოლო ტურნირი - აშშ-ის ღია პირველობა გამოტოვა. 2010 წელს მას არც ერთი ტურნირი არ მოუგია, უფრო მეტიც - ფინალამდეც კი ვერ მიაღწია. ფრანგის საუკეთესო შედეგია ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლა, სადაც მომავალ ჩემპიონ **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა - 2:6, 3:6, 2:6. სულ ცონგას აქტივში 31 გამარჯვება და 16 მარცხია.

ლიდერის არყოფნა ძალიან დაეტყობა საფრანგეთის ნაკრებს, რომელსაც გაუჭირდება სტუმრად **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სერბეთის ნაკრების შეჩერება. ცონგას არყოფნაში ფრანგების ლიდერი **გაელ მონფილსი** იქნება. გარდა ამისა, გუნდის კაპიტანი **გი ფორჟე მიშელ ლოდრაზე, რიშარ გასკესა** და **ჟილ სიმონზე** გააკეთებს აქცენტს.

■ ■ ■

მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერმა როჯერ ფედერერმა შვეიცარიის ჩოგბურთის ფედერაციის კრიტიკას უპასუხა. შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის“ ტურნირების 16-გზის ჩემპიონმა უარი თქვა დევისის თასის პლეი ოფში ყაზახეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშზე. ის შეხვედრა შვეიცარიამ წააგო და გამოეთხოვა ადგილს მსოფლიოს ლიგაში.

*„ზოგადად კრიტიკა ნორმალურია, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანების უმრავლესობას შესანიშნავად ესმის, რატომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება. საბოლოოდ, მე არ ვითამაშე ყაზახეთის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველთვის პერსპექტივაზე ვფიქრობ. ბოლო მომენტამდე ღიად მქონდა დატოვებული ეს საკითხი. ამასთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდენტთანაც ვისაუბრე და ყველა საკითხი მოვაგვარე. ამიტომაც გაუგებარია ეს კრიტიკა“,* - განაცხადა შვეიცარიელმა.

■ ■ ■

წლის შემაჯამებელი ტურნირის ჩემპიონი **კიმ კლაისტერსი** 2011 წლის სეზონს ტაილანდში დაიწყებს, სადაც საჩვენებელი მატჩის გამართვაა დაგეგმილი. ამის შემდეგ ბელგიელი ავსტრალიაში გადაინაცვლებს, სადაც საფუძვლიანად დაიწყებს მზადებას „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობისთვის.

კიმის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სპორტსმენი ნოემბრის შუა რიცხვებამდე აპირებს დასვენებას, რის შემდეგაც სავარჯიშო პროცესს განახლებს. 9 დეკემბერს ანტვერპენში კლაისტერსი საჩვენებელ მატჩს გამართავს თავის არანაკლებ სახელოვან თანამემამულე **ჟუსტინ ანენთან**.

კლაისტერსი ახალ წელს ტაილანდში შეხვდება. იქ საწვრთნელ მატჩში მისი მეტოქე მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** იქნება. ამას მოჰყვება პირველი ოფიციალური ტურნირი სიდნეიში.

■ ■ ■

ინდიან უელსის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ორგანიზატორებმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, პირველად ისტორიაში Hawkeye-ის ვიდეოგამეორებების სისტემა არამარტო ცენტრალურ კორტზე, არამედ ყველა მოედანზე დამონტაჟდება.

2011 წელს ნამყვანი ქალი და მამაკაცი ჩოგბურთელები ინდიან უელსში 7-20 მარტს ითამაშებენ და ტურნირის აბსოლუტურად ყველა მონაწილეს შეეძლება მსაჯის გადაწყვეტილებების შემოწმება. ტურნირის დირექტორის **სტივ სიმონის** აზრით, ინდიან უელსის მასტერსი ყველაზე უშეცდომო ჩემპიონატი იქნება პროფესიულ ტურში. შეგახსენებთ, რომ ადრე Hawkeye-ის სისტემა მაქსიმუმ სამ კორტზე იყო ხელმისაწვდომი.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უოლის პირველი გაელვება

გასულ ტურში ყველაზე საინტერესო ბრძოლა აღმოსავლეთის აუთსაიდერებმა - „ვაშინგტონმა“ და „ფილადელფიამ“ შემოგვთავაზეს. ეს იყო პირველი შეხვედრა, რომელშიც 2010 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა **ჯონ უოლმა** სრულად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. 29 ქულის და 13 პასის გარდა, დედაქალაქელთა ახალგაზრდა მცველმა 9 (!) ჩაჭრა მიითვალა, რითაც „უიზარდსის“ საკლუბო რეკორდი განაახლა.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, პირველ რიგში უაღრესად დაძაბული დასასრული უნდა გამოვყოთ. მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე „ფილადელფიას“ უპირატესობა 6 ქულას შეადგენდა. მასპინძლებმა სამ ქულამდე შეამცირეს სხვაობა და წამზე ოდნავ მეტი დაიტოვეს ბოლო შეტევისთვის. „ვაშინგტონის“ გადარჩენა D-ლიგის ყოფილმა მოთამაშემ **კარტიე მარტინმა** იკისრა, რომელმაც **ანდრე იგუოდალას** მჭიდრო მეურვეობის მიუხედავად, სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით ხუთ წუთში კი უპირატესობას „უიზარდსი“ ფლობდა, თუმცა „ფილადელფია“ მთლად უშანსოდ არ ყოფილა. 15 წამით ადრე **ელტონ ბრენდმა** წინ გაიყვანა სტუმართა გუნდი, მაგრამ საპასუხო შეტევაში ვეტერანმა **ბლეტჩზე** მიიღო პერსონალური და ამ უკანასკნელმა ორივე საჯარიმო გამოიყენა. „სიქსერზმა“ დარჩენილი 7 წამი იკმარა საბოლოო ტყორცნისთვის, მაგრამ იგუოდალა არაზუსტი იყო. „ფილადელფიამ“ სტარტზე ოთხიდან ოთხი მატჩი წააგო - ამ გუნდს ასეთი ცუდი სტარტი 2001-02 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია.

ახლა კი ისევ ჯონ უოლის გმირულ თამაშს დავუბრუნდეთ. ვაშინგტონელი მესამე ახალწვეული გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც სამ სადებიუტო შეხვედრაში 60 ქულაზე და 20 შედეგიან პასზე მეტი დააგროვა. მანამდე ასეთი შედეგი **ოსკარ რობერტსონსა** (1960-61) და **კონი ჰოუკინსს** (1969-70) ჰქონდათ. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. უოლმა ჯამში 31 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რაც NBA-ის ისტორიაში საუკეთესო შედეგია სამ სასტარტო შეხვედრაში, თუმცა უოლი პირველ ადგილს იყოფს **დემონ სტაუდმაიერთან** (1995-96) და **ჯამალ ტინსლისთან** (2001-02).

სხვა მატჩებში ფავორიტებმა უშანსოდ დატოვეს კლასით დაბალი მეტოქეები. ასე მაგალითად, „მაიამიმ“ „მინესოტა“ არ დაინდო. პირველ მეოთხედში მეტნაკლებად თანაბარი თამაშის შემდეგ, ფლორიდელებმა უბრალოდ გადათელეს მეტოქეს. „დიდი ტრიო“ გარდა, კვლავ კარგად წარმოაჩინა თავი **ჯეიმს ჯონსმა**. „ჰიტის“ სნაიპერმა გადამწყვეტ მომენტში 5 სამქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ დაასამარა მინესოტელთა იმედები.

იოლ გამარჯვებას მიაღწია მოქმედმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა“. „მემფისთან“ მატჩის ბედის დიდ შესვენებამდე გადაწყდა. **კობი ბრაიანტმა** და **პაუ გასოლმა** ამჯერადაც მთავარი როლი ითამაშეს გამარჯვებაში - ორივემ თამაშიდან ტყორცნები 50 პროცენტზე მაღალი სიზუსტით შეასრულა. პირველი ტაიმის შემდეგ სხვაობა 27 ქულა იყო და შეხვედრამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

სეზონის სტარტზე ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი ბოსტონელი **რაჟონ რონდოა**, რომელიც ფენომენალურ შედეგს აჩვენებს. „კლივლენდთან“ წაგებულ მატჩს თუ არ ჩავთვლით, „კელტების“ ფლეიმეიქერი მინიმუმ 17 (!) შედეგიანი პასის გარეშე არ ტოვებს მოედანს და ამ მომენტისთვის მისი საშუალო მაჩვენებელი 16.8 გადაცემას უტოლდება. „დეტროიტთან“ მატჩის შემდეგ რონდო კლუბის საუკეთესო ასისტენტთა სიაში **სემ ჯონსს** გაუსწრო და 2211 შედეგიანი პასით მე-13 ადგილზე გადაინაცვლა.

ერთი მატჩი გადაიდო. უსაფრთხოების მოსაზრებით მოედანზე ვერ გავიდნენ „ნიუ იორკი“ და „ორლანდო“. წინა დღეს გამართული NHL-ის მატჩის შემდეგ „მედისონ სკვერ გარდენის“ ჭერის ასბესტისგან გასუფთავება დაიგეგმა, მაგრამ ამ პროცესის დროს მინერალის მსხვილი ნაჭრები მოედანზე დაეცა, ამიტომაც მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად საკალათურთო მატჩის გადატანა გადაწყდა. ჯერ უცნობია, როდის შეხვდებიან ერთმანეთს „ნიქსი“ და „მეჯიქი“.

| კლივლენდი-ატლანტა | 88:100 |
|---|---|
| 27:40, 20:19, 26:15, 15:26 | |
| კ: ჰიქსონი (31+5 მოხსნა), უილიამსი (12), პარკერი (10), ვარეჟაო (2+12 მოხსნა). | |
| ა: უილიამსი (22), ჰორფორდი (16+12 მოხსნა), კროუფორდი (16), ჯონსონი (15+9 პასი+6 მოხსნა), ბიბი (15). | |

| ვაშინგტ.-ფილადელ. | 116:115 (ო) |
|---|---|
| 27:28, 23:20, 22:18, 34:40, 10:9 | |
| ვ: უოლი (29+13 პასი+9 ჩაჭრა), ბლეტჩი (23+8 მოხსნა), იანგი (20), ტორნტონი (12+6 მოხსნა). | |
| ფ: ბრენდი (21+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰოლიდეი (14+13 პასი), იგუოდალა (12+9 პასი). | |

| დეტროიტი-ბოსტონი | 86:109 |
|---|---|
| 26:31, 18:26, 24:31, 18:21 | |
| დ: ვილანუევა (17+7 მოხსნა), დეი (16+5 მოხსნა), სტაკი (15), გორდონი (14), პრინსი (10). | |
| ბ: გარნეტი (22+6 მოხსნა), პირსი (21+5 მოხსნა), ალენი (16), ჯ. ო'ნილი (12), დევისი (10+5 მოხსნა), რონდო (9+17 პასი). | |

| მაიამი-მინესოტა | 129:97 |
|---|---|
| 33:27, 36:26, 29:17, 31:27 | |
| მაი: უეიდი (26), ჯეიმსი (20+12 პასი), ჯონსი (17+6 მოხსნა), ჰაუსი (15), ბოში (13+6 მოხსნა), ჰასლემი (11+10 მოხსნა). | |
| მინ: ლავი (20+6 მოხსნა), ჯონსონი (13+5 პასი), ტელფეირი (13), პეკოვიჩი (12+8 მოხსნა), ბიზლი (11). | |

| მილუოკი-პორტლენდი | 76:90 |
|---|---|
| 27:21, 18:26, 17:26, 14:17 | |
| მ: მაგეტი (16), დელფინო (14+5 მოხსნა), ბოგუტი (12+9 მოხსნა). | |
| პ: მეტიუზი (18+5 მოხსნა), როი (17+5 ჩაჭრა), ოლდრიჯი (14+8 მოხსნა+5 დაფარება+4 ჩაჭრა), კანინგემი (12+6 მოხსნა), მილერი (12+5 პასი), ჯონსონი (10+5 პასი), კემბი (2+13 მოხსნა). | |

| ლეიკერსი-მემფისი | 124:105 |
|---|---|
| 34:23, 39:23, 24:30, 27:29 | |
| ლ: ბრაიანტი (23+5 მოხსნა), პ. გასოლი (21+13 მოხსნა+5 პასი), ოდომი (17+8 მოხსნა+6 პასი), ბარნსი (16+14 მოხსნა), ბრაუნი (13), ბლეიკი (10). | |
| მ: გეი (30), კონლი (16+8 პასი+5 მოხსნა), მ. გასოლი (11+8 მოხსნა+5 პასი), არტური (10+7 მოხსნა), ჰენრი (10). | |


ძმები გასოლების დუელი

ავტოსპორტი

# 13 წლის პილოტი დოპინგს იღებდა


იგორ ვალილკო

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) პოლონელი კარტინგისტის - **იგორ ვალილკოს** დისკვალიფიკაცია გადაწყვიტა. FIA-ის ანტისადოპინგო კომიტეტმა 13 წლის სპორტსმენის ორგანიზმში ნიკეტამიდი აღმოაჩინა, რომელიც აკრძალული სტიმულატორების სიაშია შეტანილი.

ვალილკო დოპინგზე 18 ივლისს, კარტინგში გერმანიის ჩემპიონატის მეოთხე ეტაპის შემდეგ შეამოწმეს. პოლონელმა იმ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. როგორც პილოტის ოფიციალური ვებგვერდი ამტკიცებს, გერმანულმა მხარემ დოპინგზე მხოლოდ უცხოელი მრბოლელები შეამოწმა, რომლებიც ხუთეულში მოხვედრაზე აცხადებდნენ პრეტენზიას.

FIA-ის პრესრელიზის მიხედვით, ვალილკოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. გაუქმდა მისი შედეგები კარტინგის ჩემპიონატში, აგრეთვე ჩამოერთვა აქამდე მოგებული პრიზები და ჰონორარები. პოლონელს 21 დღის განმავლობაში შეუძლია ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ბექსტრიომმა სან ხოსე შეაჩერა

# ტორონტო ქვემოთ ეშვება

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელ დღეს თითქმის ყველა შეხვედრაში უშელავათო ბრძოლა აღინიშნა. ასეთი იყო მაგალითად, „მინესოტასა" და „სან ხოსეს" მატჩი. მასპინძლები მათთვის ჩვეული მანერით თამაშობდნენ და კონკურენტის ლიდერი ფორვარდებისთვის სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვას ცდილობდნენ. ეს კარგად გამოუვიდათ. საინტერესოა, რომ შეხვედრის წინ „ზვიგენებსა" და „ველურებს" პირველი ორი ადგილი ეკავათ რიცხობრივი უპირატესობის რეალიზაციის მხრივ და მით უფრო გასაკვირია, რომ 60 წუთის განმავლობაში გუნდებმა მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანეს. არადა, მეტოქეებს ჯამში 15-ჯერ მიეცათ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი, მაგრამ მაყურებელმა მეორე პერიოდის შუაში გატანილი ერთადერთი შაიბა იხილა. სხვათა შორის, იმ ეპიზოდში „უაილდს" ორი ჰოკეისტით მეტი ჰყავდა მოედანზე. გაძევებულები იყვნენ **ტორი მიტჩელი** და **ჯონ მაკარტი** და „მინესოტამ" ხელიდან არ გაუშვა ასეთი შანსი - გოლი **ენდრიუ ბრუნეტის** ანგარიშზეა.

სამი პერიოდის განმავლობაში „შარქსმა" 36 დარტყმა შეასრულა, „მინესოტამ" - მხოლოდ 16, მაგრამ მეკარე **ნიკლას ბექსტრიომის** ბრწყინვალე თამაშმა „უაილდს" ორი ქულა მოუტანა.

მოულოდნელი იყო „კოლამბუსის" იოლი გამარჯვება „მონრეალთან" - 3:0. მასპინძლების მეკარე **მატიო გარონს** 29 დარტყმის მოგერიება დასჭირდა კარიერაში მე-17 „მშრალი მატჩის" შესასრულებლად. „კოლამბუსი" დებიუტანტი მწვრთნელის **სკოტ არნიელის** ხელში ძალიან არასტაბილურად თამაშობს (დიდი ანგარიშით წაგებები „კალგარისთან" და „კოლორადოსთან"), თუმცა 15 ქულით მეხუთე ადგილს ინარჩუნებს დასავლეთ კონფერენციაში.

მოულოდნელად მოსაწყენი იყო „ტორონტოსა" და „ოტავას" მატჩის პირველი პერიოდი. ორივე გუნდს ერთგვარი ჩავარდნა აქვს - „სენატორებმა" ცუდი სტარტი აიღო სეზონში, „ტორონტომ" კი სასტარტო ოთხი მოგების შემდეგ ტემპს უკლო და პლეი ოფის ზონიდან გავარდა. უფრო მეტიც, ბოლო ექვს მატჩში **რონ უილსონის** გუნდმა მხოლოდ შვიდი შაიბა გაიტანა.

სასტარტო პერიოდი უკეთ „სენატორებმა" ჩაატარეს და **მაიკ ფიშერის** გოლით დაწინაურდნენ. თავდამსხმელმა ერთი ერთზე გაქცევა მოახერხა და ის **კომისარეკმა** წესით დარღვევით შეაჩერა - დაზარალებულმა ბულიტი ზუსტად შეასრულა. მეორე 20-წუთეულსაც კარგი არ მოუტანია მასპინძლებისთვის, რადგან ერთ-ერთი შეჯახებისას ტრავმა მიიღო „ტორონტოს" კაპიტანმა **დიონ ფანოფმა**, რომელიც ყინულზე აღარ დაბრუნებულა. ლიდერის გარეშე დარჩენილმა კანადელებმა კიდევ ორი შაიბა გაუშვეს - „ოტავამ" ორივე გოლი რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანა.

ბოლო პერიოდში „ტორონტომ" ასე თუ ისე გააქტიურა შეტევითი მოქმედებები, მაგრამ ეს მხოლოდ **ბოშემენისა** და **მაკარტურის** შაიბებისთვის აღმოჩნდა საკმარისი. 3:2 „ოტავას" სასარგებლოდ და „სენატორები" დაეწივნენ კანადელებს, თუმცა ორივე გუნდი პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება.

დღის ბოლო შეხვედრაში „ვანკუვერი" „ედმონტონს" ესტუმრა პირველი გასვლითი მატჩის მოსაგებად და კინაღამ ორი ქულა დაკარგა! სასტარტო პერიოდის შემდეგ „კენაქსი" დამაჯერებლად ლიდერობდა **დანიელ სედინისა** და **რაფი ტორესის** დუბლის წყალობით. „მენავთობეებმა" გულშემატკივართა მხარდაჭერით ერთი შაიბა მეორე პერიოდში გაქვითეს, ხოლო მესამე 20-წუთეულის სტარტზე ანგარიში გათანაბრდა. თუმცა იმავე ტორესმა ჰეთ-თრიკი გაიფორმა და **ალან ვინიეს** გუნდს ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში ლიდერობა მოუტანა. „ედმონტონის" ფანები კმაყოფილი უნდა იყვნენ თავიანთი გუნდის მონდომებით, მაგრამ „ოილერზი" მაინც ლიგის ბოლო გუნდად რჩება.

### თვის მოთამაშეები

ამასობაში ლიგამ ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა და პირველი ვარსკვლავის სტატუსი „ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსს** მიანიჭა. გასულ თვეში „ლაითნინგმა" შვიდი მატჩი მოიგო და სამჯერ დამარცხდა, რითაც თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდებს შორის. თავად სტემკოსმა ამ მატჩებში 19 ქულა (9+10) მოიპოვა.

თვის მეორე ვარსკვლავი გახდა „ბოსტონის" მეკარე **ტიმ ტომასი**, რომლის შესახებაც უკვე ბევრჯერ დავწერეთ - ექვსიდან ექვსი მოგება, დარტყმების მოგერიების 98.4 პროცენტი და საშუალოდ გაშვებული 0.50 შაიბა.

სიაში მესამეა „კოლორადოს" ფორვარდი **კრის სტიუარტი** - ოქტომბრის 11 მატჩში მან თავის ანგარიშზე 16 ქულა (9+7) ჩაიწერა. ერთხელ თავდამსხმელმა ჰეთთრიკის შესრულება შეძლო.

**ტორონტო-ოტავა 2:3**

0:1, 0:2, 2:0

გოლები: 0:1 ფიშერი-4 (ბულიტი), 0:2 გონჩარი-1 (ე. კარლსონი-3, ალფრედსონი-7), 0:3 ე. კარლსონი-3 (გონჩარი-7, ფოლინო-4), 1:3 კულემინი-2 (ბოშემენი-2, მაკარტური-3), 2:3 მაკარტური-7 (გრაბოვსკი-5, ვერსტიეგი-2).

**კოლამბუსი-მონრეალი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ნეში-4 (ვორაჩეკი-4), 2:0 ბრასარი-4 (ვორაჩეკი-5, სტრალმანი-4), 3:0 კ. უილსონი-3 (ბოლი-1, მაკენზი-2).

**მინესოტა-სან ხოსე 1:0**

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 ბრუნეტი-3 (ჰავლატი-7, მ. კოივუ-9).

**ედმონტონი-ვანკუვერი 3:4**

0:3, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-8 (ჰ. სედინი-12, ედლერი-7), 0:2 ტორესი-4 (მალჰოტრა-5, ბიეკსა-1), 0:3 ტორესი-5 (ბიეკსა-2), 1:3 პენერი-4 (კოლიანო-2), 2:3 რ. ჯონსი-3 (სტორტინი-1, შმიდი-2), 3:3 ბრული-2 (კოლიანო-3, შმიდი-3), 3:4 ტორესი-6 (ბიეკსა-3, ლუონგო-1).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰაველსე-მაგდებურგი | 3:3 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ილიუპოლისი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სამსუნი-მერსინი | 1:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სალუტი-სკა ენერგია | 2:4 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ვოლგა | 2:2 |
| შინიკი-დინამო (ს-პ) | 0:0 |
| ბალტიკა-დინამო (ბრ) | 1:2 |
| ავანგარდი-ლ. ენერგია | 1:2 |
| კრასნოდარი-ირტიში | 2:0 |
| როტორი-ყუბანი | 0:3 |
| ჟემჩუჟინა-ურალი | 2:2 |
| მორდოვია-კამაზ | 1:2 |
| გაზპრომი-ხიმკი | 2:2 |
| **სლოვენიის თასი** | |
| კოპერი-ტრიგლავი | 3:0 |
| **მაკედონია** | |
| ტეტექსი-შკენდია | 1:0 |
| **ბოსნიის თასი** | |
| სარაევო-შიროკი ბრიეგი | 1:0 |
| ჟრინსკი-სელიკი | 0:1 |
| **ლიტვის თასი** | |
| ბანგა-კლაიპედა | 2:0 |
| ვიძგირისი-ეკრანასი | 0:1 |
| შიაულიაი-სუდუვა | 1:0 |
| ტაურასი-კაუნასი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| **სინგაპური** | |
| ალბირექსი-ვუდლენდსი | 1:0 |
| **ავსტრალია** | |
| ველინგტონი-ბრისბეინი | 1:4 |
| პერტი-მელბურნი | 0:0 |
| **იაპონიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ივატა-ჰიროშიმა | 5:3 დ.დ. 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **კაცები** | |
| ხიმკი-კახა ლაბორალი | 64:60 |
| ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 93:66 |
| ეფესი-მილანი | 82:74 |
| ჟალგირისი-პროკომი | 74:68 (ო) |
| ბამბერგი-შარლერუა | 79:69 |
| ვალენსია-ცსკა | 82:57 |
| მონტეპასკი-ციბონა | 80:57 |
| **გერმანია** | |
| ჰაგენი-ტრირი | 70:77 |
| ბაიროიტი-ტელეკომ ბონი | 71:82 |
| გოტინგენი-სკაილაინერსი | 58:70 |
| ჯაიანტსი-გისენი | 89:94 (ო) |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| პერუ-კოსტა რიკა | 3:1 |
| ალჟირი-პოლონეთი | 0:3 |
| იაპონია-სერბეთი | 3:1 |
| პუერტო რიკო-ჰოლანდია | 0:3 |
| კენია-ჩეხეთი | 0:3 |
| იტალია-ბრაზილია | 0:3 |
| ყაზახეთი-ხორვატია | 0:3 |
| გერმანია-ტაილანდი | 3:0 |
| კუბა-აშშ | 1:3 |
| კანადა-დომინიკის რ | 1:3 |
| კორეა-თურქეთი | 3:2 |
| ჩინეთი-რუსეთი | 0:3 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ატლანტი-ნეფტეხიმიკი | 4:2 |
| ვიტიაზი-ტრაქტორი | 5:0 |
| ლოკომოტივი-აკ ბარსი | 1:3 |
| ტორპედო-ავტომობილისტი | 3:1 |
| დინამო (მ)-ს. იულიაევი | 2:4 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| ნიემინენი-**ბრანდსი** | 6:3, 6:2 |
| **შტეპანეკი**-დე ბაკერი | 6:3, 7:6 |
| ფ. მაიერი-**მატიო** | 3:6, 3:6 |
| **როდიკი**-კუერი | 7:5, 7:6 |
| ისნერი-**ჰაასე** | 2:6, 7:6, 5:7 |
| **ფედერერი**-ტიპსარევიჩი | 6:3, 6:4 |
| ბერდიხი-**კამკე** | 4:6, 1:6 |
| **ATP. ვალენსია** | |
| **მონფილსი**-შვანკი | 6:3, 6:3 |
| **გრანოლერსი**-პერი | 6:2, 6:4 |
| მიურეი-**მონაკო** | 2:6, 6:3, 2:6 |
| ვერდასკო-**სიმონი** | 1:6, 3:6 |

## TV პროგრამა

**4 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჩელსი-სპარტაკი.
**09:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. კლუჟი-ბაიერნი.
**11:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**13:00** ახალი ამბები.
**13:25** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოსერი-აიაქსი.
**15:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:15** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბაზელი-რომა.
**17:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**17:10** ახალი ამბები.
**17:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**17:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მილანი-რეალი.
**19:50** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**19:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**21:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-პალერმო (LIVE).
**23:55** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პაოკი-ზენიტი (LIVE).
**02:30** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სამპდორია-მეტალისტი.
**04:15** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ხეტაფე-შტუტგარტი.
**06:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბატე-შერიფი.

**EUROSPORT**

**11:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**12:00** მულტისპორტი.
**12:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**12:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დუისბურგი (გერმანია)-ფორტუნა (დანია).
**14:00** აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ-კარაპირო. ახ. ზელანდია.
**17:00** სნუკერი. ლონდონი. ინგლისი.
**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:00** აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ-კარაპირო. ახ. ზელანდია.
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:10** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. სერბეთი.
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:00** მულტისპორტი.
**02:10** პრო-რესტლინგი.
**03:40** მულტისპორტი.
**03:45** აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლეიკ-კარაპირო. ახ. ზელანდია.

## ამბები

**ოლიმპიზმი**

### მუზეუმი რემონტისთვის დაიკეტა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის თქმით, უახლოეს პერიოდში მთლიანად გარემონტდება ლოზანაში მდებარე ოლიმპიური მუზეუმი. ამისთვის კომიტეტი 50 მილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს. მუზეუმი, რომელიც ჟენევის ტბის ნაპირას მდებარეობს, 1963 წელს გაიხსნა და დღემდე 3.3 მილიონი დამთვალიერებელი მიიზიდა.

მუზეუმის განახლების პროექტი უსაფრთხოების ნორმებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებს. როგორც საერთაშორისო კომიტეტი ვარაუდობს, მუზეუმი 20 თვით დაიხურება.

**კრივი**

### ახალი ძველი პრეზიდენტი

სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჩინგ კუო ვუ** კიდევ ოთხი წლით აირჩიეს ამ პოსტზე. გადაწყვეტილება ალმა-ატაში მიმდინარე კონგრესზე მიიღეს. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს კორეელმა პრეზიდენტობისთვის რთულ ბრძოლაში დაამარცხა ყოფილი ხელმძღვანელი **ანვარ ჩაუდრი**, რომელიც მოგვიანებით კორუფციაში დაადანაშაულეს.

პრეზიდენტი მიზნად რეფორმების გაგრძელებას ისახავს, რამაც ფედერაცია და მთლიანად სამოყვარულო კრივი „სუფთა" სახეობად უნდა გადააქციოს.

**ველოსპორტი**

### ლიცენზია 15 გუნდს ექუთვნის

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა გუნდების რეიტინგი, რომლის მიხედვითაც საჯინიბოებს 2011 წლის სეზონისთვის პროტურის ლიცენზიებს დაურიგებენ. კლასიფიკაცია ყოველი გუნდის 15 საუკეთესო ველომრბოლის შედეგების მიხედვით შედგა. ის ველოჯგუფები, რომლებიც 1-15 ადგილზე იმყოფებიან, ლიცენზიის მფლობელები გახდებიან. შემდეგ ხუთ პოზიციაზე (16-20 ადგილი) მყოფი გუნდები კიდევ სამი ლიცენზიისთვის იბრძოლებენ.

თუმცა ლიცენზიის მიღებამდე გუნდებმა უნდა გაიარონ კავშირის შემოწმება სპორტული, ეთიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული კრიტერიუმებით. ჯერჯერობით ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებენ - Rabobank, რომელიც მეორეა რეიტინგში, Garmin-Cervelo, Omega Pharma-Lotto და Sky Procycling.

ცნობისთვის, რეიტინგში პირველ ადგილზეა **ანდი** და **ფრანკ შლეკების** ლუქსემბურგული გუნდი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი

# კობი ლონდონში აუცილებლად წავა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტს** პეკინის ოლიმპიადაზე მოპოვებული ტიტულის დაცვა სურს და 2012 წელს ლონდონის ზაფხულის თამაშებზე გამოსვლა აქვს გადაწყვეტილი.

ერთ-ერთი რადიოგადაცემისას ფინალური სერიის MVP-მ განაცხადა:

*„ჩემთვის უდიდესი პატივია საკუთარი ქვეყნის ოლიმპიურ თამაშებზე წარმოჩენა. გარდა ამისა, იქ მსოფლიოს უდიდეს სპორტსმენებთან შეხვედრის საშუალება მექნება. ოლიმპიადა - უდიდესი სპორტული ფორუმია. ის ყველას ჯობია".*




კობი პატრიოტია



ინტერლაგუშში დიდი მზადებაა

# ინტერლაგუშზე მხოლოდ ალონსო გაჩემპიონდება

სეზონის ბოლოსწინა რბოლის წინ მრავლად გვესმის პროგნოზები და გათვლები ტიტულის მაძიებელთა შანსების შესახებ. სტატისტიკოსები ითვლიან - ვინ შეიძლება დარჩეს მოგებული ბრაზილიის ეტაპის შემდეგ ან საერთოდ დაკარგოს ამ სეზონში წარმატების შანსი.

ერთადერთი პილოტი, ვისაც შეუძლია სან-პაულუში ნაადრევად გაინაღდოს ჩემპიონობა - „ფერარის" ნევრი **ფერნანდო ალონსოა**, რომელიც საერთო ჩათვლას ლიდერობს. კარიერაში მესამე ტიტულის მოსაპოვებლად ესპანელს პოდიუმზე ფინიში სჭირდება.

ალონსო ჩემპიონი გახდება თუ:

- მოიგებს რბოლას და **მარკ უებერი** მეხუთე ადგილზე ზემოთ ვერ აიწევს;
- მეორე მივა ფინიშთან, უებერი კი მერვე პოზიციას ვერ ასცდება;
- მესამე იქნება რბოლაში, უებერი პირველ ცხრა პილოტს შორის ვერ შევა.

როგორც ხედავთ, ალონსოს ბოლო ეტაპამდე გაჩემპიონებაში ხელს მხოლოდ მარკ უებერი თუ შეუშლის. ამასთან, თავად ავსტრალიელს საჩემპიონო შანსების შესანარჩუნებლად ფერნანდოს პოდიუმის მიღმა დარჩენა სჭირდება.

როგორც მოგეხსენებათ, ჩემპიონობის შანსები **ლუის ჰემილტონს, სებასტიან ფეტელსა** და **ჯენსონ ბატონსაც** აქვთ. მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს ტრიო უკვე ინტერლაგუშში გამოეთხოვება საჩემპიონო იმედებს. ამისთვის შემდეგი უნდა მოხდეს.

ჰემილტონი ვერ გახდება ჩემპიონი თუ:

- ალონსო მოიგებს რბოლას;
- ალონსო მეორეზე გავა, ჰემილტონი მეოთხე პოზიციის ზემოთ ვერ აიწევს;
- ალონსო მესამე იქნება, ჰემილტონი მეხუთე ან უფრო დაბლა;
- უებერი მოიგებს, ჰემილტონი კი მეოთხე ადგილზე ქვემოთ იქნება;
- უებერი მეორე მივა ფინიშთან, ჰემილტონი მეცხრე პოზიციაზე (ან უფრო დაბლა) ალმოჩნდება.

ფეტელი ტიტულის შანსებს დაკარგავს თუ:

- ალონსო მოიგებს რბოლას;
- ალონსო ათეულში შევა, ფეტელი კი მის უკან ალმოჩნდება;
- უებერი მოიგებს, ფეტელი კი მეოთხე ადგილზე ქვემოთ იქნება;
- უებერი მეორე მივა ფინიშთან, ფეტელი მეშვიდე პოზიციაზე (ან უფრო დაბლა) ალმოჩნდება;
- უებერი მესამეზე გავა, ფეტელი მერვე ადგილზე ზემოთ ვერ აიწევს;
- უებერი მეოთხეა, ფეტელი პირველ ცხრა პილოტს შორის ვერ მოხვდება;
- ჰემილტონი მოიგებს, ფეტელი მერვე ან უფრო დაბალ ადგილზე გავა.

ბატონი დაკარგავს ყველა შანსს თუ:

- ალონსო ექვსეულში შევა;
- ალონსო მე-7-10 ადგილზე გავა, ბატონი კი რბოლას ვერ მოიგებს;
- უებერი გაიმარჯვებს;
- უებერი მე-2-4 ადგილზე გავა, ბატონი ვერ მოიგებს.

როგორც ხედავთ, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს ყველაზე რთული ამოცანა აქვს. ალონსომ ქულაც რომ ვერ აილოს, ბატონს ტიტულის შანსების შესანარჩუნებლად უებერის ხუთეულის მიღმა დარჩენა სჭირდება.



ხუთი პრეტენდენტი

# ავსტრალიაში უებერის არ სჯერათ

მიუხედავად იმისა, რომ **მარკ უებერს** გაჩემპიონების საკმაოდ რეალური შანსი აქვს, მის თანამემამულეს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ჯეკ ბრებემს** არ სჯერა, რომ მარკი შეძლებს ავსტრალიისთვის 30-წლიანი შესვენების შემდეგ ტიტულის მოპოვებას.

შეგახსენებთ, რომ უებერმა ვერ დაასრულა კორეის რბოლა და დაკარგა ლიდერობა საერთო ჩათვლაში.

*„მარკის გამარჯვება დიდი მოვლენა იქნებოდა ჩემთვის და მთელი ავსტრალიისთვის, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ კორეაში მან ქარს გაატანა თავისი შანსი,* - განაცხადა 84 წლის ჯეკმა. - *მე მას ვგულშემატკივრობ და ყველანაირი დასაშვები ხერხით ვეხმარები. თუ ის წელს ჩემპიონი ვერ გახდა, ასეთი შანსი კარიერაში აღარ ექნება".*

შეგახსენებთ, რომ ბოლო ავსტრალიელი, ვინც ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, **ალან ჯონსი** იყო. მან ტიტული 1980 წელს მოიპოვა.

ბრებემს მიაჩნია, რომ თანამედროვე ფორმულა 1 - ეს არის სპორტი ახალგაზრდა ადამიანებისთვის, 34 წლის უებერი კი „მოხუცია" იმისთვის, რომ კონკურენცია გაუწიოს 20-25 წლის მეტოქეებს.

ბრებემს ეთანხმება 1997 წლის ჩემპიონი, კანადელი **ჟაკ ვილნევი**: *„კორეის რბოლამდე მარკისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ შეხედეთ, როგორ გამოდის ალონსო სეზონის ფინიშზე. ახლა, როცა ესპანელი საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა, რთული იქნება მისთვის პირველი პოზიციის ჩამორთმევა. ყოველთვის ფერნანდოს დიდი ფანი ვიყავი, რადგან უკომპრომისო და მაღალი დონის პილოტია, რომელიც თითქმის არ უშვებს შეცდომას. ახლა მას თითქმის დაეწია ლუის ჰემილტონი. ბრიტანელი გაიზარდა და შეცდომებსაც უკლო, ამასთან აგრესიულ და ხისტ პილოტად დარჩა. ვფიქრობ, დღეს ეს დუეტი საუკეთესოა ჩემპიონატში".*

ფეტელის შესახებ ვილნევმა ასე გამოხატა საკუთარი აზრი: ჩემპიონატის მოსაგებად საკმარისი არ არის სისწრაფე და საუკეთესო მანქანა. საჭიროა გათვალო ყველა მოქმედება და ხანდახან მიიღო შენთვის რთული გადაწყვეტილება.

# საბოლოო კალენდარი

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 2011 წლის სეზონის საბოლოო კალენდარი გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველად ფორმულა 1-ის არსებობის ისტორიაში ჩემპიონატი 20 რბოლისგან იქნება შემდგარი. ახალ კალენდარში მხოლოდ ჩინეთისა და ინდოეთის ეტაპების ჩატარების თარიღები შეიძლება შეიცვალოს. ეს მთელ რიგ პირობებზე იქნება დამოკიდებული.

ჩემპიონატი 13 მარტს ბაჰრეინის გრან-პრით დაიწყებს, ფინიში 27 ნოემბერს ბრაზილიაში შედგება.

| | |
|---|---|
| 13 მარტი | ბაჰრეინის გრან-პრი |
| 27 მარტი | ავსტრალიის გრან-პრი |
| 10 აპრილი | მალაიზიის გრან-პრი |
| 17 აპრილი | ჩინეთის გრან-პრი |
| 8 მაისი | თურქეთის გრან-პრი |
| 22 მაისი | ესპანეთის გრან-პრი |
| 29 მაისი | მონაკოს გრან-პრი |
| 12 ივნისი | კანადის გრან-პრი |
| 26 ივნისი | ევროპის გრან-პრი |
| 10 ივლისი | ბრიტანეთის გრან-პრი |
| 24 ივლისი | გერმანიის გრან-პრი |
| 31 ივლისი | უნგრეთის გრან-პრი |
| 28 აგვისტო | ბელგიის გრან-პრი |
| 11 სექტემბერი | იტალიის გრან-პრი |
| 25 სექტემბერი | სინგაპურის გრან-პრი |
| 9 ოქტომბერი | იაპონიის გრან-პრი |
| 16 ოქტომბერი | კორეის გრან-პრი |
| 30 ოქტომბერი | ინდოეთის გრან-პრი |
| 13 ნოემბერი | აშშ დაბის გრან-პრი |
| 27 ნოემბერი | ბრაზილიის გრან-პრი |




# ლაუდა: ფეტელს შანსი აღარ აქვს

**ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა დარწმუნებულია, რომ სეზონის დარჩენილ ორ რბოლაში „რედ ბული" ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ავსტრალიელ მარკ უებერს. ავსტრიულ გაზეთ Kleine Zeitung-სთვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აცხადებს, რომ სებასტიან ფეტელს აღარ დარჩა ჩემპიონობის რეალური შანსი...**



ნიკი, სებასტიანი და მარკი

**- შეგიძლიათ თუ არა ურჩიოთ „რედ ბულს" ბოლო ორ რბოლაში გუნდური ტაქტიკის გამოყენება? თქვენი აზრით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს?**

- წესების მიხედვით ეს აკრძალულია. არავისთვის მიმითითებია გუნდური ტაქტიკის გამოყენების შესახებ, უბრალოდ ყურადღებას ვამახვილებდი იმ ფაქტზე, რომ „რედ ბულმა" ბრაზილიის რბოლისთვის მაქსიმალურად ლოგიკურად უნდა შეიმუშაოს სტრატეგია.

**- კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?**

- განსხვავება დეტალებშია. თუ გუნდურ ტაქტიკას ისე აშკარად გამოიყენებ, როგორც ეს „ფერარიმ" ჰოკენჰაიმში გააკეთა, ეს ზიანს აყენებს სპორტის იმიჯს და შეურაცხყოფილს ტოვებს მაყურებელს. „რედ ბულმა" უბრალოდ გონებით უნდა იმოქმედოს - ეს საკმარისი იქნება.

**- წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: უებერი ლიდერობს, ფეტელი მეორეზეა, მაგრამ ტემპი უფრო მაღალი აქვს. ასეთ სიტუაციაში სებასტიანმა არ უნდა შეუტიოს?**

- რა თქმა უნდა, არა. აღარ უნდა განმეორდეს სტამბოლში დაშვებული შეცდომა, როცა ფეტელი და უებერი ერთმანეთს შეეჯახნენ. მაგრამ ამას არანაირი შეხება არ აქვს გუნდურ ტაქტიკასთან, საქმე მხოლოდ რბოლებისადმი გონიერ მიდგომას ეხება. „რედ ბულში" აქცენტი მთლიანად უებერზე უნდა გადაიტანონ, შეუქმნან მას ყველა პირობა იმისთვის, რომ კორეაში დაკარგული ქულები აინაზღაუროს.

**- ალბათ, გუნდმა კვალიფიკაციის გაკონტროლებაც უნდა სცადოს?**

- ეს არარეალურია. შეუძლებელია საკვალიფიკაციო რბოლის შედეგების დაგეგმვა. თუ ამის გაკეთებას შეეცდებიან, ალონსო შეიძლება მოულოდნელად წინ გავიდეს და უბრალოდ დასცინოს კონკურენტებს.

**- როგორ შეაფასებთ ტიტულის მაძიებელთა შანსებს?**

- კვლავინდებურად დარწმუნებული ვარ, რომ „რედ ბული" სამი-ოთხი მეათედი წამით სწრაფია დანარჩენ გუნდებზე. მაგრამ ალონსო - საუკეთესო მრბოლელია და კონკურენტებს საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულით სჯობნის. თუმცა უებერს შეუძლია საკუთარი მანქანის სისწრაფის ხარჯზე მოახდინოს ესპანელთან კლასში განსხვავების კომპენსირება.

**- მხოლოდ მარკ უებერზე ლაპარაკობთ. გამოდის, ფეტელი აღარ უნდა მოვიხსენიოთ ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვში?**

- დიახ, ფეტელი შეიძლება ამოვშალოთ კანდიდატთა სიიდან. მას შანსი არ აქვს. რბოლა რომც მოიგოს, მისი კონკურენტებიც ხომ დააგროვებენ საკმარის ქულებს?!

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**